ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

8
ივლისი,
ოთხშაბათი,
2015 წ., №9

ნომერში

■ ჩვენ დავიწყებთ საპროტესტო აქციებს უნივერსიტეტში, რათა უსამართლოდ არავინ დაგვჩაგროს
გვ. 2

■ ეროვნული ვალუტის გაუფასურების მიზეზები
გვ. 4

■ პრობლემების გამოსწორებას დრო დაჭირდება
გვ. 6

■ სტუდენტის ქართულად ნათარგმნი ბოეთიუსის „ფილოსოფიის ნუგეში“
გვ. 12



გვ. 7-10

თსუ-მ მეორე ადგილი დაიკავა ეკონომიკაში საუკეთესო კვლევით ცენტრებს შორის

IABE. International Academy of Business and Economics®
IABE.eu
"Promoting Global Competitiveness"

SECOND PLACE AWARD

CENTER OF OUTSTANDING RESEARCH

The Editorial Board of the International Academy of Business and Economics recognizes

Ivane Javakhishvili, Tbilisi State University, Tbilisi, Georgia

as a center of outstanding research.

The research published on behalf of Ivane Javakhishvili, Tbilisi State University, Tbilisi, Georgia for the 2015 IABE Rome conference is of the highest quality and demonstrates a commitment to the advancement of the fields of business and economics.

Professor Marius Gavriletea, Ph.D.
Vice President of the IABE

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა საერთაშორისო დონეზე მორიგ წარმატებას მიაღწია. ბიზნესისა და ეკონომიკის საერთაშორისო აკადემიის (IABE) მიერ ორგანიზებულ რომის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს საუკეთესო კვლევით ცენტრებს შორის მეორე ადგილი მიენიჭა.

ჯილდო სამ გამარჯვებულს გადაეცა — პირველ ადგილზეა იოჰანეს კეპლერის უნივერსიტეტი (ლინცი, ავსტრია) მესამე ადგილზე კი აშშ-ის ფროსტბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ბიზნესისა და ეკონომიკის საერთაშორისო აკადემიის შეფასებით, 2015 წლის რომის კონფერენციაზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერთა მიერ გამოძვეყნებული კვლევები გამოირჩევა მაღალი ხარისხით და გამოხატავს სწრაფვას ბიზნესისა და ეკონომიკის სფეროს განვითარებისთვის.

კონფერენციაში მონაწილეობდა 180-მდე მეცნიერი მსოფლიოს 60-ზე მეტი უნივერსიტეტიდან და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტიდან, მათ შორის აშშ წარმოდგენილი იყო 22 უნივერსიტეტით, იაპონია — 1, კანადა — 3, დიდი ბრიტანეთი — 1, გერმანია — 2, საფრანგეთი — 1, იტალია — 5, ავსტრია — 3, ესპანეთი — 2, შვედეთი — 1, კორეა — 3 და სხვა უნივერსიტეტები.

ბიზნესისა და ეკონომიკის საერთაშორისო აკადემია (IABE) მეცნიერთა, ბიზნესის მენეჯერთა, სტუდენტებისა და ბიზნესში საჯარო პოლიტიკის წარმმართველთა გლობალური ორგანიზაციაა. აკადემიის მიზანია ხელი შეუწყოს, საერთაშორისო დონეზე, ცოდნისა და იდეების გაცვლას კვლევის, სწავლებისა და მართვის სფეროებში, რათა დაეხმაროს ერებს გააუმჯობესონ პროდუქტიულობა და კონკურენტუნარიანობა. მისიის განხორციელებისთვის ბიზნესისა და ეკონომიკის საერთაშორისო აკადემია ორგანიზებას უწევს ყოველწლიურ კონფერენციებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით. IABE გამოსცემს სამეცნიერო ჟურნალებს, რომლებიც ინდექსირებულია ულრიხის საერთაშორისო პერიოდული გამოცემების საძიებელში.

რომის კონფერენციაში მონაწილეობდნენ თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორები რევაზ გველესიანი, თეიმურაზ შენგელია, გიორგი ღაღანიძე, ასოცირებული პროფესორი ხათუნა ბერიშვილი, ასისტენტ პროფესორები მერაბ ხოხობაია და ვალერი არღუთაშვილი.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ: www.iabe.org.

საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

მეცნიერების წელი და პირველი პრეზიდენტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უკვე დასრულდა მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების დაფინანსების საკონკურსო ეტაპი. ამ პროგრამის ფარგლებში შვიდივე ფაკულტეტმა შეიმუშავა კონკურსის ჩატარების წესი და შექმნა საკონკურსო კომისია, რომელმაც დარგების მიხედვით გამოავლინა გამარჯვებული პროექტები. შედეგად: თსუ-ის იურიდიულ ფაკულტეტზე დაფინანსდა 4 პროექტი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე – 6 პროექტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე — 20 პროექტი, მედიცინის ფაკულტეტზე — 7 პროექტი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე – 4 პროექტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე – 16 პროექტი, ხოლო სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 6 პროექტი.

მე-3 გვერდზე

აკაკი წერეთლის იუბილისადმი მიძღვნილი კვირეული

2015 წელს დიდი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის აკაკი წერეთლის დაბადებიდან 175 და გარდაცვალებიდან 100 წლისთავი შესრულდა. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეს თარიღი 22-23 ივნისს აკაკი წერეთლის იუბილისადმი მიძღვნილი კვირეულით აღინიშნა, რომელიც გაიხსნა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციით — „აკაკი წერეთელი და მისი ეპოქა“ და აკაკისადმი მიძღვნილი წიგნების პრეზენტაციით. კვირეულის ფარგლებში გაიმართა სხვადასხვა სტუდენტური ღონისძიება, აკაკისადმი მიძღვნილი ფილმის ჩვენება და გამოფენა. ღონისძიების გახსნას თსუ-ის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე, თსუ-ის პროფესორები, სტუდენტები და მოწვეული სტუმრები დაესწრნენ. აღსანიშნავია, რომ 2015 წელი იუნესკომ აკაკის წლად გამოაცხადა.

მე-5 გვერდზე

ჩვენ დავიწყებთ საპროტესტო აქციებს უნივერსიტეტში, რათა უსამართლოდ არავინ დაგვჩაგროს

თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი მანუჩარ გვარამია უნივერსიტეტში ფაკულტეტის დეკანის მისამართით საპროტესტო აქციების გამართვას აანონსებს. მის უკმაყოფილებას იწვევს ფაკულტეტზე დოქტორანტებისთვის სწავლის გადასახადის თემა. მანუჩარ გვარამიამ გაზეთის რედაქციას თხოვნით მომართა, რომ გაზეთ ,,თბილისის უნივერსიტეტის" მე-8 ნომერში გამოქვეყნებული სტატიის (ფაკულტეტის საბჭო დოქტორანტურაში სწავლის გადასახადთან დაკავშირებით სტუდენტთა განცხადებებს ეხმაურება) პასუხად მისი წერილი დაგვებეჭდა. მიუხედავად იმისა, რომ მანუჩარ გვარამიას ავუხსენით, რომ გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნებული წერილიც და დადგენილებაც ამ თემაზე ფაკულტეტის საბჭოს მხრიდან გაკეთდა, სტუდენტმა ადრესატი მაინც არ შეცვალა და თავისი წერილით ფაკულტეტის დეკანს, ბატონ რამაზ ბოჭორიშვილს მიმართავს. გთავაზობთ სტუდენტის მიერ მოწოდებულ წერილს.

— ზედმიწევნით ყურადღებით წავიკითხე ბატონი დეკანის, რამაზ ბოჭორიშვილის საგაზეთო სტატია (გაზეთი ,,თბილისის უნივერსიტეტი", 17 ივნისი. №8) და მთავარ კითხვაზე პასუხი მაინც ვერ მივიღე: რატომ გვიძვირებს გადასახადს, რა არის მისი მოტივაცია? აქვს თუ არა მას გაცნობიერებული, რომ მისი ამ გადაწყვეტილებით წლების შრომა ზოგიერთ სტუდენტს შეიძლება წყალში ჩაეყაროს და სწავლა ვერ გააგრძელოს, რადგან სტუდენტების უმეტესობა ვერ შეძლებს ამ დიდი თანხის გადახდას. (შეიძლება მას მაღალი აქვს ხელფასი და მისთვის ეს არ არის დიდი თანხა, მაგრამ არიან დოქტორანტები, რომლებიც არსად მუშაობენ და თავიანთი დროის დიდ ნაწილს ლაბორატორიაში ატარებენ უხელფასოდ).

შევეცდები მას ვუპასუხო.

საკითხი პირველი - ბატონი დეკანი საუბრობს, რომ განცხადებაში ჩვენ მიერ გაჟღერებულია სიცრუე და ადგილი არ აქვს დოქტორანტებისთვის სწავლის გადასახადის გაძვირებას. ერთი წლის წინ, დოქტორანტები ყველა დამატებით სემესტრზე იხდიდნენ 150 ლარს, დეკანის გადაწყვეტილებით, დოქტორანტები პირველი დამატებითი სემესტრისთვის გადაიხდიან 300 ლარს, მეორე — 600, მესამე — 1125, მეოთხე — 1125. ამას გაიაფება დავარქვათ? მოდით მკითხველმა თავისით სახელი დაარქვას ამ ფაქტს.

ბატონი დეკანი საუბრობს აგრეთვე იმაზე, რომ, თითქოს, მისი დამსახურებაა ჩემი გერმანიაში ყოფნა. მინდა ვთქვა, რომ დეკანის დამსახურება ჩემი აქ ყოფნა ნამდვილად არ არის და არც არავის სამეცნიერო კონტაქტები გამომიყენებია - ეს კარგად იცის ყველამ. უფრო მეტიც, მადლობა უფალს, რომ მას ამ კონკურსში არავინ არაფერს არ ეკითხებოდა, თორემ ნამდვილად ვერ გავიმარჯვებდი. ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, როგორ მალავს ბატონი რამაზ ბოჭორიშვილი სანდიეგოს უნივერსიტეტის კონკურსის ამბებს, ახალგაზრდა მეცნიერების სანდიეგოში სტაჟირების შესახებ ინფორმაციას და როგორ ეუბნება ამ ამბის შესახებ მხოლოდ იმ ხალხს, რომელიც მას მოსწონს. წესით იგი ამ ინფორმაციებს უნდა დებდეს ფაკულტეტის ვებ-გვერდზე და ყველას უნდა მისცეს კონკურსში მონაწილეობის უფლება.

ბატონი დეკანი საუბრობს, რომ თითქოს ჩვენი განცხადებით ვუპირისპირდებით ჩვენს სამეცნიერო ხელმძღვანელებს — ეს არის აბსურდი! ნამდვილად არანაირი პრობლემა არ მაქვს ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელთან და ვფიქრობ, რომ ის ქალბატონი იმაზე მეტს აკეთებს, რისი გაკეთებაც შესაძლებელია თსუ-ის ინფრასტრუქტურით, ამაზე მეტყველებს მისი მაღალი დონის სამეცნიერო ნაშრომებიც.

დეკანის ბრალდება იმასთან დაკავშირებით, რომ მე სიყალბის მქნელი ვარ და, მისი წინასწარმეტყველება ჩემს მომავალთან დაკავშირებით, თითქოს, ვერ გავიზრდები ღირსეულ მოქალაქედ თუ ნორმალურ მეცნიერად (როგორ უნდა გძულდეს საკუთარი სტუდენტი, ასეთი რამ რომ აკადრო, მაგრამ ეგ არაფერი, უარესები გადაგვიტანია, გავუძლებთ მაგასაც), ეს ჩემთვის სასაცილოა და მინდა ვუთხრა, რომ აქ, სადაც ვარ, იმაზე მეტს ვმუშაობ, რათა მისი ეს იმედები ჩემს მომავალთან დაკავშირებით არ გავამართლო. გავა დრო, წლები და იგი ნახავს - ვინ როგორი მეცნიერი დადგება, გავახსენებ მას მე ამ სიტყვებს.

ბატონი დეკანის სტატია რომ შევაჯამოთ, ნათლად ჩანს, ეს ბატონი ვერ ერკვევა ქიმიკოსების, ფიზიკოსების, ბიოლოგების კვლევებისთვის დამახასიათებელ სპეციფიკაში. მან არ იცის ის პრობლემები, რაც ამ შინაარსის კვლევებისთვის არის დამახასიათებელი. ამ გაუგებრობის თავიდან აცილებისთვის კარგი იქნებოდა, სანამ ამ გადაწყვეტილებას მიიღებდა ბატონი დეკანი, შევეკრიბეთ სხვადასხვა მიმართულების

მანუჩარ გვარამია

დოქტორანტები და გაეცნო ჩვენთვის თავისი გადაწყვეტილება — ეს დეკანს არ უქნია, მან ძალიან უხეშად მიიღო ეს გადაწყვეტილება, რაც არ არის კარგი ჟესტი სტუდენტების მიმართ. არ ვიცი ქიმიკოსი ჩემს ირგვლივ, ვისაც თავის სადოქტორო სამ წელში აქვს თსუ-ის კვლევითი ინფრასტრუქტურით გაკეთებული. რატომ არ დებს ბატონი დეკანი თავის საყვარელ გრაფიკს, თუ რამდენი წელი დასჭირდა ბოლოს დაცულ დოქტორანტებს დისერტაციის გასაკეთებლად? ანუ სემესტრებს კი ნუ დათვლის, არამედ დათვალოს რომელ წელს ჩააბარა და რომელ წელს დაიცვა სტუდენტმა, ნახავს რომ სამი წელი ქიმიკოსებში არ არის. მას ეს გადაწყვეტილება მიღებული აქვს მათემატიკის და კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულებაზე არსებული სიტუაციის ანალიზით. ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტი მარტო მათემატიკა და კომპიუტერული მეცნიერებებისგან არ შედგება.

ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია - ეს არის კოლექტიური მეცნიერებები, რაც ნიშნავს იმას, რომ აქ სამეცნიერო ნაშრომს, სტატიას ერთი ადამიანი ვერ აკეთებს. ზემოთ ჩამოთვლილი მიმართულებების პროფესორები თუ კარგ ნაშრომებს ბეჭდავენ, ეს მათთან ერთად მათი დოქტორანტების დამსახურებაცაა, რადგან სამეცნიერო ნაშრომის ექსპერიმენტალურ ნაწილს სწორედ დოქტორანტები აკეთებენ. ფაკულტეტზე მე ვიცი უამრავი პროფესორი, რომლებსაც არ ჰყავს სამეცნიერო ჯგუფი და მისი კვლევითი აქტივობა პირდაპირ დოქტორანტებთან არის დაკავშრებული. დოქტორანტი რომ არ ჰყავდეთ, მათ არ ჰყავთ სხვა ადამიანი, რომელიც მათ ექსპერიმენტებს გააკეთებს. ილიას უნივერსიტეტი, რომელსაც ჩვენზე ბევრად პატარა ბიუჯეტი აქვს, ახერხებს ზუსტების დოქტორანტებისთვის უფასო სწავლების შეთავაზებას, ანუ, სურვილის შემთხვევაში, ჩვენი უნივერსიტეტის რესურსი საკმარისია იმისთვის, რომ ზუსტებზე საერთოდ უფასო გახდეს დოქტორანტურა.

და ბოლოს, ჩვენ ვსვამთ ზრდილობიანად, პატიოსნად, ძალიან ლეგიტიმურ კითხვას: თუ ადრე ბატონი დეკანი ფიქრობდა, რომ ეს შეღავათები აუცილებელი იყო დოქტორანტებისთვის, ახლა რა შეიცვალა? რატომ აუქმებს ამ შეღავათებს? რა არის მისი მოტივაცია? ამ კითხვაზე ბატონი დეკანი გვპასუხობს - მინდა და ვაუქმებო, მადლობა თქვით იმაზე, ადრე რომ შეღავათებს გიწევდითო. ეს ბატონი კუნთებზე იყურება და ასე აგრესიულად პასუხობს ჩვენ ლოგიკურ კითხვას. მაგრამ ეგ არაფერი, სტუდენტებთან ვინც ამ ფორმატით საუბრის ტონს ირჩევს, ჩვენ კარგად ვიცით, როგორც ასრულებენ თავიანთ მოღვაწეობას და ამ ტრადიციას არც ბატონი რამაზ ბოჭორიშვილის შემთხვევაში დავარღვევთ. თუ ამ შეღავათებით გამოთავისუფლებული თანხა მოხმარდება ვინმე ნიჭიერ, მშრომელ, სოციალურად დაუცველ სტუდენტებს ან ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევით პროექტებს, მაშინ კი ბატონო, მეცოდინება, რომ რაღაცა კარგ საქმეში შევიტანეთ წვლილს, მაგრამ თუ ისინი ამით საკუთარი ხელფასების გაზრდას აპირებენ, ამას ჩვენ არ დავუშვებთ, მათ აქვთ თავიანთი შრომის ადეკვატური ხელფასი, ზოგს უფრო მეტიც.

ახლა სტიქიისას ცნობილი მოვლენების გამო ჩვენი გეგმები ცოტა ხნით გადაიდო. ჩვენ დავიწყებთ დიდ საპროტესტო აქციებს უნივერსიტეტში, მივმართავთ ყველა კანონიერ ფორმას, პირადად მე პროტესტის უკიდურესი ფორმისთვისაც მზად ვარ, რათა უსამართლოდ არავინ დაგვჩაგროს და არც არავინ მოითბოს ხელი ჩვენს ხარჯზე. ასე რომ, ეს თემა დახურული არ არის და აუცილებლად მივუბრუნდებით.

მანუჩარ გვარამია,
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი

VII რეგიონთაშორისი სტუდენტური კონფერენცია

ნატო ოგოლაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რეგიონთაშორისი კონფერენცია გაიმართა. სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია, ურთიერთობათა და კონფლიქტების დარეგულირების მიზნით, ჰუმანიტარული და კულტურულ-საგანმანათლებლო მიმართულების პროექტის ფარგლებში უკვე მეშვიდე წელია ტარდება. შესაბამისად, შვიდი წელია, სამეცნიერო ღონისძიებაზე წარმოდგენილი მოხსენებები ონლაინ ალმანახში - „მერმისი" - ქვეყნდება. „მერმისი" წელიწადში ერთხელ გამოიცემა და იგი თსუ-ის ვებ-გვერდზეა განთავსებული. სტუდენტური კონფერენციის გახსნისას ორგანიზატორებმა საზოგადოებას ონლაინ ჟურნალის V ნომერი წარუდგინეს.

„ეს ტრადიციული კონფერენციაა, რომელშიც სტუდენტები საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან მონაწილეობენ. მათი ინტერესი ნელ-ნელა იზრდება. წარმოდგენილი ნაშრომების დონე საკმაოდ მაღალია. ჩვენ კრიტიკულად ვუდგებით ამ საკითხს, რადგან საუკეთესო მოხსენებები ჟურნალ „მერმისში" დაიბეჭდება. კონფერენციის გახსნის დღეს ამ გამოცემის V ნომრის პრეზენტაცია იყო, სადაც გასული წლის კონფერენციაზე წარმოდგენილი ნაშრომებია გამოქვეყნებული. ანალოგიურად, გაისად გამოვა ახალი ნომერი, სადაც წლევანდელი მოხსენებებიდან საუკეთესოები დაიბეჭდება", — განაცხადა კონფერენციის ორგანიზატორმა, თსუ-ის პროფესორმა კახაბერ ლორიამ.

VII სტუდენტურ რეგიონთაშორის კონფერენციაზე ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სტუდენტები მონაწილეობდნენ. თემატიკა მრავალფეროვანი გახლდათ და, შესაბამისად, სამეცნიერო ღონისძიებაზე მუშაობა 10 სექციად მიმდინარეობდა — კონფლიქტოლოგია და სამართალმცოდნეობა; ჰუმანიტარული მეცნიერებანი: ეთნოლოგია, ფოლკლორი; ჰუმანიტარული მეცნიერებანი: ანთროპოლოგია, ფილოსოფია და კულტურულოგია; მედიცინის მეცნიერებანი: ეკოლოგია და ბიოეთიკა; ეკონომიკა და ბიზნესი; ლიტერატურათმცოდნეობა; ენათმეცნიერება და ლინგვისტიკა; ჟურნალისტიკა; სკანდინავისტიკა. ყველა სექციას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორ-ორი პროფესორი ხელმძღვანელობს. მათი რეკომენდაციის გათვალისწინებით სპეციალურად შექმნილი კომისია საუკეთესო მოხსენებებს გამოავლენს, რომელიც მომავალ წელს ჟურნალში „მერმისი" გამოქვეყნდება. რაც შეეხება უშუალოდ კონფერენციისთვის სტუდენტური ნაშრომების შერჩევას, კონფერენციის ორგანიზატორები რამდენიმე კრიტერიუმით ხელმძღვანელობენ.

„ჩვენი მთავარი კრიტერიუმი ყოველთვის არის, რომ ნაშრომებში გამოთქმული მოსაზრებები მეცნიერულად არგუმენტირებული იყოს და ჩანდეს, რომ ავტორი სამეცნიერო კვლევის უნარებს ფლობს, თავისი საქმის მიმართ კეთილსინდისიერი დამოკიდებულება აქვს. ხშირად, ყველა ნაშრომში ეს თვისებები სრულად არ არის წარმოდგენილი, მაგრამ რაღაც დონეზე მაინც ჩანს. ეს ბუნებრივიც არის, რადგან პირველი კურსის სტუდენტისთვის ამის გაცნობიერება ცოტა ძნელია. ზოგადად, მასალები, რომელიც შემოდის, არ არის მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით დაწერილი. ვხედავთ, რომ სტუდენტებს აინტერესებთ საკვლევი თემა და სერიოზულად უდგებიან საკითხის გაანალიზებას", — აღნიშნა კონფერენციის ხელმძღვანელმა, თსუ-ის პროფესორმა თამარ პაიჭაძემ.

VII რეგიონათშორისი სტუდენტური კონფერენცია 15 ივნისს გაიხსნა და ორი დღის განმავლობაში გრძელდებოდა.

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲔᲪᲔᲓᲔᲜᲢᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ᲛᲐᲘᲐ ᲢᲝᲠᲐᲫᲔ

გიორგი ღვედაშვილი

მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების თაობაზე 2014 წლის 30 დეკემბერს გამოიცა რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ერთობლივი ბრძანება. ბრძანებით განსაზღვრული იყო პროგრამის განხორციელების წესი, რომლის მიხედვითაც უნივერსიტეტმა, ამ პროგრამისთვის 525 000 ლარი გამოყო. აქედან, უნივერსიტეტის თითოეულ ფაკულტეტს გამოეყო 75 000 ლარი; ამასთან, ერთი პროექტის ღირებულება არ უნდა გასცდენოდა 20 000 ლარს, პროგრამის მონაწილე პროფესორთა ან/და ასოცირებულ პროფესორთა ანაზღაურება კი მოთხოვნილი თანხის 30 პროცენტს.

ამავე ბრძანებით განისაზღვრა, რომ თითოეულ პროექტში სავალდებულოა უნივერსიტეტის არანაკლებ 2 სტუდენტის (პროექტის წარდგენისა და დაფინანსებაზე გადაწყვეტილების მიღებისას აქტიური სტატუსის მქონე ბაკალავრიატის საფეხურის, არანაკლებ 150 კრედიტის მქონე და არანაკლებ 3.0 რეიტინგის მქონე სტუდენტი, ან მაგისტრატურისა ან/და დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტი) ჩართულობა.

პროგრამის განსახორციელებლად აუცილებელი იყო შიდასაფაკულტეტო კონკურსის ჩატარება, ხოლო გამარჯვებული სამეცნიერო კვლევის შედეგები პროექტის დასრულებიდან 12 თვეში უნდა წარდგენილიყო მაღალრეიტინგულ საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალში დასაბეჭდად.

ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ, ამავე ბრძანებით, პროექტების დაფინანსება მოხდება ტრანშებად: პირველი ტრანში გაიცემა მოთხოვნილი თანხის არა უმეტეს 40 პროცენტისა, მეორე — არა უმეტეს 50 პროცენტისა (6-თვიანი ფინანსური და პროგრამული ანგარიშის წარდგენის შემდეგ), ხოლო მესამე — არა უმეტეს 10 პროცენტისა, პროექტის წარმატებით დასრულების შემდგომ.

ბრძანება ძალაში შევიდა 2015 წლის 1 იანვრიდან.

როგორც ჩვენთან საუბარში თსუ-ის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა გიორგი ღვედაშვილმა განაცხადა, ეს იყო პირველი პრეცედენტი, როცა უნივერსიტეტმა სოლიდური თანხა გამოყო სამეცნიერო კვლევების და მასში სტუდენტების ჩართულობის წასახალისებლად. „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაარსებიდან წარმოადგენს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კერას და იგი ლიდერია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელს რეგიონში. წლების განმავლობაში აქ ჩამოყალიბდა არა ერთი უდიდესი სამეცნიერო სკოლა, რომლებმაც უნივერსიტეტი საერთაშორისო მნიშვნელობის ერთერთ სამეცნიერო ცენტრად აქცია. ბოლო წლებში უნივერსიტეტი რეგიონში კვლავ ლიდერია სამეცნიერო გრანტების და მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობის მიხედვით, მაგრამ უფრო მეტია საჭირო; აქ უნდა მიმდინარეობდეს სამეცნიერო კვლევების უწყვეტი პროცესი სტუდენტების ჩართულობით. ამდენად, დროული და საჭირო იყო უნივერსიტეტის რექტორის, აკადემიკოს ლადო პაპავას ინიციატივა, რომლითაც წლევანდელი წელი უნივერსიტეტში სამეცნიერო წლად გამოცხადდა. მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის კუთხითაც. მაგალითად, შეიქმნა პოსტდოქტორანტურის დებულება (ჩატარდა პირველი კონკურსი და გამოვლინდნენ გამარჯვებულებიც), შეიქმნა მინიმალური სამეცნიერო სტანდარტი, დაარსდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის ფორუმი, რომელში გამარჯვებული სამეცნიერო კვლევების ავტორებს სოლიდური ფულადი პრემიები ეძლევათ, ასევე დაწესდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო პრემია და იაკობ გოგებაშვილის სახელობის სამეცნიერო პრემია (ამ უკანასკნელის ფარგლებში საბუთების შემოტანა უკვე დასრულდა). მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების საკონკურსო დაფინანსებაც სწორედ ამ ღონისძიებების ნაწილია. მისი მიზანია ფაკულტეტებზე სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა და მათში სტუდენტების ჩართულობის უზრუნველყოფა“, — განაცხადა გიორგი ღვედაშვილმა.

მიზნობრივ სამეცნიერო-კვლევით პროგრამებზე კონკურსის გამოცხადების და გამარჯვებული პროგრამების დაფინანსების შესახებ ბრძანების პროექტი, რექტორთან უშუალო თანამშრომლობით, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტმა იურიდიულ დეპარტამენტთან ერთად მოამზადა. გიორგი ღვედაშვილის თქმით, ამ პროგრამით მომზადდა საფუძველი მეცნიერ-მკვლევართა და სტუდენტთა ხელშეწყობისთვის, რაც მომავალი წლისთვის უფრო გააქტიურებს მეცნიერებისა და სტუდენტების სტიმულირებას. „მართალია, თითოეული ფაკულტეტისთვის გამოყოფილი თანხა არ არის დიდი, მაგრამ ეს პირველი წელია და ერთგვარი საპილოტე პროგრამაა. მომავალში ნავარაუდევია ამ თანხის გაზრდა. ვფიქრობ, აღნიშნული პროგრამა კარგი სტიმულია იმ სტუდენტებისთვის, რომლებსაც შეუძლიათ, ბაკალავრიატის საფეხურიდანვე ჩაერთონ კვლევებში და აქტიური სამეცნიერო ურთიერთობა ჰქონდეთ პროფესურასთან“, — აღნიშნა გიორგი ღვედაშვილმა.

თითოეული პროექტი წლის ბოლოსთვის დასრულდება და შედეგები მაღალრეიტინგულ ჟურნალებში გამოქვეყნდება. უნივერსიტეტის მიზანია, იყოს მიმზიდველი საერთაშორისო მასშტაბით, შესაბამისად, იგი უნდა იკავებდეს წამყვან ადგილს რანჟირების საერთაშორისო სისტემებში, რომელთა ერთ-ერთი ძირითადი და უმთავრესი ინდიკატორი არის კვლევა და მისი შედეგები. ეს კი აისახება როგორც მიღებულ გრანტებში, ასევე პუბლიკაციებში, რომელიც გამოქვეყნებულია მაღალრეიტინგულ საერთაშორისო რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალებში.

ᲣᲫᲕᲔᲚᲔᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲡ!

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნება, ჯერჯერობით, შორეული პერსპექტივაა, თუმცა, ისტორიული სამართლიანობის აღდგენა პოლიტიკოსებისთვის, ისტორიკოსებისთვის და, საერთოდ, ერისთვის პრინციპული საკითხია. დღეს ყველასთვის ნათელია, რომ საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ დამკვიდრებული ტერმინი — „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“ — ხელოვნურად არის შექმნილი და ამ უძველეს ქართულ ტერიტორიას ისტორიული სახელი უნდა დაუბრუნდეს. ამ საკითხებზე თსუ-ის პროფესორები: **ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ** *და* **ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲝᲗᲮᲛᲔᲖᲣᲠᲘ** *დიდი ხანია მუშაობენ. მათ მიერ დაწერილი ნაშრომები პერიოდულად ქვეყნდება სხვადასხვა სამეცნიერო კრებულებში. ამჯერად ქართველი მეცნიერები კიდევ ერთ ახალ ნაშრომზე მუშაობენ, რომელიც ცალკე წიგნად გამოიცემა და უახლოეს მომავალში დღის სინათლეს იხილავს.*

ᲨᲣᲠᲗᲮᲘᲐ ᲒᲔᲠᲝᲨᲕᲘᲚᲘ



„შიდა ქართლი ქართული ეთნოსის და კულტურის ერთ-ერთი ის ადგილია, სადაც საფუძველი ჩაეყარა ჩვენს სახელმწიფოებრიობას. გეოგრაფიულად შიდა ქართლი ეს არის დღევანდელი მცხეთის, კასპის, გორის, ქარელის, ხაშურის რაიონები და სსრ კავშირის დროს არსებული ე.წ. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ ოთხი რაიონი: ცხინვალის, ახალგორის, ზნაურისა და ჯავის ავტონომიური რაიონები, რომლებიც დღეს, სამწუხაროდ, თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის შემადგენლობაშია და ოკუპირებულია რუსეთის მიერ.

დღეს თითქოს სადავო აღარ არის, რომ „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი” — ეს ხელოვნურად დამკვიდრებული ტერმინია, რომელიც პოლიტიკური თვალსაზრისით შეიქმნა. ასეთი რამ, როგორც ადმინისტრაციული ან გეოგრაფიული ერთეული, XIX საუკუნემდე ბუნებაში არ არსებობდა. მას ცხინვალის რეგიონი ჰქვია. ისტორიულად, ჩვენსა და ოსებს შორის დაპირისპირება არ ყოფილა — კონფლიქტი წარმოიშვა 1918-1921 წლებში და შემდეგ 90-იან წლებში, როდესაც დამოუკიდებლობისთვის ვიბრძოდით. რუსეთისთვის ეს იყო შენელებული მოქმედების ნაღმი, იმ შემთხვევაში, თუ მისი იურისდიქციიდან გავიდოდით. ცხადია, რომ დღესაც ამ კონფლიქტს გარეშე ძალები ინსპირირებენ“, — განაცხადა გიორგი ოთხმეზურმა.

გიორგი ოთხმეზურის თქმით: „შიდა ქართლი ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლებით არის მოფენილი. ცხინვალის რეგიონში 80-იან წლებში ხშირად ვმონაწილეობდი ექსპედიციებში, ამიტომ მნიშვნელოვანი მასალა დამიგროვდა, მათ შორის, ეპიგრაფიკული ძეგლებიც, რომლებიც ახალ კრებულში შევა. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ახალი წიგნი სამეცნიერო-პოპულარულ ენაზეა დაწერილი, რადგან წმინდა სამეცნიერო ნაშრომები მხოლოდ მეცნიერთა ვიწრო წრისთვის არის გასაგები. ჩვენი მიზანია, ამ საკითხით ფართო საზოგადოებაც დაინტერესდეს“, — ამბობს გიორგი ოთხმეზური.

მონოგრაფიაში განხილულია შიდა ქართლის, ზოგადად, და, კონკრეტულად, ამ რეგიონის ჩრდილოეთ ნაწილის, ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ისტორია, მისი როლი ქართული სახელმწიფოებრიობისა და ქართული კულტურის განვითარებაში ქართული და უცხოური საისტორიო წერილობითი წყაროების, ისტორიული რუკების, აღწერის დავთრების და სხვა მასალების საფუძველზე.

„ვფიქრობ, ხმამაღლა ნათქვამი არ იქნება, რომ ცხადად წარმოვაჩინეთ ცხინვალის რეგიონი, სადაც პალეოლითის ხანიდან ადამიანის ცხოვრების უწყვეტი ჯაჭვი დასტურდება. იგი ყოველთვის ქართული სახელმწიფოს და ქართული ეკლესიის განუყოფელი ნაწილი იყო. მმართველი ზედაფენისა თუ რიგითი მოსახლეობის — ძირითადად ქართველების სალაპარაკო, სალიტერატურო, სახელმწიფო და საეკლესიო ენა ქართული იყო“, — აღნიშნა გიორგი ოთხმეზურმა.

მნიშვნელოვანია, რომ ახალი წიგნის გამოცემა შემოდგომაზე იგეგმება და მისი პრეზენტაცია თბილისში, „მუზეუმი ღია ცის ქვეშ“ ოსური სახლის გახსნაზე გაიმართება.

ეროვნული ვალუტის გაუფასურების მიზეზები

თსუ ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრის კვლევა

თსუ-ში წიგნის „საქართველოს ეროვნული ვალუტის უსაფრთხოების პრობლემა და თანამედროვე გამოწვევები“ პრეზენტაცია გაიმართა. ნაშრომში განხილულია უკანასკნელ პერიოდში ეროვნული ვალუტის გაცვლით კურსზე ზემოქმედი ადგილობრივი (საქართველოს მთავრობის, ეროვნული და კომერციული ბანკების ქმედებები) და საგარეო ფაქტორები (ფულადი გზავნილები, რუსეთ-უკრაინის კრიზისი, ნავთობის ფასების გავლენა, საერთაშორისო ორგანიზაციების როლი და სხვა.), ასევე, მოცემულია მდგომარეობის დაძლევის მოკლევადიანი და გრძელვადიანი რეცეპტები, როგორც ეროვნული ბანკისთვის, ასევე, სამთავრობო ორგანოებისთვისაც.

ნაშრომის ავტორები არიან თსუ-ის ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრის დამფუძნებლები ოთარ ანგურიძე, ირაკლი დოლონაძე და ვახტანგ ჭარაია. გამოცემის რედაქტორი და წინასიტყვაობის ავტორი თსუ-ის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა გახლავთ.

ნატო ოგოლაძე

ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ლარის გაუფასურებამ შეუქცევადი ხასიათი მიიღო. ნაშრომში „საქართველოს ეროვნული ვალუტის უსაფრთხოების პრობლემა და გამოწვევები“ ავტორები აღნიშნავენ, რომ „1 აშშ-ს დოლარის ოფიციალურმა გაცვლითმა კურსმა 2,3303 ლარი შეადგინა, რაც ბოლო 17 წლის განმავლობაში (1998 წლიდან მოყოლებული) ისტორიული მაქსიმუმია“. განვითარებული მოვლენების პარალელურად საზოგადოება მედიის საშუალებით ლარის გაუფასურების გამომწვევი მიზეზების შესახებ სხვადასხვა მოსაზრებებსა და შეფასებებს ისმენდა. განსაკუთრებით ხშირად ხმიანდებოდა, რომ ქვეყანაში სავალუტო და ფინანსური კრიზისია. დაისვა ბევრი კითხვა, მათ შორის, განსაკუთრებით აქტუალური გახლდათ – თუ რომელია ობიექტური, ადეკვატური და ექსპერტული შეფასება ეროვნული ვალუტის კურსის ცვლილებასთან დაკავშირებით? სწორედ შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე გადაწყვიტეს თსუ-ის ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრის დამფუძნებლებმა სიღრმისეული კვლევის ჩატარება, რომლის შედეგებიც საზოგადოებას 29 ივნისს გამართულ პრეზენტაციაზე წარუდგინეს.

„მუსირებს აზრი, რომ საქართველოში ეკონომიკური კრიზისია. ამ ვითარებაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომისტებს თავისი სათქმელი უნდა ეთქვათ. ჩვენმა სამმა დოქტორანტმა წარმოადგინა ნაშრომი, რომლითაც გამოეხმაურნენ ქვეყნის ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენებს. მთავარი მიზანი ვითარების გაანალიზება იყო, რათა მომავალში მსგავსი პრობლემებისგან თავი დავიზღვიოთ. ნაშრომზე მუშაობა თვენახევრის წინ დასრულდა, ამიტომ დღეს მიმდინარე საკითხები ნაკლებად არის განხილული. თუმცა, წარმოდგენილია - თუ რა პრობლემებთან გვაქვს საქმე. მედიაში და პოლიტიკაშიც ხშირად სვამენ კითხვას — ვინ არის დამნაშავე? ამ შემთხვევაში, კვლევისას, საკითხი ასე არ დგას. დოქტორანტებისთვის პრიორიტეტული იყო არა დამნაშავის ძიება, არამედ ვითარების ობიექტური გაანალიზება; გარკვევა – რას ვერ ავიცილებდით თავიდან და რისი გაკეთება შეიძლებოდა უკეთესად.

რა თქმა უნდა, არც ამ ახალგაზრდა ეკონომისტების კვლევის შედეგებია დაზღვეული შესაძლო ხარვეზებისგან, თუმცა, ვფიქრობ, ამ შედეგების გაცნობა საინტერესო იქნება მკითხველთა ფართო წრისთვის, ხოლო ნებისმიერი საქმიანი შენიშვნა ხელს შეუწყობს ამ ნაშრომის შემდგომ სრულყოფას“, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა ვლადიმერ პაპავამ.

ეროვნული ვალუტის კურსის ცვლილების გამომწვევი ფაქტორების დასადგენად, აგრეთვე, მისი დასტაბილურებისა და მომდევნო საფრთხეების თავიდან აცილების მიზნით, ანალიზი სამი მიმართულებით განხორციელდა: ლარის კურსის დევალვაციაზე ზეგავლენის მქონე ადგილობრივი, საერთაშორისო და სუბიექტური ფაქტორები. ნაშრომის ავტორებმა კვლევისას რამდენიმე მეთოდი გამოიყენეს: ხარისხობრივი, თვისებრივი, შედარებითი, სტატისტიკური ანალიზის, დაჯგუფების, ინდუქციური, დედუქციური, სინთეზის, „ქეისსთანდი“ (შემთხვევების შესწავლა) და ევრისტიკული. როგორც მკვლევარები ნაშრომში აღნიშნავენ, ისინი დაეყრდნენ ქართველ და უცხოელ მეცნიერთა კვლევებს, საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემებს, პერიოდულ გამოცემათა მასალებს, საქართველოსა და უცხოური ცენტრალური ბანკების ნორმატიულ და სტატისტიკურ დოკუმენტაციას. გამოკვლევა ჩაატარეს საქართველოს ეროვნული ბანკის, მსოფლიო ბანკის, მსოფლიო სავალუტო ფონდის, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და სხვა ორგანიზაციებიდან მოპოვებული ფაქტობრივი მონაცემების ანალიზის საფუძველზე.

ნაშრომში ეროვნული ვალუტის გაუფასურების ობიექტურ მიზეზებად დასახელებულია სავაჭრო ბალანსის გაუარესება (მათ შორის, ექსპორტის და იმპორტის ერთდროული შემცირება), ფულადი გზავნილების ნაკადის შემცირება, კრიზისი მეზობელ სახელმწიფოებში (რუსეთი, უკრაინა) და საბაჟო პოლიტიკის ცვლილება სომხეთსა და აზერბაიჯანში. კვლევის ავტორები ეროვნული ვალუტის გაუფასურების იმ მიზეზებს უარყოფენ, რომლებიც საექსპერტო წრეებში აქტიურად განიხილებოდა – ეს ეხება ჰიპოთეზას პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადებს და შემოსავლებს ტურიზმიდან.

არის თუ არა საქართველოში სავალუტო და ფინანსური კრიზისი?

„წიგნში მთავარ პრობლემად ეროვნული ვალუტის გაუფასურების საკითხია დასმული, თუმცა პრობლემა არა იმდენად გაუფასურებაშია, რამდენადაც მის მაღალ ტემპში. ამ საკითხს შედარებით ნაკლები ყურადღება დაეთმობოდა და ვითარება არ გამწვავდებოდა, ლარის კურსის დევალვაციის ასეთი ტემპი რომ არ ყოფილიყო. რაც შეეხება კითხვას — არის თუ არა საქართველოში სავალუტო და ფინანსური კრიზისი? ჩვენი პასუხია – არა. ამ შემთხვევაში ვეყრდნობით ამერიკელი, ევროპელი ავტორების ნაშრომებს. მათი მოსაზრებების თანახმად, თუ ეროვნული ვალუტის გაუფასურებამ ერთი კვარტლის განმავლობაში გადააჭარბა 25%-ს, ქვეყანაში სავალუტო კრიზისია. ჩვენს წიგნში გვაქვს მოცემული ინფორმაცია, რომ საქართველოში ასეთი მაჩვენებელი არ ყოფილა. შესაბამისად, სავალუტო და ფინანსური კრიზისი გამორიცხულია. ჩვენი აზრით, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რამაც ეროვნული ვალუტის ცვლილება განაპირობა, გახლავთ ადგილობრივი და საგარეო ფაქტორები — საქართველოს მთავრობის, ეროვნული და კომერციული ბანკების ქმედებები, ფულადი გზავნილები, რუსეთ-უკრაინის კრიზისი, ნავთობის ფასების გავლენა, საერთაშორისო ორგანიზაციების როლი და სხვა. მთავრობამ ყველანაირად ხელი უნდა შეუწყოს ეკონომიკურ ზრდას და არ დაივიწყოს ეკონომიკური განვითარების პარამეტრებიც. ვფიქრობთ, რომ პოლიტიკოსებმა არჩევნების დროს გაჟღერებული დაპირებები უკეთ უნდა გაიაზრონ. ვგულისხმობ, რომ ხშირად ისეთი დაპირებების მიცემას ცდილობენ, რისი შესრულებაც შეუძლებელია, ან შესრულების შემთხვევაში ქვეყნის ეკონომიკას ზიანს აყენებს. ეროვნული ვალუტის კურსის ცვლილების პროცესში ეროვნული ბანკის ძირითადი ფუნქცია გახლავთ ფასების და ფინანსური სტაბილურობა. ამისათვის მას გააჩნია ისეთი ინსტრუმენტები, როგორებიცაა სავალუტო ინტერვენციები, მონეტარული პოლიტიკა, მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები და საზოგადოების დროული ინფორმირება. ჩვენი აზრით, ეროვნულ ბანკს ეროვნული ვალუტის დასტაბილურებისთვის უფრო მეტი უნდა გაეკეთებინა, რადგან შესაბამისი ბერკეტები გააჩნია. ასევე ვფიქრობთ, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებთან უფრო ღრმა კომუნიკაცია და მათგან მეტი რეკომენდაციების მიღებაა საჭირო. მთავრობამ, ეროვნულმა ბანკმა, საზოგადოებამ თავისი წილი ინფორმაცია უნდა მიიღონ იმის შესახებ, თუ რა არის მოსალოდნელი და თავისი მკაფიო პოზიცია გამოხატონ“, — განაცხადა ნაშრომის „საქართველოს ეროვნული ვალუტის უსაფრთხოების პრობლემა და თანამედროვე გამოწვევები“ ერთ-ერთმა ავტორმა ვახტანგ ჭარაიამ.

წიგნში მკვლევრებმა სამთავრობო და საბანკო სექტორის წარმომადგენლებისთვის გამიზნული რეკომენდაციებიც გაწერეს. მათი კვლევის შედეგების მიხედვით, მნიშვნელოვანია, მეტი ყურადღება დაეთმოს ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობას და ეკონომიკის რეალური სექტორის გააქტიურებას, რაც გამოიწვევს ადგილობრივ ვალუტაზე მოთხოვნის ზრდას და შეამცირებს მგრძნობელობას გარე შოკების მიმართ; აუცილებელია ეროვნულ ბანკსა და სამთავრობო გუნდს შორის მჭიდრო თანამშრომლობა ქვეყნის მდგრადი მაკროეკონომიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად; ასევე, მათი აზრით, მნიშვნელოვანია შევიდეს ცვლილებები საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“, კერძოდ კი, მე-3 მუხლში, სადაც განსაზღვრულია ეროვნული ბანკის ფუნქცია-მოვალეობები. ამ მუხლის მიხედვით გამოდის, რომ ეროვნულმა ბანკმა, ფასების სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით, უარი უნდა თქვას ყველა სხვა ამოცანის შესრულებაზე, რომელიც ფინანსური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად არის საჭირო.

„ვფიქრობთ, აუცილებელია, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ იტვირთოს ქვეყნის გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების გეგმების შემუშავება და მისი განხორციელება. „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია – „საქართველო 2020-ის“ ფარგლებში ყველა სამინისტრომ უნდა შეიმუშაოს სტრატეგიული განვითარების მიზნებს მორგებული ერთიანი ინდივიდუალური სამუშაო გეგმა. წინაადმდეგ შემთხვევაში ეს დოკუმენტი შედეგს არ მოიტანს. მიგვაჩნია, რომ საქართველოს პარლამენტს ქვეყანაში სტაბილურობის უზრუნველსაყოფად ძალიან დიდი როლი აქვს. შესაბამისად, მისი მოვალეობაა, რომ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“, კერძოდ კი, მე-3 მუხლი ორაზროვნად არ იკითხებოდეს. ასევე, აუცილებელია საქართველოს მთავრობისა და ეროვნული ბანკის პასუხისმგებლობა კონკრეტულ საკითხებზე კონკრეტულად განისაზღვროს“, — აღნიშნა ნაშრომის პრეზენტაციაზე ვახტანგ ჭარაიამ.

პრეზენტაციას საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მრჩეველი გიორგი ბაქრაძეც ესწრებოდა. მან ეროვნული ვალუტის დევალვაციის მიზეზებზე ისაუბრა და თსუ-ის დოქტორანტების კვლევა შეაფასა. თუმცა, ნაშრომში რეკომენდაციების ნაწილს არ დაეთანხმა, მათ შორის, შეთავაზებას ეროვნული ბანკის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-3 მუხლის შესწორების თაობაზე.

„კარგი პრეცედენტია, როდესაც ახალგაზრდა ავტორები საინტერესო კვლევას წერენ. დიდი ინტერესით წავიკითხე და დიდი მადლობა მათ. მაქვს რამდენიმე შენიშვნა, რაც აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რადგან, სამწუხაროდ, პოლიტიკური მოტივების გამო ეროვნული ბანკის კრიტიკა მოდაშია. ვეთანხმები ავტორებს, რომ ძირითადი პრობლემა, რაც ბოლო თვეებში გვქონდა, საგარეო ფაქტორებით იყო განპირობებული. დღეს ეროვნულმა სავალუტო კურსმა იპოვა ახალი წონასწორობა. ბატონმა გიორგი კვირიკაშვილმა შემოგვთავაზა გეგმა, რომელიც მსხვილ პრივატიზაციას და უცხოური ინვესტიციების მოზიდვას ითვალისწინებს. ეს აუცილებელია ჩვენი სავალუტო კურსის სტაბილურობისთვის. რაც შეეხება შენიშვნას ეროვნული ბანკის მანდატის შესახებ, არა მგონია, საკანონმდებლო შესწორებას საჭიროებდეს. ფასების სტაბილურობა ნებისმიერი ცენტრალური ბანკის პირველი მანდატია, თუმცა არასაკმარისი პირობაა ეკონომიკური განვითარების შეუფერხებლობისთვის. ჯერჯერობით ფინანსური სისტემა მუშაობს, ამიტომ მანდატის შეცვლა არაპროდუქტიული იქნება. ასევე, ჩვენ, როგორც ყოველთვის, მზად ვართ მთავრობასთან კომუნიკაციისთვის“, — განაცხადა გიორგი ბაქრაძემ.

წიგნის „საქართველოს ეროვნული ვალუტის უსაფრთხოების პრობლემა და თანამედროვე გამოწვევები“ პრეზენტაციას, ასევე, ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე თამაზ მეჭიაური, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მუდმივმოქმედი წარმომადგენელი საქართველოში აზიმ სადიკოვი, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროების, თბილისის მერიის, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, ექსპერტები, პროფესორები და სტუდენტები. კვლევის შედეგების გაცნობის შემდეგ მოწვეულმა ექსპერტებმა და მთავრობის წარმომადგენლებმა განსხვავებული მოსაზრებები გამოთქვეს. მათი ნაწილი დაეთანხმა მკვლევრების დასკვნებსა და რეკომენდაციებს, ნაწილმა კი საპირისპირო შეხედულებები გააჟღერა.

„ნაშრომის ნაწილს გავეცანი და ნამდვილად საინტერესოა. მანამდეც ვიცოდი ამ ახალგაზრდების პოზიცია. ვიცნობ მათ და ვიცი, რომ ნამდვილად ნიჭიერი და კვალიფიციურები არიან. საქართველოს მთავრობა და პარლამენტი ბევრ საკითხს, რომელიც ამ ნაშრომშია მოცემული, უკვე ითვალისწინებს. საკითხების ნაწილი – მისაღებია. ჩვენ გვინდა, რომ ახალგაზრდა მკვლევრებთან თანამშრომლობა მომავალშიც განვაგრძოთ. ვფიქრობ, ეს დადებით შედეგს მოიტანს“, — განაცხადა საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ თამაზ მეჭიაურმა.

„სრულიად ვიზიარებ ჩემი ახალგაზრდა კოლეგების აზრს, რომ ეროვნული ვალუტის კურსის დევალვაცია ბევრმა ფაქტორმა განაპირობა. ვფიქრობ, ამ ვითარებაში ერთ-ერთი აქტუალური პრობლემა ეროვნული ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობა გახლდათ. საზოგადოება სრულიად დეზინფორმირებული იყო მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, ხალხი ხან ლარის, ხან კი დოლარის საყიდლად გარბოდა. კომუნიკაცია იყო არასწორი და ამიტომ მივიღეთ ასეთი შედეგი. მომავალში, ვფიქრობ, ეროვნული ბანკისთვის ერთ-ერთი მთავარი საკითხი საზოგადოებასთან ურთიერთობის დახვეწა იქნება.

მიხარია, რომ ახალგაზრდები ეკონომიკურ ზრდასა და ეკონომიკურ განვითარებას შორის არსებულ განსხვავებაზე საუბრობენ. ქვეყანა საკმაოდ დიდი ხანი მხოლოდ ეკონომიკურ ზრდას აღიარებდა, თუმცა ჩვენ მიდგომა შევცვალეთ და ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი სწორედ ეკონომიკური განვითარებაა“, — აღნიშნა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილემ, ეკონომიკურ ბლოკში ბუნებრივი რესურსების რაციონალურ განვითარებაზე პასუხისმგებელმა თეიმურაზ მურღულიამ.

ეროვნული ვალუტის დევალვაციის პერიოდში ეროვნული ბანკის საზოგადოებასთან სუსტ კომუნიკაციაზე ისაუბრა პროფესორმა მერაბ კაკულიამაც. თუმცა, განსხვავებული მოსაზრება გამოთქვა პროფესორმა ემზარ ჯგერენაიამ. მან ეროვნული ბანკის მუშაობა ცალსახად დადებითად შეაფასა.

„დიდი მნიშვნელობა აქვს ცენტრალური ბაკის კომუნიკაციას საზოგადოებასთან. გაცვლითი კურსის მდგომარეობის შესახებ ობიექტური და სწორი სიგნალები უნდა მიაწოდოს. კარგი იქნებოდა, რომ წარმოდგენილ ნაშრომში მოსალოდნელ ვითარებაზე მეტი საუბარი ყოფილიყო, თუმცა რეკომენდაციებში ამის შესახებ ჩანაწერი არის. საბოლოო ჯამში, ჩემი აზრით, ეროვნული ბანკის ყველაზე დიდი შეცდომა საზოგადოებასთან არასწორი კომუნიკაცია გახლდათ“, — აღნიშნა პროფესორმა მერაბ კაკულიამ.

„ჩვენ მიჩვეულები ვართ, რომ „მამები“ მოხსენებით გამოდიან და „შვილები“ უსმენენ. ნაშრომის პრეზენტაციისას კი პირიქით მოხდა. ამიტომაც მიმაჩნია, ეს ისტორიული დღეა. არ აქვს მნიშვნელობა - მათი კვლევის შედეგებს ვეთანხმებით თუ არა, დოქტორანტებმა საკმაოდ მნიშვნელოვანი სამუშაო შეასრულეს და ვისურვებდი, რომ ყველა გამოთქმული შენიშვნა გაითვალისწინონ. მინდა აღვნიშნო, რომ ეროვნული ბანკის მუშაობას ძალიან დადებითად ვაფასებ. მან თითქმის ყველაფერი გააკეთა სტაბილურობის მისაღწევად“, — განაცხადა პროფესორმა ემზარ ჯგერენაიამ.

თსუ-ის ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრი საქართველოს ეკონომიკის აქტუალურ პრობლემებზე მუშაობის გაგრძელებას მომავალში აქტიურად გეგმავს, მათ შორის, ეროვნული ვალუტის უსაფრთხოების საკითხების კვლევასაც. ამის შესახებ ნაშრომის „საქართველოს ეროვნული ვალუტის უსაფრთხოების პრობლემა და თანამედროვე გამოწვევები“ ერთ-ერთმა ავტორმა და ცენტრის გამგეობის თავმჯდომარემ ოთარ ანგურიძემ აღნიშნა: „ჩვენ საინტერესო მოსაზრებები მოვისმინეთ. მედიის საშუალებით მოწვეულ სტუმართა შეხედულებების შესახებ ინფორმაცია წინასწარაც გვქონდა, თუმცა გვინდოდა განსხვავებული აზრებიც მოგვესმინა. ჩვენი შემდგომი კვლევებისას კვალიფიციურ რჩევებს აუცილებლად გავითვალისწინებთ“.

აღსანიშნავია, რომ დოქტორანტებმა წიგნზე მუშაობა ჯერ კიდევ ერთი თვის წინ დაასრულეს. თუმცა, იმ დროს შექმნილი პოლიტიკური დაძაბულობის ფონზე, ავტორებისა და ნაშრომის რედაქტორის გადაწყვეტილებით, პრეზენტაცია გადაიდო, რათა გარკვეული სპეკულაციების მიზეზი არ გამხდარიყო.

აკაკი წერეთლის იუბილისადმი მიძღვნილი კვირეული

პირველი გვერდიდან

„აკაკი წერეთელი ქართველი ერისთვის განსაკუთრებული პიროვნება, პოეტი და საზოგადო მოღვაწეა, რომელმაც თავისი შემოქმედებით იმედი ჩაუსახა ქართველ ერს. მან უკვდავი ლექსები გვაჩუქა და დიდი პოპულარობა სიცოცხლეშივე მოიპოვა. აკაკის სახელი უკვდავია. 175 წელი მნიშვნელოვანი თარიღია, მას აღნიშნავს იუნესკო, მთელი საქართველო და, მათ შორის, უნივერსიტეტიც. აკაკის შემოქმედება არის ეროვნული და, ამავდროულად, ზოგადსაკაცობრიო და ამიტომ იგი ყოველთვის იყო, არის და დარჩება სამარადისოდ. ჩვენი უნივერსიტეტი, მიუხედავად იმ ტრაგიკული დღეებისა, რომელიც სულ ახლახან ყველამ ერთად გადავიტანეთ, იუბილეს სხვადასხვა ღონისძიებით ხვდება, რაც იმის დასტურია, რომ მისი გახსენება იმედის მომცემი იქნება უკეთესი მომავლისთვის“, — მიმართა თსუ-ის რექტორმა, აკადემიკოსმა ლადო პაპავამ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის გახსნისას დამსწრე საზოგადოებას.

ღონისძიების მონაწილეებს მიესალმა და აკაკი წერეთლის შემოქმედებისა და მოღვაწეობის მნიშვნელობაზე ისაუბრა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემაც: „აკაკი წერეთელმა და მისმა თანამედროვე საზოგადო მოღვაწეებმა შეძლეს და შეცვალეს საქართველოს ისტორია. მათ თავიანთი ქვეყნისთვის ბევრი სასიკეთო რამ გააკეთეს, ამიტომ ვამაყობთ, რომ გვყავდა აკაკი. მისი შემოქმედება გულგრილს არავის ტოვებს, რადგან სწორედ ასეთ ადამიანებს შეუძლიათ ქვეყნის გადარჩენა. ამდენად მნიშვნელოვანია მისი შემოქმედებით ახალგაზრდა თაობის დაინტერესება“, — აღნიშნა თამარ სანიკიძემ.

„აკაკი წერეთლის შემოქმედება ქართულ და მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში“, „აკაკი წერეთლის შემოქმედება და თანამედროვეობა“ „XIX საუკუნის ქართული და მსოფლიო სალიტერატურო პროცესები“, „აკაკი წერეთლის შემოქმედება კულტურათშორისი კომუნიკაციისა და კულტურათა დიალოგის თვალსაზრისით“ — ამ და სხვა თემატიკით წარსდგნენ პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე, სადაც მრავალმხრივი კუთხით წარმოაჩინეს აკაკი წერეთლის შემოქმედება.

საინტერესო იყო თსუ-ის პროფესორის ოთარ ბაქანიძის მოხსენება, რომელიც ქართველი პოეტის უკრაინასთან კავშირს და ტარას შევჩენკოსთან ურთიერთობას შეეხებოდა. „აკაკი წერეთლის ცხოვრება და შემოქმედება რამდენადმე დაკავშირებული იყო უკრაინასთან. იგი უკრაინის ხშირი სტუმარი გახლდათ. უნივერსიტეტის სტუდენტი, 19 წლის აკაკი პეტერბურგში უკრაინული ლიტერატურის უდიდეს წარმომადგენელს ტარას შევჩენკოს შეხვდა, რომელთანაც შთამბეჭდავი საუბარი ჰქონდა. 1890 წლებში უკრაინულ ენაზე პირველად ახმიანდა აკაკი წერეთლის ნაწარმოებები. უაღრესად ნაყოფიერი იყო ხარკოვში აკაკი წერეთლის მოღვაწეობა, მწერალი ხარკოვში მუშაობდა ნაწარმოებებზე: „ჩემი თავგადასავალი“, „მედეა“, „ბაში-აჩუკი“ და სხვა. უკრაინაში მყოფი მწერალი დაინტერესდა ქართული დასახლებებით, ძველი ქართული ხელნაწერებით, ეძიებდა დიდი ქართველი პოეტის დავით გურამიშვილის საფლავს. საინტერესოა აკაკი წერეთლის კონტაქტები უკრაინულ საზოგადოებასთან. ხარკოვის არქივებში შენახული მასალები გვაფიქრებინებს, რომ ხარკოველ ინტელიგენციას კავშირი ჰქონდა ქართველ მგოსანთან. აკაკი წერეთელი მთელი სიცოცხლის მანძილზე გულში ატარებდა უკრაინელი ხალხის სიყვარულს. თავის საჯარო გამოსვლებში, პრესაში იგი პატივს მიაგებდა ამ ქვეყანას, მის ლიტერატურას, კულტურას“, — აღნიშნულია ოთარ ბაქანიძის მოხსენებაში.

აკაკი წერეთლის თხზულებათა აკადემიური ოცტომეულის გამოსვლასთან დაკავშირებულ სიახლეებზე ისაუბრა თსუ-ის შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის პროფესორმა ჯულიეტა გაბოძემ. „აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული კრებულის ბოლო გამოცემიდან ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა. ძველი გამოცემები, გარდა იმისა, რომ სათანადო მოთხოვნებს ველარ აკმაყოფილებდა, ბიბლიოგრაფიულ იშვიათობასაც წარმოადგენდა. ამიტომ 2009 წელს შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში დაიწყო აკაკი წერეთლის ოცტომეულის გამოსაცემად მზადება, რომელიც რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა დააფინანსა. აკაკი წერეთლის ახალი აკადემიური ოცტომეული მომზადდა ედიციური მოთხოვნების საფუძველზე: გამოცემა შეივსო მრავალი ახალგამოვლენილი, ცენზურის მიერ აკრძალული თუ საბჭოური კონიუნქტურის გამო გამოუცემლად დარჩენილი მხატვრული და პუბლიცისტური ნაწარმოებებით, პირადი წერილებით, დოკუმენტური მასალით. დღეისთვის გამოცემულია I - V ტომები, წლის ბოლოს დაიბეჭდება VI – X ტომები“, — აღნიშნა ჯულიეტა გაბოძემ.

აკაკი წერეთლის შემოქმედებაზე ისაუბრეს: თსუ-ის პროფესორ-მასწავლებლებმა: ცირა ბარამიძემ („კავკასიური ტრადიციული კულტურა აკაკი წერეთლის შემოქმედებაში“), ნაირა ბეპიევამ („მხატვრული სიმბოლოები აკაკი წერეთლის ლირიკაში“), ნინო გელოვანმა („პირველი ქართული დოკუმენტური კინო და აკაკი წერეთელი“), იევა კალინინამ („აკაკი წერეთლის რეცეფცია ლატვიურ ლიტერატურაში“), ნინო პოპიაშვილმა („აკაკი წერეთლის „სულიკო“, გენეზისი და ლიტერატურული არქეტიპები“), მარია ფილინამ („აკაკი წერეთელი. პოეზიის პოლონური თარგმანები“) და სხვებმა.

აღსანიშნავია, რომ კვირეულის ფარგლებში გაიმართა აკაკისადმი მიძღვნილი ახლად გამოცემული წიგნების პრეზენტაცია.

„უკვდავი მეგობრობა“ — ასე ჰქვია ქეთევან გაფრინდაშვილისა და ეთერ ქავთარაძის ავტორობით გამოცემულ წიგნს, რომელიც აკაკი წერეთლისა და ივანე ელიაშვილის ურთიერთობას ეხება. „არსებობს ურთიერთობები, რომელსაც სიტყვით ვერ გადმოსცემ, აკაკი წერეთლისა და ივანე ელიაშვილის მეგობრობაც სისხლხორცეულ ჰარმონიას ეფუძნებოდა. წიგნში წარმოდგენილი მოგონებები, პირადი და პუბლიცისტური წერილები, რომელთა უმეტესობა დღემდე გამოუქვეყნებელია და საზოგადოებისთვის უცნობია. მათი პუბლიკაცია ნათელს მოჰფენს არა მარტო აკაკისა და ივანე ელიაშვილის უკვდავ მეგობრობას, არამედ ჩვენი ქვეყნის მე-19 საუკუნის მიწურულისა და 20-ე საუკუნის დასაწყისის კულტურულ-ისტორიულ წარსულსაც. აღსანიშნავია, რომ უახლოესი მეგობრობის ფონზე, რაც აკაკი წერეთელსა და ივანე ელიაშვილს ჰქონდათ, სამწუხაროდ, ამ ურთიერთობის ამსახველი მხოლოდ მწირი წერილობითი წყაროები შემორჩა. წინამდებარე კრებულში მოთავსებული ტექსტების ნაწილი დაბეჭდილია პრესაში“, — აღნიშნულია წიგნის წინასიტყვაობაში.

„ჩემი ხატია სამშობლო“ — ლადო მინაშვილისა და ოთარ ბაქანიძის ავტორობით შედგენილი წიგნია, რომელიც პოეტის იუბილესთან დაკავშირებით გამოიცა. მასში განხილულია აკაკი წერეთლის ცხოვრება და მოღვაწეობა, მისი ამაგი და ღვაწლი ქართულ ლიტერატურაში და, საერთოდ, ქართველი ხალხის წინაშე. ცალკე თავი ეძღვნება უკრაინაში აკაკი წერეთლის მოღვაწეობას, აღწერილია უკრაინის ლიტერატურის უდიდეს წარმომადგენელთან ტარას შევჩენკოსთან შეხვედრა. „რუსთაველის შემდეგ ქართულ პოეზიაში არც ერთ პოეტს არ ღირსებია ისეთი დიდი სახალხო სიყვარული და აღიარება, როგორც აკაკი წერეთელს. ერი თავის დიდ შემოქმედთ ყოველთვის მიაგებს პატივს. ეს მარტო იმ დიდ ხელოვანთათვის კი არ არის საჭირო, არამედ ჩვენთვისაც, რათა ყოველთვის ეროვნული სულისკვეთება გვქონდეს — ეს პატარა ერის შემთხვევაში აუცილებელია. სასიხარულოა, რომ წელს იუნესკომ ეს წელი აკაკის წლად გამოაცხადა“, — აღნიშნა წიგნის პრეზენტაციაზე პროფესორმა ლადო მინაშვილმა.

როგორც თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა დარეჯან თვალთვაძემ აღნიშნა, წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა აკაკის იუბილე, მიუხედავად 13 ივნისს თბილისში დატრიალებული ტრაგედიისა, განსაკუთრებულად აღნიშნა. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ღონისძიებებში ჩაერთვნენ სტუდენტები, კერძოდ, კვირეულის ფარგლებში მოეწყო სტუდენტური ღონისძიებები: „ვკითხულობთ აკაკის“ და „უკვდავი მეგობრობა“. ღონისძიებების მონაწილეებმა მთაწმინდის პანთეონში ყვავილებით შეამკეს მგოსნის საფლავი.

მოამზადა **შურთხია ბეროშვილმა**



პრობლემების გამოსწორებას დრო დაჭირდება

რეგიონალურ მაუწყებელთა ასოციაციის აღმასრულებელ დირექტორს, თსუ-ის ჟურნალისტიკის მიმართულების ასოცირებულ პროფესორს ნათია კუპრაშვილს *1 ივლისს შევხვდით საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციის (GARB) ოფისში. ამ თარიღს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მედიისთვის და საეტაპოდ შეიძლება ჩაითვალოს: 1 ივლისიდან საქართველოში ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესი დაიწყო. სიახლე ტექნოლოგიური ხასიათისაა, მაგრამ აუცილებლად მოიტანს არსებით ცვლილებებს როგორც მედიაბიზნესში, ისე მედიის საქმიანობის წესსა და საზოგადოების ქცევაში, რომლისთვისაც ინფორმაციაზე წვდომა და არჩევანის არეალი, დღევანდელთან შედარებით, წარმოუდგენლად ფართოვდება. ანალოგურიდან ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა ეტაპობრივია და თავდაპირველად ის თბილისს, რუსთავს, საგარეჯოსა და მარნეულს შეეხო. რეგიონული მაუწყებლობის ასოციაცია, რომლის წევრებსაც უშუალოდ ეხებათ აღნიშნული ცვლილებები, თავიდანვე აქტიურად იყო ჩაბმული პროცესში და მნიშვნელოვანი ინიციატივითაც გამოვიდა.*

რას მოუტანს ქართულ მედიას ახალი ტიპის მაუწყებლობაზე გადასვლა ქართულ? როგორია მეცნიერებისა და მედიის როლი საზოგადოების განვითარებაში? როგორ აფასებს ახალგაზრდა მედიამკვლევარი და პრაქტიკოსი მედიამენეჯერი მედიაში მიმდინარე პროცესებს და სად ხედავს საკუთარ ადგილს ამ პროცესებში?

* * *

— ***ნათია, დღეს გარკვეული თვალსაზრისით ისტორიული დღეა. როგორ მიმდინარეობს რეგიონებში ანალოგურიდან ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესი და რა პრობლემებმა იჩინეს თავი?***

— პრობლემების გარეშე ამ პროცესს არც ერთ ქვეყანაში არ ჩაუვლია და ვერც საქართველო იქნებოდა გამონაკლისი, მაგრამ საქართველოში აღმოჩნდა, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონში ჯერჯერობით მხოლოდ საქართველომ შეასრულა ევროპის მაუწყებელთა ასოციაციასთან დადებული პირობა და 2015 წლის ზაფხულიდან დაიწყო ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესი, რაც, თავისთავად, გამოიწვევს პრობლემებს, მაგალითად: გვექნება სიხშირული ხელშეშლები სასაზღვრო ზონებში. გარდა ამისა, საქართველოში ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა დაიგეგმა 2014 წლის ზაფხულში და ერთ წელიწადში მოხდა გადართვა. ასე მოკლე ხანში ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა არსად დაუწყიათ, რასაც აუცილებლად მოჰყვება პრობლემები, რადგან, როგორც უნდა მოინდომო, ერთ წელიწადში სრულყოფილად ვერ გაკეთდება ის საქმე, რაც სამ წელიწადშია გასაკეთებელი.

— ***მოცემული მომენტისთვის რა პრობლემები გამოიკვეთა?***

— ინფრასტრუქტურის მომზადება მეტნაკლებად მოხერხდა, მთავარი პრობლემა არის მოსახლეობა, აუდიტორია, რომელსაც არ აქვს შესაბამისი მიმღები მოწყობილობა: ეს, ჯერ ერთი, იმ ადამიანების უფლების დარღვევაა, რომლებმაც თავის დროზე შეიძინეს სხვა ტიპის მიმღები მოწყობილობები და მათ არავინ აუხსნა, რომ ეს მიმღები აღარ გამოადგებოდა 2015 წლისთვის. ამის კომპენსირება არ ხდება, გარდა სოციალურად დაუცველი ოჯახებისა, რომლებიც უფასოდ მიიღებენ ე.წ. „სეთ-თოფ ბოქსებს". ჩვენი ორგანიზაციის წევრების აზრით, უნდა ამუშავებულიყო დამატებითი პროგრამები. ასევე, არ ვიცით ზუსტად, რამდენად მოხდა აუდიტორიის ინფორმირება ამ რეფორმასთან დაკავშირებით და რამდენად იციან მათ, რა უნდა გააკეთონ ანალოგური მაუწყებლობის გამორთვის დროს. დღეისთვის დაკვირვების რეჟიმში ვართ: სად როგორ მიიღეს სიგნალი, რომელმა მაუწყებელმა როგორ მოახერხა რეგიონში მომზადება. ვიცოდით, რომ პირველი ზონა თბილისთან ერთად იქნებოდა რუსთავი, საგარეჯო და მარნეული, ამიტომ წინასწარ ჩავატარეთ სამუშაოები ამ რაიონების მაუწყებლებთან. ვიცით, რომ ამჟამად ყველა ის არხი, რომელიც რეგიონულ დონეზე გამოირთო ანალოგზე, უკვე მაუწყებლობს ციფრულზე და ვამოწმებთ — სად მოხდა სიგნალის ჩავარდნა. სიგნალის მიღების პრობლემა ამ წუთისთვის არ არსებობს და როგორც თბილისის, ისე რუსთავის ტერიტორიაზე შესაძლებელია უფასოდ დაიჭირო 30 ქართული არხი, მაშინ როცა ანალოგურის შემთხვევაში 4-5 არხის დაჭერა იყო შესაძლებელი. ეს ძალიან კარგია, თუმცა, რამდენად ახერხებს ამ სიკეთის მიღებას ამ ეტაპზე აუდიტორია, უკვე სხვა საკითხია. ცხადია, ამ ყველაფრის მოწესრიგებას დრო დასჭირდება.

— ***თუ პროცესი გეგმის მიხედვით წავიდა, 28 აგვისტოსთვის მთელი საქართველო უკვე გადასული იქნება ციფრულ მაუწყებლობაზე. ეს რას შეცვლის რეგიონებში მოქმედი მაუწყებლების საქმიანობაში?***

— პირველ რიგში, უნდა ვთქვათ, რომ საქართველო ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ ერთადერთი ქვეყანაა, სადაც პატარა არხებს მიანიჭეს ციფრული სიხშირეები და მათ შეუძლიათ მაუწყებლობა საკუთარი გადამცემი სადგურებით. ასეთი მედიაპლურალისტური მოდელით ბევრი ევროპული ქვეყანა ვერ დაიკვეხნის. თუმცა, რადგან ყველა ტელევიზიას მთლიანი ინფრასტრუქტურის გამოცვლა დასჭირდა, ამან სერიოზული მატერიალური დანახარჯები მოითხოვა: რეგიონში მოქმედ ბევრ მაუწყებელს საამისოდ საომომხმარებლო სესხის აღებაც კი დასჭირდათ და მათ არავინ დახმარებია, რაც არასწორია, რადგან ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა არის სახელმწიფოს და არა მაუწყებელთა ვალდებულება. ბევრ ქვეყანაში სახელმწიფომ სპეციალურად შემოიტანა იაფი სესხების პროგრამები მათთვის, ვისაც უშუალოდ ეხებოდა ეს პრობლემა. რეგიონულ მაუწყებელთა მიერ გაწეული ტექნიკური ხარჯები აისახა ამ ტელევიზიების შინაარსობრივ საქმიანობაზე, რადგან რეგიონულ ტელეარხებს მოუხდათ დანაზოგები გაეკეთებინათ სხვა მიმართულებით და ერთ-ერთი ასეთი მიმართულება იყო ტელეპროდუქციის წარმოება. თუმცა, ამ ყველაფერს ის დადებითი მომენტი აქვს, რომ რეგიონულ არხებს შესაძლებლობა უჩნდებათ გაიჩინონ შემოსავლის ახალი წყარო: იცით, რომ ერთი სიხშირე ატარებს 15 სტანდარტული გარჩევადობის არხს და, ამდენად, რეგიონში მაუწყებლებს შეუძლიათ დამატებითი არხების გაქირავება, რაც ადგილებზე ტელევიზიების ფინანსურ მდგრადობას შეუწყობს ხელს. გარდა ამისა, რადგან საქართველოში პატარა არხებს საკუთარი სიხშირეები აქვთ მინიჭებული და არ იქნებიან სახელმწიფო ქსელზე დამოკიდებულნი, ეს მათი დამოუკიდებლობის გარანტიაც იქნება. საბოლოოდ, ეს კარგია აუდიტორიისთვის, რადგან მას მეტი არჩევანის შესაძლებლობა უჩნდება და თუ დღეის მდგომარეობით ქალაქი რუსთავი უკვე იღებს 30 უფასო არხს, როგორც კი ადგილობრივი გადამცემი კიდევ უფრო დაიტვირთება, რუსთავის მოსახლეობას შესაძლებლობა ექნება მიიღოს 40-მდე არხი.

— ***ამ და სხვა პროცესებშიც, რომლებიც მედიის დამოუკიდებლობის საკითხებს უკავშირდება, რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაცია ძალიან აქტიურად არის ჩართული. როდიდან საქმიანობთ ამ ორგანიზაციაში და რა მიზნით არის შექმნილი ასოციაცია?***

— ასოციაცია შეიქმნა 2005 წელს. მაშინ საერთაშორისო ორგანიზაციების რჩევა იყო, რომ რეგიონში მოქმედ ტელევიზიებს ძალები გაეერთიანებინათ. ამ მოსაზრებით დაფუძნდა ორგანიზაცია. 2009 წლის ბოლოს კონკურსი გამოცხადდა, რომელშიც გავიმარჯვე და გავხდი ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი. მაშინ ორგანიზაცია ძალიან სუსტი იყო, რადგან არაფერი ჰქონდა, გარდა ვალებისა. რეგიონული მედიის საქმიანობა მაინტერესებდა და ვხედავდი ამ ასოციაციის განვითარების პერსპექტივას, ამიტომ გადავწყვიტე კონკურსში მონაწილეობა. რეალურად, რეგიონული ტელევიზიები, მართლაც, უნიკალურ კონტენტს ქმნიან და ძალიან მნიშვნელოვანია მათი საქმიანობის მხარდაჭერა. მოვედი წმინდა პროფესიული ინტერესით, რადგან თავიდან აქ არა თუ ხელფასი, ოფისიც არ არსებობდა. ძალიან რთული პერიოდი გადავიტანეთ, თუმცა ჩემმა მოლოდინმა, რომ ორგანიზაციის განვითარება შესაძლებელი იქნებოდა და მეც გარკვეულ გამოცდილებას შევიძენდი, გაამართლა. დღეს 24 რეგიონული ტელევიზიიდან 21 ასოციაციის წევრია. სამმა ტელევიზიამ ამ წლებში დატოვა ასოციაცია და ვფიქრობ, ეს სწორია, რადგან დარჩნენ ის ტელევიზიები, რომლებიც იზიარებდნენ საერთო პრინციპებს. ზოგადად, რთულია საწევრო ორგანიზაციის არსებობაც და ფუნქციონირებაც, მაგრამ ჩვენი ორგანიზაცია ერთ-ერთი წარმატებულია ამ მხრივ, რადგან თითოეული წევრი აქტიურად არის ჩართული მის საქმიანობაში. ვფიქრობ, ბევრ საქმესაც ვაკეთებთ. ჩვენი ერთ-ერთი მიმართულებაა პროგრამული მხარე და ადგილობრივი ტელევიზიებისთვის ხარისხიანი ახალი ამბებისა და ტელეჟურნალების წარმოებაში ხელის შეწყობა; მეორე მიმართულებაა ჩვენი წევრი ორგანიზაციების თანამშრომელთა განვითარება და მათი დატრენინგება; მესამე მიმართულებაა მედიაადვოკატირება და, შეიძლება ითქვას, რომ ამ მიმართულებით რა მიზანიც დავისახეთ, ყველას შესრულება მოხერხდა. მაგალითად, 2010 წელს ჩვენმა ასოციაციამ ერთ-ერთმა პირველმა მოითხოვა „მასთ ქერის" მიღება, რაც ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო, რადგან რეგიონული ტელევიზიების დიდი ნაწილი გამორთული იყო საკაბელო ქსელებიდან. მოგვიანებით ამ იდეამ უკვე პოლიტიკური დატვირთვა შეიძინა, თუმცა,

ყველაფერი ჩვენი მოთხოვნით დაიწყო; ასევე, ჩვენი ორგანიზაცია წევრია კოალიცია „მედია ადვოკატირებისთვის". კოალიცია აერთიანებს 11 არასამთავრობო ორგანიზაციას, რომლებიც მედიაგარემოს გაუმჯობესებაზე მუშაობენ. კოალიციის ძალისხმევით გავიტანეთ „მასთ ქერისა" და „მასთ ოფერის" რეგულაციები, საქართველოს და აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლების რეფორმის საკითხები, მედიამფლობელთა გამჭვირვალობის საკითხი და ბოლოს, ის ციფრული მოდელი რეგიონული ტელევიზიებისთვის, რომელიც საქართველოშია და რომელზეც უკვე გესაუბრეთ. დღეს ჩვენი ასოციაციის წევრი ტელევიზიები ყველა რეგიონში არიან წარმოდგენილნი და საკმაოდ სერიოზულ ძალას წარმოადგენენ.

— ***ასოციაციის აღმასრულებელ დირექტორად არჩევამდე სად საქმიანობდით?***

— მანამდეც იყო ჟურნალისტიკა: წარმოშობით ქუთაისიდან ვარ და, საერთოდ, ქუთაისელად ვგრძნობ დღემდე თავს. ჟურნალისტური საქმიანობა 15 წლის ასაკიდან დავიწყე, როდესაც 1995 წელს ქუთაისში გამოვეცით პირველი დამოუკიდებელი გაზეთი სახელად „აშრიალი", ეს იყო ლიცეუმის გაზეთი, თუმცა, იმდენად სერიოზულ მასალებს ვაქვეყნებდით, რომ ყველას სოლიდური ასაკის ჟურნალისტები ვეგონეთ. შემდეგ დავიწყე რადიოში საქმიანობა. ფორმატით ეს იყო როკ-რადიო და მქონდა რაღაც როკ-საინფორმაციოს მსგავსი გამოშვებები. ჩემი აზრით, არასტანდარტულ, მაგრამ საინტერესო გამოშვებას ვაკეთებდი ჩემს მეგობართან ერთად. საქმიანობა განვაგრძე ტელევიზიაში „ქუთაისი", რომელიც მას შემდეგ დავტოვე, რაც ტელევიზიის სათავეში მოვიდნენ პოლიტიკურად ანგაჟირებული ძალები. მის შემდეგ ვმუშაობდი ქართულ-აფხაზურ გაზეთ „პანორამაში", რომელსაც სოხუმელ ჟურნალისტებთან ერთად ვაკეთებდით. აქ ჯერ დავიწყე როგორც ჟურნალისტმა და შემდეგ გავხდი რედაქტორი. ეს გაზეთი ბრიტანული ორგანიზაციის „ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის" (IWPR) გამოცემა იყო და დღესაც აგრძელებს მუშაობას, თუმცა ონლაინ პლატფორმაში, ამ ორგანიზაციის ფარგლებში სხვა პროექტებშიც ვიყავი ჩართული. სწორედ ამ სამუშაოს უკავშირდება ჩემი წამოსვლა თბილისში, რაზეც ძალიან ბევრი ვიფიქრე. მიუხედავად იმისა, რომ უკვე ორი შვილი მყავდა, როცა აქეთ გადმოვედი, მაინც მივიღეთ გადაწყვეტილება. თავიდან თბილისში ადაპტირება ძალიან გაგვიჭირდა და არც ახლა ვგრძნობ თავს საკუთარ სახლში.

რაც შეეხება სამეცნიერო საქმიანობას, უკვე ქუთაისში ვმუშაობდი აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასისტენტ-პროფესორად. 2006 წელს დავიცავი ხარისხი ინტერნეტ-ჟურნალისტიკაზე. გავაკეთე კვლევა, რაც საკმაოდ რთული იყო იმ პერიოდში. შემდეგ უკვე თბილისში ვმუშაობდი სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში, ამჟამად კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ვარ. ვკითხულობ ლექციებს ახალი მედიის მიმართულებაში, რადგან უშუალოდ ამ საკითხებზე მაქვს კვლევა ჩატარებული და სახელმძღვანელო მომზადებული. წელს რეგიონული ჟურნალისტიკის სწავლების პილოტური კურსიც მოვამზადეთ, რომელიც საკმაოდ წარმატებული გამოვიდა: ვცდილობთ, ვასწავლოთ სტუდენტებს ლოკალურ ტერიტორიაზე მუშაობა და ადგილობრივი მთავრობის მონიტორინგი, რასაც ნამდვილად სჭირდება სპეციფიკური ცოდნა. კურსის მიმართ სტუდენტების ინტერესი მაღალია და ვფიქრობ, კარგი შედეგებიც გვაქვს.

— ***ახლახან უნივერსიტეტის საგრანტო კონკურსში მონაწილეობდით, თუმცა გრანტი ვერ მოიპოვეთ. კომისიის გადაწყვეტილებას არ დაეთანხმეთ. კონკრეტულად, რა პრობლემა შეიქმნა და როგორ გეგმავთ მის გადაჭრას?***

— პირველ რიგში, ძალიან კარგია, რომ უნივერსიტეტში გამოცხადდა სამეცნიერო საგრანტო კონკურს, რაც აქამდე არ ხდებოდა. ძალიან მნიშვნელოვანია საგრანტო პროექტები იყოს თვითონ უნივერსიტეტში, რადგან იგივე ჩემი საქმიანობის დიდი ნაწილი არის კვლევითი. თუმცა, ამ კვლევებს არ ვაკეთებდი უნივერსიტეტში, რადგან აქამდე ამის საშუალება არ იყო. კვლევას კი მარტო სურვილი არ ჰყოფნის და მას გარკვეული სახსრები სჭირდება სამუშაოების ჩასატარებლად. როცა წელს პირველად გამოცხადდა საგრანტო კონკურსი, გამიხარდა და, საერთოდ, ამ პროცესს ძალიან ვგულშემატკივრობ. ცხადია, როცა პირველად კეთდება რაღაც, ის შეცდომების გარეშე ვერ ჩაივლის, თუმცა, ჩემდა სამწუხაროდ, ცოტა უხეში შეცდომები გამოვიდა. ჩვენი მიზანი იყო აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მაგალითზე გამოგვეკვლია მედიაპლატფორმები და მათი გავლენა აუდიტორიის ინფორმირებულობის ხარისხზე. ჩვენი ჰიპოთეზით, აუდიტორიის ინფორმირებულობის ქცევასა და ხარისხზე გავლენას ახდენს ის, თუ რომელი მედიაპლატფორმებით იღებს ინფორმაციას. სწორედ ამის შემოწმებას ვაპირებდით ამ კვლევით. მაგალითისთვის: ჩვენი ეთნიკური უმრავლესობის დიდი ნაწილი დამოკიდებულია თანამგზავრულ მიმღებზე, რის გამოც ისინი იღებენ ძირითადად უცხოურ არხებს და მხოლოდ რამდენიმე ქართულ არხს; ქვეყნის დანარჩენი მოსახლეობა დამოკიდებულია სხვა პლატფორმებზე და, შესაბამისად, მათი ქცევა და ინფორმირებულობაც განსხვავებულია. საბოლოოდ ვიღებთ, რომ ამ ორი კატეგორიის მოსახლეობის ინფორმირებულობა და ღირებულებები ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულია. მაგალითად, რომ ჰკითხოთ სამცხე-ჯავახეთში მცხოვრებ ეთნიკურ სომეხს, რა მოხდა უკრაინაში მაიდანზე, იგი აბსოლუტურად სხვა ამბავს მოგიყვებათ, ვიდრე ავლაბარში მცხოვრები ეთნიკური სომეხი — არა და, საუბარია ერთი და იმავე ქვეყნის მოქალაქეებზე. ჩვენ სწორედ ამის კვლევა გვქონდა დაგეგმილი და გვაინტერესებდა გაგვერკვია, რეალურად მართლა რასთან გვაქვს საქმე. დღეს ჩვენთანაც და ევროპაშიც ბევრს მსჯელობენ იმაზე, თუ როგორი რეგულაციები დაანესონ ამ მედიაპლატფორმებისთვის, უნდა იყოს მსგავსი რეჟიმები თუ განსხვავებული, რადგან ძალიან მნიშვნელოვანია, ინფორმაციულად არ დაიყოს მოსახლეობა, რაც უკვე შიდა კონფლიქტების საფრთხის მატარებელია. ჩვენ გვინდოდა, უშუალოდ საქართველოს მაგალითით გვეჩვენებინა, რასთან გვაქვს საქმე. ძალიან ახალია ეს ინტერესი და თემაც, და ცხადია, ცოტა დაბნეულობაც გამოიწვია საგრანტო კომისიის წევრებში, რადგან ეს მოითხოვს სპეციფიკურ ცოდნას მედიაში. ვფიქრობ, ამის დაბალანსება შეიძლება სწორი საკონკურსო სისტემით: თუ კომისიაში გყავს სხვადასხვა პროფესიის ადამიანები, ასეთ დროს, ცხადია, უნდა ენდო მედიასპეციალისტის დასკვნას. ჩვენს შემთხვევაში, კომისია არ ენდო მედიასპეციალისტის მაღალ შეფასებას და წევრების დიდმა ნაწილმა თქვა, რომ ეს იყო მათთვის გაუგებარი თემა. მე უფრო მგონია, რომ კონკურსის ჩატარების გამოცდილება დააკლდათ; იყო პროცედურების დახვეწის პრობლემაც: საერთოდ არსად გამოქვეყნებულა შენიშვნები, ოქმში კი ეწერა, რომ ჩვენი პროექტის მხარდაჭერა არ მოხდა, რადგან არ გავითვალისწინეთ შენიშვნები. შენიშვნები კი ჩვენთვის არავის მოუცია. ერთადერთი, სიტყვიერად გვითხრეს, რომ ტერმინი მედიაპლატფორმა ჩაგვენაცვლებინა მედიაბაქანით, მაგრამ ეს რომ გაგვეკეთებინა, ჩვენ, როგორც მეცნიერები, ჩავიდენდით დანაშაულს. ასევე, უცნაური იყო ისიც, რომ თითქმის ყველა პროექტის მხარდაჭერა მოხდა და მხოლოდ ჩვენი პროექტი აღმოჩნდა გამონაკლისი. საქმე იმაშია, რომ შეიძლება კონკურსში მიიღო მონაწილეობა და დამარცხდე (მსგავსი შემთხვევა არაერთხელ ყოფილა ჩემს ცხოვრებაში), მაგრამ ყველა კონკურსიდან რაღაც მისწავლია, ამ კონკურსმა კი ჯერჯერობით ვერაფერი მასწავლა, რადგან ვერ გავიგე, რა არ გავაკეთე სწორად. ეს არ არის კარგი და ამის შესახებ ჩვენ კომისიასაც განვუცხადეთ, დეკანსაც და რექტორსაც. დიდი იმედი მაქვს, რომ სამომავლოდ საკონკურსო სისტემა დაიხვეწება.

რაც შეეხება ჩვენს კვლევას, იგი არ დაზარალდება და აუცილებლად გაკეთდება სხვა წიაღში და სხვა ორგანიზაციის მხარდაჭერით. ეს სამწუხარო იქნება, რადგან მინდოდა, ეს გაკეთებულიყო უნივერსიტეტის ფარგლებში და უნივერსიტეტსაც ეთქვა თავისი სათქმელი ქვეყნისთვის ამ ძალიან საჭირო მიმართულებით.

მოამზადა **ლელა კურდღელაშვილმა**

პეტრე მელიქიშვილი 165

ბიოგრაფიული შტრიხები



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთერთი დამაარსებელი და პირველი რექტორი პეტრე გრიგოლის ძე მელიქიშვილი 1850 წლის 11 ივლისს თბილისში დაიბადა.

მისი წინაპრები XVI საუკუნეში აჭარიდან ჯერ ახალციხეში, შემდეგ კი თბილისში გადმოსახლებულან. სწორედ აქ, ასათიანის (ყოფილი ენგელსის) ქუჩის 36-ე ნომერში, პეტრე-პავლობის დღესასწაულზე დაბადებულა დიდი ქართველი მეცნიერი. მისი ოჯახი თბილისში პროგრესულობითა და განათლების სიყვარულით ყოფილა გამორჩეული. მამა — გრიგოლ მელიქიშვილი, მკვლევართა გადმოცემით, არაერთ საზოგადო საქმეში ყოფილა ჩართული. მათ შორის, დიდი წვლილი შეუტანია ქართული სტამბის დაარსებაში. „სტამბა ეკუთვნოდა დიმიტრი ბაქრაძეს, ნიკო ღოღობერიძეს, ვახტანგ თულაშვილს და სტეფანე მელიქიშვილს (პეტრე მელიქიშვილის ძმას). გრიგოლმა შეიტანა ამ ამხანაგობაში არა მხოლოდ □ავისი შვილის ხვედრი ფული, არამედ, შეუვსო სტამბის შესაძენად საჭირო თანხის დანაკლისი და გაისტუმრა სტეფანე ვენაში სტამბის მოწყობილობის ჩამოსატანად და ქართული ასოების ჩამოსასხმელად“, — წერს მ. შალამბერიძე 1923 წელს პეტრე მელიქიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ წერილში („ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე“; 1923 წ; გვ. XI);

პეტრე მელიქიშვილის ოჯახის დამსახურება ქართული საქმისადმი ამით არ ამოწურულა. 1866 წელს სტეფანე მელიქიშვილის გამომცემლობით და გიორგი წერეთლის რედაქტორობით გამოვიდა გაზეთი „დროება“, რომელიც იმ პერიოდის საზოგადოების პროგრესულად მოაზროვნე ნაწილის თავშესაყრად იქცა. საგამომცემლო საქმით იყვნენ ასევე დაკავებული პეტრე მელიქიშვილის უმცროსი და-ძმა: იოსები და კეკე, შემდეგში ცნობილი ქართველი პუბლიცისტის სერგი მესხის მეუღლე და საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილის“ თანამშრომელი.

ბიოგრაფების გადმოცემით, გრიგოლ მელიქიშვილის ოჯახში ხშირად იყრიდნენ თავს ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლები: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, სერგი მესხი, გიორგი წერეთელი და სხვები, რომელთა გავლენითაც პეტრე მელიქიშვილს პატარაობიდანვე ჩაესმოდა ქართული საქმისადმი თავდადების მნიშვნელობა.

„პეტრემ დიდედის დახმარებით შეისწავლა წერა-კითხვა. ათი წლისა ის მიაბარეს გიმნაზიაში, სადაც წარჩინებული სწავლით გამოირჩეოდა; კლასიდან კლასში გადასვლისას ყოველთვის ქების სიგელს ღებულობდა, ხოლო გიმნაზიის დამთავრების შემდეგ (1868 წ.) მისი სახელი ოქროს ასოებით დაიწერა საპატიო დაფაზე“ (ი. გვერდწითელი „პეტრე გრიგოლის ძე მელიქიშვილი – ცხოვრება და მოღვაწეობა“; 1975 წ. გვ. 4).

თავად პეტრე მელიქიშვილი თავის მოგონებებში „ჩემი ცხოვრება“ დაწვრილებით აღწერს გიმნაზიაში არსებულ გარემოს და იმ წლებს, რომელიც მოსწავლეთათვის არც თუ ისე სასიამოვნოდ გასახსენებელი ყოფილა. „იგი მოგვითხრობს გაუნათლებელ მასწავლებლებზე, რომლებიც ცემა-ტყეპით ცდილობდნენ მოწაფეების „აღზრდას“, თუმცა მათ გვერდით იხსენებს პროგრესული იდეებით „აღჭურვილ“ პედაგოგებს, რომლებმაც დიდი გავლენა მოახდინეს ახალგაზრდებზე. ასეთებად ახასიათებს იგი ბესარიონ ღოღობერიძეს, პოლონელ მასწავლებელ ზაგერსკის, უკრაინელებს: ლავრენკოს და ნადეჟდინს (ი. გვერდწითელი „პეტრე გრიგოლის ძე მელიქიშვილი – ცხოვრება და მოღვაწეობა“; 1975 წ. გვ. 4). სწორედ ბესარიონ ღოღობერიძის გავლენით გადაუწყვეტია პეტრე მელიქიშვილს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების დაუფლება.

თავდაპირველად პეტრე მელიქიშვილს მოსკოვის ან პეტერბურგის უნივერსიტეტში ჩაბარება განუზრახავს, მაგრამ სუსტი ჯანმრთელობის გამო ექიმებს აუკრძალავთ ამ ქალაქებში გამგზავრება, რის გამოც ოდესის უნივერსიტეტისთვის მიუკითხავს. სწორედ აქ ჩააბარა მან 1869 წელს ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე, სადაც იმ პერიოდში „დემოკრატიული იდეებით აღჭურვილი პროფესურა“ გადასცემდა ცოდნას სტუდენტებს, მათ შორის იყვნენ: ქიმიკოსები ვერიგო, სოკოლოვი, ბოტანიკოსი ცენკოვსკი, ფიზიოლოგი სეჩენოვი, ბიოლოგები: კოვალსკი, მეჩნიკოვი, და სხვები. ამავე ფაკულტეტზე სწავლობდა გამორჩენილი მეცნიერი, შემდგომში ოდესის უნივერსიტეტის რექტორი ვასილ პეტრიაშვილი.

ოდესის უნივერსიტეტში სწავლის დროს პეტრე მელიქიშვილი არა მხოლოდ სავალდებულო საგნების, არამედ სხვა მისთვის საინტერესო ლექციებსაც ესწრებოდა. განსაკუთრებით მოსწონდა თურმე პროფესორ კონდაკოვის ლექციები და სამეცნიერო გამოკვლევები, რომლებიც საქართველოს ძველი ძეგლების შესწავლას ეძღვნებოდა.

სტუდენტობის პირველივე წლებს ეკუთვნის პეტრე მელიქიშვილის ორი სამეცნიერო ნაშრომი ორგანულ ქიმიაში ა. ვერიგოს ხელმძღვანელობით, რომლებიც 1873 წელს გამოქვეყნდა.

პეტრე მელიქიშვილმა 1872 წელს ექსტერნის წესით ორი წლით ადრე დაამთავრა ოდესის უნივერსიტეტი და იქვე დატოვეს საპროფესოროდ მოსამზადებლად.

ამავე წელს იგი ჩამოვიდა თბილისში, სადაც ერთი წელი ბოტანიკის მასწავლებლად იმუშავა ყოფილ ფაბრის კერძო ქალთა გიმნაზიაში („ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე“; 1923 წ; გვ. XII);

ერთი წლის შემდეგ, 1873 წელს იგი სამეცნიერო მივლინებით გაგზავნეს უცხოეთში, სადაც მუშაობდა ტიუბინგენისა და კარლსრუეს ქიმიურ ლაბორატორიებში და ისმენდა პროფესორ იუსტის ლექციებს აგრო-ქიმიაში.

საზღვარგარეთული მივლინების დასრულების შემდეგ, 1876 წელს იგი დაბრუნდა ოდესაში და დაინიშნა უნივერსიტეტის ქიმიური ლაბორატორიის გამგედ. 1875 წელს პეტრე მელიქიშვილი აქვეყნებს კიდევ სამეცნიერო ნაშრომს, ამჯერად ფიზიკურ ქიმიაში.

1877 წლიდან იგი იწყებს მუშაობას ორგანული ქიმიის დარგში, კერძოდ, მუშაობს გლიცერინიდან მონოქლორძმარმჟავასა და ბიოქლორპროპანის მჟავების მიღების საკითხებზე და აქვეყნებს კვლევის შედეგად მიღებულ მონაცემებს. პარალელურად ემზადება სამაგისტრო გამოცდებისთვის.

„1878 წლიდან პეტრე მელიქიშვილის ყურადღება ორგანულ ქიმიაში მეტად საინტერესო პრობლემამ, კერძოდ, უჯერი მჟავების ნაწარმებმა მიიპყრო. მან შეისწავლა აკრილის მჟავა და მასთან დაკავშირებული საკითხები, რომელთაც მიუძღვნა ექვსი შრომა 1879-1880 წლებში“ (ი. გვერდწითელი „პეტრე გრიგოლის ძე მელიქიშვილი – ცხოვრება და მოღვაწეობა“; 1975 წ. გვ. 6).

პეტრე მელიქიშვილმა 1881 წელს დაიცვა დისერტაცია მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: „აკრილის მჟავათა ნაწარმის შესახებ“.

დისერტაციის დაცვის შემდეგ იგი კვლავ გაემგზავრა საზღვარგარეთ და ჯერ პარიზში მოისმინა გამოჩენილი ფრანგი ქიმიკოსის მ. ბერთელოს ლექციები, გაეცნო მის ლაბორატორიას და სამეცნიერო მემკვიდრეობას, ხოლო შემდეგ მუშაობა განაგრძო მიუნჰენში გერმანელი მეცნიერის — ა. ბაიერის ლაბორატორიაში.

1884 წელს პეტრე მელიქიშვილი, პროფესორების — ვერიგოს, პეტრიაშვილისა და კლიმენკოს წარდგინებით, აირჩიეს აგრონომიული ქიმიის კათედრის დოცენტად.

1884 წელს კი მან წარადგინა სადისერტაციო შრომა მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: „იზომერულ კროტონმჟავას ნაწარმთა შესახებ“.

1885 წელს იგი დანიშნეს წმინდა ქიმიის კათედრის ექსტრაორდინარულ პროფესორად. 1889 წლიდან კი ამავე კათედრის პროფესორი გახლდათ.

„პეტრე მელიქიშვილმა ამ ხანებში თავის გარშემო იკრებს ნიჭიერ ახალგაზრდებს, როგორებიც იყვნენ ნ. დ. ზელინსკი, პ. პეტრენკო-კრიტჩენკო, მ. ფელდმანი და სხვები. საკითხები, რომლებზეც მეცნიერი ამ დროს მუშაობდა, იყო მისი სადისერტაციო ნაშრომის გაგრძელება, გაღრმავება და დაზუსტება. ასეთები იყო, მაგალითად, აკრილის მჟავას ჰომოლოგიური რიგის სინთეზი და მათი წარმოებულები, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ოქსიმჟავების სხვადასხვა იზომერების მიღება“ (ი. გვერდწითელი „პეტრე გრიგოლის ძე მელიქიშვილი – ცხოვრება და მოღვაწეობა“; 1975 წ. გვ. 6).

პეტრე მელიქიშვილის ბიოგრაფები წერენ, რომ მის ცხოვრებაში გარდამავალ ეტაპად შეიძლება ჩაითვალოს 1891-1896 წლები, როცა იგი მეტეორიტების ბუნებით დაინტერესდა. პროფესორი მელიქიშვილი იკვლევდა სხვადასხვა დროს სხვადასხვა ადგილზე ჩამოვარდნილ მეტეორიტებს — ცმეტის, ვაკულოვის, ზაბროდის, მიგეის და სხვ.

1897 წლიდან პეტრე მელიქიშვილი იწყებს მუშაობას არაორგანული ქიმიის დარგში. ამ სფეროში მან 20-მდე ნაშრომი შექმნა. ეს ნაშრომები, როგორც მნიშვნელოვანი გამოკვლევები, მონოგრაფიად გამოაქვეყნა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ სათაურით: „ზეჟანგები და ზემჟავები“, ხოლო მისი ავტორები: პ. მელიქიშვილი და ლ. პისარჟევსკი 1899 წელს ლომონოსოვის სახელობის პრემიით დაჯილდოვდნენ.

აქვე აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ ნაშრომების შემდეგ თქვა უდიდესმა მეცნიერმა დ. ი. მენდელეევმა: „პეტრე მელიქიშვილმა განამტკიცა ელემენტების პერიოდული სისტემა“, რაც ქიმიკოსისთვის ყველაზე დიდი შეფასება და ჯილდოა.

იგი აქტიურად მუშაობდა ბუნებრივი წიაღისეულისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესწავლის კუთხით. სპეციალისტებს განსაკუთრებით საინტერესოდ მიაჩნიათ მისი გამოკვლევები ხორბლის, ღვინის, ყველისა და სხვა ქართული ნაწარმის შესახებ.

პეტრე მელიქიშვილი 40 წელი მუშაობდა ოდესის უნივერსიტეტში. ხოლო მას შემდეგ, რაც საქართველოში ივანე ჯავახიშვილის თაოსნობით 1918 წელს დაარსდა პირველი უნივერსიტეტი, იგი მოიწვიეს და, ივანე ჯავახიშვილისვე ინიციატივით, 16 იანვარს უნივერსიტეტის რექტორად აირჩიეს. ამ დროს პეტრე მელიქიშვილი უკვე 68 წლისა იყო, მაგრამ ახალგაზრდული ენერგიით შეუდგა მუშაობას.

მან 1918 წელსვე დააარსა უნივერსიტეტში ქიმიის კათედრა, რომელიც შემდეგ ორად გაჰყო: ორგანული და არაორგანული ქიმიის კათედრებად, ორგანული ქიმიის კათედრას თავად ჩაუდგა სათავეში, ხოლო არაორგანული ქიმიის კათედრა ოდესის უნივერსიტეტიდან ჩამოყვანილ თავის მოსწავლეს იასონ მოსეშვილს ჩააბარა.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ მიუხედავად იმისა, რომ პეტრე მელიქიშვილი 50 წელზე მეტი ხნის განმავლობაში მუშაობდა რუსეთში და ქართული ენა თითქმის დავიწყებული ჰქონდა, იგი ქართულად კითხულობდა ლექციებს.

რექტორის პოზიციაზე პეტრე მელიქიშვილი დიდხანს არ ყოფილა, არჩევიდან ერთი წლის შემდეგ საკუთარი განცხადების საფუძველზე გადადგა და დარჩენილი წლები მთლიანად მეცნიერულ მოღვაწეობას მიუძღვნა.

1923 წელს მისი სამეცნიერო მოღვაწეობის 50 წლისთავი აღინიშნა. მალევე მას ირჩევენ საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, თუმცა მას ამ რანგში მოღვაწეობა დიდხანს აღარ დასცალდა.

1927 წელს დიდი ქართველი მეცნიერი გარდაიცვალა.

დაკრძალულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსის წინ მდებარე პანთეონში, სადაც დგას იაკობ ნიკოლაძის მიერ შესრულებული მისი ბიუსტი.

პეტრე მელიქიშვილი და უნივერსიტეტი

იმ დროს, როცა საქართველოში გაცხარებული ბრძოლა მიმდინარეობდა ქართული უნივერსიტეტის დაარსებისთვის და ქართველი ინტელიგენცია, ივანე ჯავახიშვილის მეთაურობით, ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდა მიზნისკენ, სერიოზულად იდგა პროფესორმასწავლებელთა პრობლემა. მართლაც, ვის უნდა წაეკითხა ლექციები ახლად დაარსებულ უნივერსიტეტში, როცა ქვეყანას არ ჰყავდა სათანადო კადრები და თუ ჰყავდა, ისინიც მიმოფანტული იყვნენ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებში? სწორედ ეს საკითხი იყო ერთ-ერთი არგუმენტი იმ ადამიანებისვის, ვინც წინააღმდეგი იყო ქართული უნივერსიტეტის გახსნისა, რადგან მიაჩნდათ, რომ სამეცნიერო კადრებისა და ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის არარსებობის გამო, ეს საქმე ჩანასახშივე დასაღუპად იყო განწირული. ივანე ჯავახიშვილი კი ჯიუტად ამტკიცებდა, რომ ქართული ენა და ქართველი ინტელიგენციის რესურსები უნივერსიტეტის გახსნის შესაძლებლობას იძლეოდა.

იდგა 1917 წელი. ივანე ჯავახიშვილი და მისი თანამოაზრენი თითქმის მიუახლოვდნენ მიზანს, რისთვისაც იმართებოდა შეკრებები და მსჯელობდნენ როგორ დაეწყოთ საქმე, რომელიც საქართველოში უმაღლესი განათლების მიღებისთვის ნოყიერ ნიადაგს შექმნიდა. განსახილველ საორგანიზაციო საკითხთა შორის იყო პროფესორთა მოწვევის საკითხიც.

და, აი, 1917 წლის 9 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის მეთაურობით მოწვეულმა ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობისა და საფინანსო კომისიის გაერთიანებულმა კრებამ ნოვოროსიის (ოდესის) უნივერსიტეტის დამსახურებულ პროფესორს — პეტრე მელიქიშვილს, პეტროგრადის უნივერსიტეტის დოცენტს ივანე ჯავახიშვილსა და მოსკოვის უნივერსიტეტის დოცენტს ანდრია რაზმაძეს დაავალა ქართული უნივერსიტეტისთვის პროფესორების მოწვევა და პროფესორთა კოლეგიის შედგენა.

ამავე სხდომაზე მოისმინეს ივანე ჯავახიშვილის მოხსენება სამკურნალო ფაკულტეტის დაარსების თაობაზე. იგი ითხოვდა ჯერჯერობით დაარსებულიყო ერთი — სიბრძნისმეტყველების ანუ საფილოსოფოსო ფაკულტეტი, ხოლო შემდეგ მას დამატებოდა სამედიცინო ფაკულტეტი, რისი ორგანიზების შესახებ დახმარებისთვის მიმართა ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოებას და რუსეთში მოღვაწე ქართველ მეცნიერს გაბრიელ ღამბარაშვილს. „პეტრე მელიქიშვილი მიემხრო ივანე ჯავახიშვილს. „ჯერჯერობით საფილოლოგო ფაკულტეტი უნდა გაიხსნას, რაც შედარებით უფრო ადვილია და იაფიც: მერე საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი და ამის შემდეგ სამკურნალო ფაკულტეტი“, — განუცხადებია მას კრებაზე (ს. ჯორბენაძე; „თბილისის უნივერსიტეტის მოკლე ისტორია“; 1988 წ.; თბ.: გვ. 37).

ქართული უნივერსიტეტის ოფიციალურ გახსნამდე რამდენიმე დღე იყო დარჩენილი. უნივერსიტეტს უკვე ჰქონდა წესდება, სასწავლო გეგმა, პირველი საჭიროების ავეჯი, მცირე ბიბლიოთეკა (პირველი ბიბლიოთეკა უნივერსიტეტს, ანდერძის თანახმად, გადმოსცა ცნობილმა კრიტიკოსმა კიტა აბაშიძემ)... დადგენილი იყო უნივერსიტეტის გახსნის თარიღიც — 1918 წლის 26 იანვარი (ახალი სტილით 8 თებერვალი) — დავით აღმაშენებლის ხსოვნის დღე. რჩებოდა მხოლოდ ერთი საორგანიზაციო საკითხის მოგვარება — უნივერსიტეტის პირველი რექტორის არჩევა.

„1918 წლის 13 იანვარს შედგა ქართული უნივერსიტეტის პროფესორთა კოლეგიის პირველი ოფიციალური სხდომა. იგი დაიწყო 1130 საათზე ქართული გიმნაზიის შენობის ცივ ოთახში, სადაც ამჟამად პრორექტორების კაბინეტია. სხდომას ესწრებოდნენ: ფ. გოგიჩაიშვილი, ექვთ. თაყაიშვილი, პ. მელიქიშვილი (თავმჯდომარე), შ. ნუცუბიძე, ი. ყიფშიძე, ა. შანიძე (მდივანი), ივ. ჯავახიშვილი. არჩეულ იქნა უნივერსიტეტის გამგეობა. სხდომის მონაწილეებმა ივანე ჯავახიშვილს უნივერსიტეტის რექტორობა სთხოვეს, რაზედაც მან კატეგორიული უარი განაცხადა და რექტორად პროფესორი პეტრე მელიქიშვილი დაასახელა. თავისი უარი, ექვთიმე თაყაიშვილის აღნიშვნით, მან შემდეგნაირად დაასაბუთა: „პეტრე მელიქიშვილი დიდად ცნობილი მეცნიერია როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთ და მისი არჩევა დიდ პრესტიჟს შეუქმნის უნივერსიტეტსო“ (ს. ჯორბენაძე; „თბილისის უნივერსიტეტის მოკლე ისტორია“; 1988 წ.; თბ.: გვ. 40).

ივანე ჯავახიშვილის ეს წინადადება ერთხმად მიიღეს და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ რექტორად აირჩიეს მსოფლიოში ცნობილი ქართველი მეცნიერი პეტრე მელიქიშვილი! ეს იყო საუკეთესო არჩევანი.

1918 წლის 17 იანვარს (ძველი სტილით) პეტრე მელიქიშვილის ბინაზე კვლავ შეიკრიბა პროფესორთა საბჭო, რომელმაც ამჯერად განიხილა ლექტორთა მოწვევის საკითხი და უნივერსიტეტის გახსნის რეგლამენტის პროექტი.

დადგა ქართველი ერის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი თარიღი — 26 იანვარი (ახ. სტილით 8 თებერვალი). წყნეთის ქუჩის 41 ნომერში - გიმნაზიის შენობაში გაიხსნა ქართული უნივერსიტეტი. მას იმ დროისთვის ეჭირა სამი ოთახი შენობის სამხრეთ ფრთაში... ვრცელმა დარბაზმა ვერ დაიტია მოზღვავებული ხალხი, რომელიც ითხოვდა გახსნის ცერემონიალის გადატანას უნივერსიტეტის ეზოში. ასეც მოხდა და 13 საათსა და 20 წუთზე ზეიმიც დაიწყო.

აკაკი ჩხენკელის შესავალი სიტყვის შემდეგ მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა უნივერსიტეტის პირველი რექტორი პეტრე მელიქიშვილი. აი, როგორ აღწერენ ამ გამოსვლას: „მან ილაპარაკა რუსულად და ქართულად. გამოთქვა დიდი სიხარული პირველი ეროვნული უნივერსიტეტის დაარსების გამო... ის ლაპარაკობდა უნივერსიტეტის წინაშე მდგარი ამოცანების შესახებ, კაცობრიობის პროგრესულ განვითარებაში მეცნიერების უმნიშვნელოვანესი როლის შესახებ, იმაზე, თუ რა დაუოკებელია ადამიანის სწრაფვა სულიერი ცხოვრებისადმი, მეცნიერებისადმი, რომ თვით „სასტიკ, არსებობისთვის საშიშ დროსაც, როგორც ცალკეული პირები, ისე მთელი ხალხი ესწრაფვის ინტენსიურ მოღვაწეობას, განსაკუთრებით სულიერ სფეროში“. იგი დასძენს: „და ჩვენც დღეს განვიცდით ძძიმე წუთებს, ჩვენს არსებობას საფრთხე ემუქრება. ამისდა მიუხედავად, ჩვენ გვაქვს მოთხოვნილება შემოქმედებისა და აღმშენებლობის. ჩვენ ქართველები მცირე ხალხი ვართ, ჩვენ არ ვთამამდებით შევადაროთ საკუთარი თავი დიდ ხალხებს. ჩვენი სწრაფვაც ასევე მოკრძალებულია, ჩვენ გვსურს იმ ენაზე, რომელზედაც პირველად გავიგონეთ დედის ალერსი და პირველად ავლაპარაკდით, მოვისმინოთ მეცნიერული ჭეშმარიტებანი და ის ჰუმანიტარული პრინციპები, რომლებიც ნამდვილი კულტურის საფუძვლებია. ჩვენ ვაფუძნებთ ქართულ უნივერსიტეტს იმისათვის, რომ საშუალება მივცეთ ჩვენს ხალხს მშობლიურ ენაზე გაეცნოს და აითვისოს მეცნიერული ჭეშმარიტების საწყისები და აგრეთვე საშუალება მივცეთ ჩვენს მეცნიერულ ძალებს შეისწავლონ ჩვენი სამშობლო — საქართველო და კავკასია“ (ს. ჯორბენაძე; „თბილისის უნივერსიტეტის მოკლე ისტორია“; 1988 წ.; თბ.: გვ. 43).

ამავე სიტყვაში პეტრე მელიქიშვილმა გაიხსენა გერმანიაში ყოფნის დროს მისი შეხვედრა ცნობილ ავსტრიელ ლინგვისტ შუხარდტთან, რომელსაც უთქვამს — ქიმიას ხომ ისედაც ყველა სწავლობს მსოფლიოში, რატომ არ იკვლევ უმდიდრესი ქართული ენის ბუნებასო? ამ სიტყვების მოშველიება დასჭირდა პეტრე მელიქიშვილს იმის დასადასტურებლად, რომ უნივერსიტეტის მუშაობას ჰუმანიტარული მეცნიერებები უნდა დასდებოდა საფუძვლად, მასთან ერთად კი განვითარებულიყო საბუნებისმეტყველო-სამათემატიკო მეცნიერებები, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობდა კავკასიის ბუნებრივი სიმდიდრეების შესწავლას და მათემატიკის, ფიზიკის, გეოლოგიის, ქიმიის დარგების განვითარებას საქართველოში.

პეტრე მელიქიშვილი სულ მხოლოდ ერთი წელი იყო უნივერსიტეტის რექტორი. ამ ხნის განმავლობაში, როგორც უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს ოქმები იუწყება,

მე-9 გვერდზე

პეტრე მელიქიშვილი და უნივერსიტეტი

მერვე გვერდიდან

უნივერსიტეტმა არაერთი ნაბიჯი გადადგა პირველი ქართული უმაღლესი სასწავლებლის სრულყოფისთვის: მოიწვიეს არაერთი ცნობილი მეცნიერი ლექციების წასაკითხად (პირველ სემესტრში უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობდნენ: იოსებ ყიფშიძე, კორნელი კეკელიძე, დიმიტრი უზნაძე, ფილიპე გოგიჩაიშვილი, შალვა ნუცუბიძე, გიორგი ახვლედიანი, აკაკი შანიძე, იუსტინე აბულაძე, ე. ორბელიანი, ილია ყიფშიძე, ვანდა ღამბაშიძე), დაადგინეს, რომ უნივერსიტეტში სწავლა შეეძლო ნებისმიერ მოქალაქეს, განურჩევლად ეროვნების, სქესის და რელიგიური აღმსარებლობისა, დაამტკიცეს გერბი, შეიმუშავეს სასწავლო გეგმები, საფუძველი ჩაუყარეს ახალი ფაკულტეტების დაარსებას, ხელი შეუწყვეს არაერთი სამეცნიერო დისციპლინის განვითარებას. ყველა ის დიდი სამეცნიერო-საგანმანათლებლო საქმე, რაც თბილისის უნივერსიტეტში 1918-19 წლებში მიმდინარეობდა, ხორციელდებოდა უნივერსიტეტის პირველი რექტორის — პეტრე მელიქიშვილის მხარდაჭერითა და ზოგჯერ უშუალო ინიციატივით.

1918 წლის 31 მარტს თბილისის უნივერსიტეტის რექტორის პეტრე მელიქიშვილის სახელზე მოვიდა ჩრდილოეთ ოსეთის სამოსწავლო საბჭოს წერილი, რომელშიც იყო მილოცვა პირველი ქართული უნივერსიტეტის გახსნის თაობაზე. საბჭო ასევე კითხულობდა — შეეძლოთ თუ არა ოსებს განათლება მიეღოთ თბილისის უნივერსიტეტში. უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს მიერ მოწონებულ პასუხში, რომელსაც პეტრე მელიქიშვილი აწერდა ხელს, ნათქვამია: „ლექციები იკითხება ქართულ ენაზე. უნივერსიტეტში მიიღებიან ორივე სქესის პირები საშუალო განათლებით, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა“, — წერილი მთავრდებოდა იმის აღნიშვნით, რომ „მიღებულია ღონისძიებანი მთიელთა ენის სწავლებისათვის, უპირატესად კი ოსური ენის სწავლებისათვის“ (ს. ჯორბენაძე; „თბილისის უნივერსიტეტის მოკლე ისტორია“; 1988 წ.; თბ.: გვ. 50).

უნივერსიტეტის დაარსებიდან პირველ სემესტრში მხოლოდ ერთი — სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი ფუნქციონირებდა. შემდგომ კი დაუღალავად შრომობდნენ ახალ-ახალი ფაკულტეტების გასახსნელად.

პეტრე მელიქიშვილი, ცხადია, უპირველესად, ცდილობდა ქიმიის დარგის განვითარებას, რასაც უდავოდ ხელი შეუწყო იმან, რომ 1918 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დააარსა ქიმიის კათედრა, ხოლო 1919 წელს, მიწის სახალხო კომისარიატისა და წყლის მეურნეობის სამმართველოს ხაზით — არაორგანული და ორგანული ქიმიის ლაბორატორიები.

მისივე დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, რომ საქართველოში საფუძველი ჩაეყარა აგრონომიული ქიმიის დამოუკიდებელ დისციპლინად არსებობას (ზოგადად პეტრე მელიქიშვილი ითვლებოდა აგროქიმიური დარგის კარგ ორგანიზატორად).

დრო, როცა პეტრე მელიქიშვილს უნივერსიტეტის რექტორობა მოუწია, საქართველოსთვის მეტად მძიმე იყო. ამ პერიოდში გამწვავდა სამხედრო-პოლიტიკური ვითარება და თბილისს ოსმალეთის მხრიდან ოკუპაციის საფრთხე დაემუქრა (2 აპრილს ოსმალებმა დაიკავეს ბათუმი).

პეტრე მელიქიშვილმა და პროფესორთა საბჭოს 8 წევრმა (ივანე ჯავახიშვილი,

ექვთიმე თაყაიშვილი, კორნელი კეკელიძე, ფილიპე გოგიჩაიშვილი, აკაკი შანიძე, შალვა ნუცუბიძე, გიორგი ახვლედიანი, იოსებ ყიფშიძე) 1918 წლის 3 აპრილს გამოიტანეს დადგენილება, რომ „არ დაიკეტოს უნივერსიტეტი, ლექციების კითხვა გაგრძელდეს. იმ სტუდენტთა და მსმენელთათვის რომელნიც ომში წავლენ, გამოტოვებული ლექციები განმეორებულ იქნეს“. ამავე დროს რექტორმა გამოსცა დადგენილება, რომ გაძლიერდეს უნივერსიტეტის დაცვა: „ეთხოვოს ვისაც ჯერ არს – დაყენებულ იქნეს საიმედო დარაჯები და ყოველგვარი ზომები იქნას მიღებული, რომ საომარ ასპარეზობად არ გახდეს უნივერსიტეტისა და მუზეუმის ახლო-მახლო მიდამოები. საშიშროების მოახლოების დროს პროფესორები უნივერსიტეტის შენობაში უნდა დარჩნენ და ხელი შეუწყონ მის დაცვას“, — (ს. ჯორბენაძე; „თბილისის უნივერსიტეტის მოკლე ისტორია“; 1988 წ.; თბ.: გვ. 50). ეს დადგენილება არის უნივერსიტეტისა და ქართული საქმისადმი ერთგულების დადასტურება და იმის მაგალითი, რომ უნივერსიტეტი, მართლაც, ხელშეუხებელი და წმინდა ტაძარი იყო არა მხოლოდ მისი შემქმნელებისთვის, არამედ მთელი ქართული საზოგადოებისთვის, რომელიც აღფრთოვანებაში მოვიდა ამ განცხადებით. მართლაც, უნივერსიტეტის პროფესორებს ამ პერიოდში არათუ ლექციების კითხვა არ შეუწყვეტიათ, ხელი არ შეუშლიათ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაშიც.

1918 წლის 5 თებერვალს (ძვ. სტილით) უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ, პეტრე მელიქიშვილის თავმჯდომარეობით, დაამტკიცა უნივერსიტეტის ბეჭედი (მხატვარმა დიმიტრი შევარდნაძემ წარადგინა სამი ნიმუში, რომელთაგან ერთი — დაამტკიცა. მასზე გამოსახული იყო შველი, რომელიც ძუძუს აწოვებს ნუკრს. აქ შველი მასაზრდოებელი დედის Alma Mater-ის იდეას გამოხატავს. ბეჭედს ირგვლივ შემოვლებული ჰქონდა ტრადიციული არშია – ბალთები. სწორედ ამ ბეჭდის ესკიზებით შეიქმნა შემდგომ უნივერსიტეტის გერბიც).

„პეტრე მელიქიშვილი, მიუხედავად იმისა, რომ 50 წელზე მეტი ცხოვრობდა რუსეთში და მშობლიური ენა დავიწყებული ჰქონდა, ლექციებს მაინც ქართულ ენაზე კითხულობდა... ქართულად წაკითხული ლექციები ქიმიაში — ეს იყო ქიმიური ტერმინოლოგიის პირველი წყარო.. დღეს ჩვენ პეტრე მელიქიშვილს უნდა ვუმადლოდეთ ქართულ ენაზე ქიმიური ტერმინოლოგიის შექმნას“, — წერდა ცნობილი ქართველი მეცნიერი-ქიმიკოსი ივანე გვერდწითელი თავის წიგნში „პეტრე გრიგოლის ძე მელიქიშვილი – ცხოვრება და მოღვაწეობა” (1975 წ. გვ. 12).

უნდა ითქვას, რომ პეტრე მელიქიშვილს რექტორის თანამდებობაზე მუშაობის დროს ხელფასი არასოდეს აუღია.

1919 წლის ოქტომბერში უნივერსიტეტში სამწუხარო ფაქტი მოხდა. იმის გამო, რომ პეტრე მელიქიშვილსა და სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის დეკანს ანდრია რაზმაძეს შორის უსიამოვნო საუბარი გაიმართა (გადმოცემით, ანდრია რაზმაძემ პ. მელიქიშვილის ბოლოდროინდელი სამეცნიერო კვლევები სათანადოდ არ შეაფასა), პეტრე მელიქიშვილმა პროფესორთა საბჭოს რექტორის პოზიციიდან და პროფესორობიდან გათავისუფლების თხოვნით მიმართა.

სხდომა, რომელმაც პეტრე მელიქიშვილის განცხადება გადადგომის თაობაზე დააკმაყოფილა, „პროფესორთა საბჭოს ოქმებში“ (2006 წ.; თბ., გვ. 179) ასეა აღწერილი:

სხდომას თავმჯდომარეობდა ჯერ ივანე ჯავახიშვილი, შემდეგ ექვთიმე თაყაიშვილი.

ივანე ჯავახიშვილმა პროფესორთა საბჭოს აცნობა, რომ სხდომა მოწვეულია სასწრაფო წესით, რადგან 11 ოქტომბერს, ნაშუადღევს, ადგილი ჰქონდა ინციდენტს უნივერსიტეტის რექტორს პეტრე მელიქიშვილსა და პროფესორ ანდრია რაზმაძეს შორის. გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რის შემდეგაც პროფესორთა საბჭომ დაადგინა:

„1. პროფესორთა საბჭო ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს ინციდენტის გამო, რომელიც მოხდა 11 ოქტომბერს რექტორს, დამსახურებულ პროფესორ პეტრე მელიქიშვილსა და სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის დეკანს, ანდრია რაზმაძეს შორის და ჰგმობს მათ საქციელს.

2. დამსახურებული პროფესორი პ. მელიქიშვილი:

ა) განთავისუფლებულ იქმნეს, თანახმად შემოტანილი თხოვნისა, რექტორის თანამდებობიდან: ხოლო უარი ეთქვას მას პროფესორის მოვალეობიდან განთავისუფლებაზე.

3. წინადადება მიეცეს პროფ. ა. რაზმაძეს, თხოვნა შემოიტანოს, რათა განთავისუფლებული იყოს დეკანის თანამდებობიდან.“ (ოქმს ხელს აწერენ: ივ. ჯავახიშვილი, ა. ბენაშვილი, დ. უზნაძე, ს. ამირეჯიბი. ა. შანიძე, ვ. მოსეშვილი, გ. ახვლედიანი, ი. მოსეშვილი, ი. თიკანაძე, ს. ქურდიანი.

პეტრე მელიქიშვილმა ამის შემდეგ მთელი დარჩენილი ცხოვრება მოანდომა ქიმიის დარგის განვითარებასა და სრულყოფას საქართველოში.

ბოლო წლებში იგი მუშაობდა ორგანული ქიმიის კათედრაზე, ამავე დროს სათავეში ედგა უნივერსიტეტში ახლად დაარსებულ სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტს.

მიუხედავად სოლიდური ასაკისა, პეტრე მელიქიშვილი აქტიურ პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა: კითხულობდა ლექციებს ორგანულ და არაორგანულ ქიმიაში, ხელმძღვანელობდა სტუდენტებს, ამზადებდა მომავალ ქიმიკოსებს, მონაწილეობდა სამეცნიერო საზოგადოების დაარსებაში, მოხსენებებით გამოდიოდა სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციასა თუ ყრილობაზე, სადაც განსაკუთრებით გამოკვეთდა საქართველოში სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ბუნებრივი სიმდიდრეების რაციონალურად გამოყენების აუცილებლობას.

პეტრე მელიქიშვილის სამეცნიერო ინტერესების სფერო იყო: არაორგანულ ქიმიაში — არაორგანული პეროქსიდების სინთეზი და თვისებები, ზემჟავეების სინთეზი და თვისებები; ორგანულ ქიმიაში — გლიციდური მჟავების ქიმია (ნაერთთა ახალი კლასი), აკრილის მჟავეების ქიმია; მეტეორიტების ქიმია და აგროქიმია (სოფლის მეურნეობის პროდუქტების კვლევა).

პეტრე მელიქიშვილის მოწაფეები იყვნენ ცნობილი მეცნიერები: ნიკოლოზ ზელინსკი, პისარჟევსკი, ბოგატსკი (რუსეთში), ნინო ციციშვილი, რუსუდან ნიკოლაძე, მექი ბექაია და შალვა ცინცაძე, უნიჭიერესი ახალგაზრდა ქართველი მეცნიერი, რომელიც XX საუკუნის 30-იანი წლების რეპრესიებს შეეწირა (საქართველოში).

პეტრე მელიქიშვილის მოღვაწეობის და ხსოვნის უკვდავსაყოფად დღეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში არსებობს მისი სახელობის პრემია, თბილისში — მისი სახელობის ქუჩა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში — პეტრე მელიქიშვილის სახელობის სტიპენდია, აუდიტორია და კაბინეტ-ბიბლიოთეკა.

უნივერსიტეტის პირველი რექტორის სამუშაო მაგიდა და პირადი ნივთები ინახება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმში.

პეტრე მელიქიშვილის სამუშაო კაბინეტი

პეტრე მელიქიშვილი 165

პიროვნული შტრიხები

პეტრე მელიქიშვილის პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაცია თითქმის არ მოიპოვება. ცნობილია მხოლოდ, რომ მას არ ჰყავდა ოჯახი და მთელ თავის ძალას და ენერგიას სამეცნიერო მუშაობას და მოსწავლეებს ახმარდა.

გადმოცემით, იგი საკმაოდ მკაცრი ბუნების ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა, მაგრამ სინამდვილეში ამ გოროზი ბუნების ადამიანს მდიდარი შინაგანი სამყარო ჰქონია. „საკმარისი იყო, ვინმე დაახლოებოდა, მაშინვე მიხვდებოდა, რომ მეტად სათნო და მგრძნობიარე, ამავე დროს მომთხოვნი და შრომისმოყვარე ადამიანი იყო. მან კარგად იცოდა შრომისა და დროის ფასი“, — წერს ივანე გვერდწითელი თავის წიგნში (ი. გვერდწითელი „პეტრე გრიგოლის ძე მელიქიშვილი – ცხოვრება და მოღვაწეობა”; 1975 წ. გვ. 6).



იმ პერიოდში, როცა პეტრე მელიქიშვილი სამეცნიერო ასპარეზზე გამოვიდა, მსოფლიოში პოლიტიკური გარდაქმნების ერა იდგა, თუმცა იგი პოლიტიკას არ სწყალობდა, არასოდეს გაჰკარებია არც ერთ პარტიას და ადმინისტრაციულ თანამდებობას, თუ არ ჩავთვლით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორობას, რაც, უნდა ვივარაუდოთ, იმის შედეგი იყო, რომ მან პირველ რიგში ქართული საქმისთვის ხელშეწყობა გადაწყვიტა და მეორეც — წინ ვერ აღუდგა მისთვის უძვირფასესი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის — ივანე ჯავახიშვილის თხოვნას.

პეტრე მელიქიშვილის რექტორობის თითქმის ორმა წელმა (1918 წლის 13 იანვარი — 1919 წლის 11 ოქტომბერი) აჩვენა, რომ მას ორგანიზატორის უნარ-ჩვევებიც ჰქონდა და ინტუიციაც არ ღალატობდა, რადგან პროფესორთა საბჭოსთან ერთად ზუსტად საზღვრავდა — რომელი ფაკულტეტები გაიხსნებოდა პირველ ეტაპზე და ვინ ჩაუდგებოდა ახალ ფაკულტეტებს სათავეში. რექტორისა და პროფესორთა საბჭოს მეცნიერული ალღო და საქმისადმი ზედმიწევნით დიდი პასუხისმგებლობა იყო სწორედ ის თვისებები, რომელმაც ახლად გახსნილი პირველი ქართული უნივერსიტეტი ფეხზე იმდენად მყარად დააყენა, რომ 1921 წლის საბჭოთა ანექსიამაც ვერ შეარყია.

პეტრე მელიქიშვილის მოწაფეები განსაკუთრებით გამოყოფდნენ მის დამოკიდებულებას ახალგაზრდობისადმი. როგორც ისინი იხსენებენ, მეცნიერი „ადვილად ჩააბამდა ახალგაზრდას ლაბორატორიულ მუშაობაში თავისი იდეების განსახორციელებლად; ამიტომ პეტრე მელიქიშვილი სტუდენტთა შორის დიდი სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობდა. ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ მრავალ ახალგაზრდას სურვილი ჰქონდა მასთან მუშაობისა“ (ი. გვერდწითელი „პეტრე გრიგოლის ძე მელიქიშვილი – ცხოვრება და მოღვაწეობა”; 1975 წ. გვ. 49).

მისი მოწაფე ლ. პისარჟევსკი იხსენებს: „1880 წელს სტუდენტობამ გადაწყვიტა მოეწყო ნ. გ. ნეკრასოვის გარდაცვალების წლისთავი და გადაეხადა პანაშვიდი. პოლიციამ დააპატიმრა პანაშვიდის მონაწილე ყველა სტუდენტი, დაიხურა უნივერსიტეტი, ყველა დაპატიმრებულ სტუდენტს გამოეცხადა საყვედური, ხოლო 20-მდე სტუდენტი უნივერსიტეტიდან გარიცხეს და გადაასახლეს. ეს მოხდა ზამთარში. პეტრე მელიქიშვილმა თავის ბინაზე მიიწვია სტუდენტი ა. ბეზრედკა, კარადიდან გამოიღო საკუთარი ქურქი — თქვენ უფრო დაგჭირდებათო. შემდეგ გამოიტანა მთელი თავისი ფულადი დანაზოგი და მასვე გადასცა გადასახლებულთათვის დასახმარებლად“ (ი. გვერდწითელი „პეტრე გრიგოლის ძე მელიქიშვილი – ცხოვრება და მოღვაწეობა”; 1975 წ. გვ. 49). ეს კიდევ ერთი მაგალითია, თუ როგორი გულისხმიერებით გამოირჩეოდა მეცნიერი ახალგაზრდობისა და ადამიანებისადმი.

საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ პეტრე მელიქიშვილის მოწაფეთა რიგებს ქართველი სტუდენტებიც შეუერთდნენ. მათ შორის იყვნენ შალვა ცინცაძე, რუსუდან ნიკოლაძე, ნინო ციციშვილი, მექი ბექაია და სხვები.

სამეცნიერო ხელმძღვანელის და მასწავლებლისადმი მადლიერების ნიშნად, 1924 წლის 17 თებერვალს მოწაფეებმა წერილი მისწერეს პეტრე მელიქიშვილს. ისინი წერენ: : „ძვირფასო და ღრმად პატივცემულო ჩვენო მასწავლებელო ბატონო პეტრე! დღეს, როცა ვზეიმობთ თქვენის ნაყოფიერის სამეცნიერო მოღვაწეობის ორმოცდაათი წლის იუბილეს, თქვენი მოწაფენი და წევრნი ჩვენის მცირერიცხოვანის, მაგრამ მჭიდროთ შეკავშირებულ ქიმიურ ოჯახისა, მოგესალმებით თქვენ, ჩვენო ძვირფასო მასწავლებელო და ხელმძღვანელო და გისურვებთ, კიდევ დიდხანს ნაყოფიერს მუშაობას ჩვენი საყვარელ სამშობლოს საკეთილდღეოდ. მოგახსენებთ დიდს გულითადს მადლობას ჩვენი გონების დაუზარებელ და სიყვარულით აღსავსე ხელმძღვანელობისათვის, რომელსაც ჩვენ, თქვენი მოწაფენი, მუდამ ვიღებდით თქვენგან. ვსარგებლობ შემთხვევით და განსაკუთრებით აღვნიშნავთ, რომ თქვენ თქვენის უმწიკვლო და უანგარო პიროვნებით ისე მოქმედებდით თქვენს თანამშრომლებზე, რომ ასეთი თქვენი ხასიათი სამუდამოდ დარჩება ჩვენთვის გამამხნევებელ და სიცოცხლის გზის მანათობელ მაგალითად“. წერილს ხელს აწერენ მ. ბექაია. მ. შალამბერიძე, ნინო ციციშვილი (გადაშლილია შალვა ცინცაძის ხელმოწერა, რაც, სავარაუდოდ, მოგვიანებით, საბჭოთა ჩინოვნიკის მიერ უნდა იყოს ჩადენილი, რადგან შალვა ცინცაძე საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლი გახდა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი გერმანიაში იღებდა განათლებას, რის გამოც ანტისაბჭოთა საქმიანობა დაედო ბრალად. აქვე უნდა ვივარაუდოთ, რომ საბჭოთა ხელისუფლება და პროფესურა ცდილობდა, უდიდესი ქართველი მეცნიერი პეტრე მელიქიშვილი მათ მომხრედ წარმოეჩინათ, რისთვისაც ცდილობდნენ, ჩამოეცილებინათ მისთვის ყველა ის შტრიხი, რაც საწინააღმდეგოს დაამტკიცებდა. პეტრე მელიქიშვილი, ივანე ჯავახიშვილის მსგავსად, უდიდესი ავტორიტეტი იყო, თუმცა მისი სიკვდილი რომ არა, ვერავინ იტყვის, გადაურჩებოდა თუ არა იგი რეპრესიების წლებს).

პეტრე მელიქიშვილის, როგორც პროგრესულად მოაზროვნე მეცნიერის შესახებ ბევრი შეიძლება ითქვას და დაიწეროს, რადგან მისი დამოკიდებულება საზოგადოებრივი საქმეებისადმი ამის საშუალებას იძლევა, თუმცა უნდა გამოვკვეთოთ მისი ღვაწლი ქალთა ემანსიპაციაში.

პირველ რიგში გავიხსენოთ, რომ 1872 წელს, ოდესის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო კურსის კანდიდატის ხარისხით დასრულების შემდგომ მან ერთი წელი იმუშავა თბილისში – ფაბრის კერძო ქალთა გიმნაზიაში ბოტანიკის მასწავლებლად. ეს მიანიშნებს, რომ იგი ინტერესს იჩენდა ქალთა განათლების საკითხებისადმი. მეცნიერის შემდგომი ცხოვრება და მოღვაწეობა კი მთლიანად მიუთითებს მის პროგრესულობასა და ქალთა ემანსიპაციისადმი სწორ დამოკიდებულებაზე.

პეტრე მელიქიშვილმა ერთერთმა პირველმა წაიყვანა თავისი და ეკატერინე საფრანგეთში სასწავლებლად. საერთოდ კი აქტიურ მოღვაწეობას ეწეოდა, რათა ქალებს საზღვარგარეთ მიეღოთ უმაღლესი განათლება. მასთან ერთად ამ საქმეში ჩართული იყო მისი უახლოესი მეგობარი ვასილ პეტრიაშვილი. ისინი ამზადებდნენ ქართველ ქალთა ჯგუფს, რომელიც საზღვარგარეთ აპირებდა სწავლის გაგრძელებას და უკითხავდნენ ლექციებს თანამედროვე ბუნებისმეტყველების საკითხებზე.

1903 წელს, ოდესაში, მეფის მთავრობის ნებართვით გაიხსნა ქალთა კურსები, რომელსაც პედაგოგიური განხრა ჰქონდა და ფასიანი იყო – 150 მანეთი წლიური შესატანით. ეს კურსები მდიდარი ოჯახებისთვის ხელმისაწვდომი გახლდათ და მასზე საბუნებისმეტყველო საგნები არ იკითხებოდა.

1906 წელს ეს კურსები ქალთა უმაღლეს კურსებად გადაკეთდა. აქვე გაიხსნა ფიზიკამათემატიკის ფაკულტეტი და დეკანად პეტრე მელიქიშვილი აირჩიეს.

ამ დროიდან იგი აქტიურად ჩაერთო სასწავლო პროცესში. კითხულობდა ლექციებს, დააარსა ლაბორატორიები, ეხმარებოდა სტუდენტ ქალებს ცოდნის მიღებაში. და ამას აკეთებდა ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე (ზოგადად, პროგრესული საქმისადმი ამგვარი დამოკიდებულება ახასიათებდა პეტრე მელიქიშვილს — მას არც თბილისის უნივერსიტეტის რექტორობის დროს აუღია ხელფასი და სრულიად უანგაროდ, ანაზღაურების გარეშე ემსახურა ქართულ საქმეს).

პეტრე მელიქიშვილი საქმისადმი ზერელე დამოკიდებულებას ვერ ეგუებოდა. მის გარშემო ყველაფერი სისტემაში მოდიოდა და თავის ადგილზე ლაგდებოდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანული ქიმიის ლაბორატორიაში, რომელიც დიდმა მეცნიერმა დააარსა, დღესაც ინახება „ქონების დავთარი“, სადაც ზედმიწევნით ზუსტადაა ჩამოწერილი, რა შეუძენია მეცნიერს ლაბორატორიისთვის 1919 წლიდან 1924 წლამდე. ფაქიზი კალიგრაფიით ნაწერი ნუსხა ასე გამოიყურება: „ნივთების (ინვენტარის) საერთო სია — 1: აბანოები — 87; შტატივი და ზედადგარი — 88; თაროები – 89; სკამები — 91; მაგიდები — 92; შკაფები — 96; სასწორები — 99; სანათები — 98; მაშები — 95“... აქვეა ლაბორატორიის აღჭურვილობაც: „ტერმომეტრები — 220; არეომეტრები – 222; ბიურეტკები – 224; ტიგლები — 227; საზომი კოლბები — 240; პიპეტები – 247; ექსიკატორები – 250; მენზურკები – 254; “ და სხვ.

ეს დავთარი, რომელსაც თვალის ჩინივით უფრთხილდებიან ორგანული ქიმიის ლაბორატორიაში, არის დოკუმენტური დადასტურება იმისა, თუ როგორ იქმნებოდა თბილისის უნივერსიტეტში ქიმიის ლაბორატორია, რომელმაც შემდგომ წლებში არაერთი სახელოვანი მეცნიერი აღუზარდა დარგსა და ქვეყანას.

პეტრე მელიქიშვილი იყო მკაცრი, მომთხოვნი და ამავე დროს გულისხმიერებით გამორჩეული მასწავლებელი თავისი მოსწავლეებისა. მისი თანამედროვენი ცოტა სიფიცხეს და პრინციპულობასაც აღნიშნავდნენ და ამბობენ, რომ მისი რექტორის პოსტიდან წასვლაც ამ სიფიცხის და პრინციპულობის გამო დაუჩემებია და აღარც გადაუთქვამს.

მიუხედავად ამგვარი ბუნებისა, იგი მორიდებული და უთქმელი კაციც ყოფილა. ასე არ გაამხილა ალბათ თავისი ავადობის ამბავი, როცა პატარა ხიჭვით გაკაწვრამ პერიტონიტი გამოიწვია და დიდ ქართველთა რიგს გამოაცალა იმ პერიოდის ყველაზე სახელოვანი და ტიტულოვანი მეცნიერი, თბილისის უნივერსიტეტის პირველი რექტორი პეტრე მელიქიშვილი.

თინათინ წერეთლის სახელობის სამეცნიერო საზოგადოების ვიზიტი ქუთაისში

ნატო ოგოლაძე
თამარ მაზანაშვილი

საქართველოს პარლამენტმა, 12 ივნისს, მესამე მოსმენით არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი მიიღო. უკვე 13 ივნისს კი თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის მიმართულების თინათინ წერეთლის სახელობის სამეცნიერო საზოგადოების წევრები (სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები და დოქტორანტები) სამეცნიერო-შემოქმედებითი ვიზიტით ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაემგზავრნენ. ვიზიტის მიზანი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მნიშვნელოვან პრობლემებზე პროფესიონალი იურისტებისა და სტუდენტების მოსაზრებების შეჯერება იყო. ღონისძიება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისა და იურიდიული ფაკულტეტის დეკანატის მხარდაჭერით განხორციელდა. შეხვედრის მოდერატორი იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი, თინათინ წერეთლის სახელობის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების დამფუძნებელი მაია ივანიძე გახლდათ.

„ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტს შორის მჭიდრო სამეცნიერო და კოლეგიური ურთიერთობა წლების განმავლობაში ტრადიციად იქცა. ამგვარი შეხვედრები ხელს უწყობს სხვადასხვა რეგიონში არსებული უნივერსიტეტის სტუდენტების დაახლოებას, მათ კავშირს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და აყალიბებს კოლეგიალურ ურთიერთობებს. ჩვენ სტუდენტების სახით საოცარი თაობა გვყავს, ისინი აუცილებლად უნდა იცნობდნენ ერთმანეთს და მათი პროფესიული ურთიერთობა არა მარტო სისხლის სამართალში არსებული საკითხების მოგვარებას შეუწყობს ხელს, არამედ ბევრი სხვა თემის გადაჭრაში დაგვეხმარება. მნიშვნელოვანია, რომ ამგვარ შეხვედრებს ყოველთვის ესწრებიან პრაქტიკოსი იურისტები და საინტერესოდ წარმოაჩენენ რეგიონისთვის დამახასიათებელ პრაქტიკულ სინამდვილეს“, — განაცხადა მაია ივანიძემ.

სამეცნიერო ღონისძიებას ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები, სისხლის სამართლის მიმართულების ხელმძღვანელი ირაკლი შენგელია და სტუდენტური თვითმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. შეხვედრაზე მოხსენება წარმოადგინა თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტმა, თინათინ წერეთლის სახელობის სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარემ თამარ მახარობლიძემ თემაზე — „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ ზოგადი მიმოხილვა. მომხსენებლის აზრით, მოზარდის საუკეთესო ინტერესებზე ორიენტირებული სპეციალური კოდექსი არასრულწლოვანთათვის საქართველოს კანონმდებლობისთვის სრულიად ახალი ინსტიტუტია და თანამედროვე ქართული მართლმსაჯულებისთვის არა მარტო ინოვაციურ, არამედ რევოლუციურ პროექტს წარმოადგენს.

რაც შეეხება არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების საკითხს, ამ თემაზე თსუ-ის სტუდენტმა გიორგი ხუბულავამ ისაუბრა. მან აღნიშნა, რომ არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესები ქართულ საკანონმდებლო რეალობაში წარმოადგენს ნოვაციას, რომელიც საჭიროებს სამართლებრივ ანალიზს. მომხსენებელმა წარმოგვიდგინა მოკლე ისტორიული ექსკურსი ტერმინის „არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების“ შესახებ და აღნიშნა, რომ იგი პირველად აშშ-ში ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში გამოიყენეს. ის მოცემული იყო დოქტრინის სახით და, ძირითადად, შეეხო იმ არასრულწლოვნებს, რომლის მშობლებიც ერთად არ ცხოვრობენ და საკითხი — თუ რომელი მშობელი უნდა ყოფილიყო არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენელი, ვის დაეკისრებოდა მასზე მზრუნველობა — წყდებოდა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე.

თემაზე („არასრულწლოვნის ინდივიდუალური შეფასების ანგარიში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის თანახმად“) მოხსენება წაიკითხა თინათინ წერეთლის სამეცნიერო საზოგადოების წევრმა სალომე სანამიანმა. მისი განმარტებით, არასრულწლოვნის ინდივიდუალური შეფასების ანგარიში არის დოკუმენტი, რომელიც სახელმძღვანელო გახდა სისხლის სამართლის პროცესის განხორციელების დროს. ინდივიდუალური შეფასების ანგარიშში დეტალურად განისაზღვრება არასრულწლოვნის განვითარების დონე, ცხოვრების აღზრდისა და განვითარების პირობები, განათლება-ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური ვითარება და სხვა გარემოებები. ინდივიდუალური შეფასების ანგარიშში აისახება არასრულწლოვნის განსაკუთრებული საჭიროებები/სამართალდარღვევის ჩადენის რისკი და შესაბამისად, მისი განვითარების და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობისთვის რეკომენდებული ღონისძიებები.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დისკუსია შედგა, რომელშიც აქტიური მონაწილეობა მიიღეს მასპინძლებმა: ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ ირაკლი შენგელიამ, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ გიორგი ქაშაკაშვილმა, პროკურორებმა ქეთევან თალაკვაძემ და ია ჩხეიძემ. არასრულწლოვნის ასაკსა და ქმედუნარიანობაზე ისაუბრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეულმა ლექტორმა თამარ ჩოტოშვილმა. არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის საკითხი თინათინ წერეთლის სახელობის სამართლის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელმა ქალბატონმა ლუარა ჭანტურიამ განმარტა. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სისხლის სამართალში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხს, აქედან გამომდინარე, აუცილებელია ისეთი სტრატეგიული ღონისძიებების გატარება, რომელიც ხელს შეუწყობს სისხლის სამართლის კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა რეაბილიტაციასა და რეინტეგრაციას, მოემსახურება საზოგადოების ჭეშმარიტ ინტერესებს. ქალბატონი ლუარას აზრით, საკითხის გადასაჭრელად აუცილებელია, არასრულწლოვანს ჰქონდეს ჯანსაღი გარემო, ჰარმონიული და სრულყოფილი ოჯახი, რამდენადაც, მომხსენებლის აზრით, ოჯახი მოზარდისთვის მნიშვნელოვანი სოციალური გარემოა.

„არასტაბილურმა ეკონომიკურმა მდგომარეობამ მძიმე დარტყმა მიაყენა თითქმის ყველა რგოლს, განსაკუთრებით ოჯახს, რომელიც მოზარდისთვის პირველი სოციალური გარემოა, იგი ვალდებულია შესაბამისობაში მოიყვანოს ტრადიცია და სიახლე, მკვეთრად გამიჯნოს ერთმანეთისგან ნეგატიური და პოზიტიური მოვლენა.

მეორე სოციალური გარემო ბავშვისა და მოზარდისთვის არის ზოგადსაგანმანათლებლო სისტემა, კერძოდ, სკოლა, რომელშიც საბოლოოდ ხდება მომავალი სოციალური სუბიექტის ფიზიკური და ინტელექტუალური ჩამოყალიბება, რადგან სკოლის ასაკი მოიცავს მოზარდის გარდატეხის პერიოდს, როცა ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიური ცვლილებები მთლიანად ცვლის მოზარდს, როგორც ფიზიკურად, ასევე, გონებრივად. ამ ცვლილებების სწორად წარმართვა კი შეუძლებელია ჯანსაღი გარემოს გარეშე. ასე რომ, მოზარდის სოციალური ორიენტაციის ჩამოყალიბება საკმაოდ რთული პროცესია, რომელსაც უშუალო კავშირში აქვს სახელმწიფოსთან. მთავრობა ყოველთვის კეთილ ნებას უნდა იჩენდეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის შექმნაზე, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, მათ შორის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა შესახებ კონვენციის პრინციპებსა და ნორმებს. მთელი გულისყური მიმართული უნდა იყოს ისეთი სისტემის შექმნისთვის, რომელიც უზრუნველყოფს არასრულწლოვანთა დანაშაულის თავიდან აცილებას და ხელს შეუწყობს სისხლის სამართლის კანონთან კონფლიქტში მყოფ მოზარდების სათანადო რეაბილიტაციას, განმეორებითი დანაშაულის თავიდან აცილებას“, — აღნიშნულია ლუარა ჭანტურიას მოხსენებაში.

შეხვედრა თსუ-ის სტუდენტმა შორენა გვილავამ დაასრულა თემით: „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით გათვალისწინებული სასჯელის სახეები“. სტუდენტმა მოხსენების შეჯამებისას აღნიშნა, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-6 კარის ანალიზი ცხადყოფს, თუ როგორი ლიბერალურია კანონმდებელი არასრულწლოვნის მიმართ და როგორი სიფრთხილით ეკიდება მის მიმართ სასჯელის უკიდურესი ზომების გამოყენებას. მომხსენებლის აზრით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი ითვალისწინებს, რომ ხვალ ეს არასრულწლოვნები ჩვენი საზოგადოების განუყოფელი ნაწილი გახდეს.

სამი წლის იუბილე და სამწლიანი საქმიანობის ანგარიში

დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტმა საზეიმო მიღება გამართა

დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტმა სამი წლის იუბილე აღნიშნა და საზოგადოებას განხორციელებული სასწავლო-სამეცნიერო პროექტების შესახებ ანგარიში წარუდგინა. საზეიმო მიღება საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გაიმართა. ამ დროისთვის, ინსტიტუტმა უკვე 35-მდე წიგნი და ჟურნალი გამოსცა, რომელთა უმრავლესობა საქართველოს წამყვანი უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო კურიკულუმშია ჩართული. მათ შორის არის „მედიასამართალი“ და „საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი“. პერიოდულ გამოცემებს შორის აღსანიშნავია საერთაშორისოდ რეფერირებადი ჟურნალი „თანამედროვე სამართლის მიმოხილვა“, რომელიც აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტთან თანამშრომლობის ფარგლებში გამოიცემა და მისი სარედაქციო კოლეგიის ერთ-ერთი წევრი მიუნხენის ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტის პროფესორი ჰელმუნდ ზალცგერი გახლავთ. საზეიმო მიღებაზე დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა საზოგადოებას მომავალი პროექტებისა და გამოცემების შესახებაც მიაწოდეს ინფორმაცია.

„მიმდინარე წლის შემოდგომაზე კერძო სამართლის მიმართულებით ახალი სამეცნიერო-კვლევითი ჟურნალის გამოცემას ვგეგმავთ. ჟურნალი „კორძაიას საადვოკატო ბიუროსთან“ პარტნიორობის ფარგლებში გამოვა. ასევე, ვაპირებთ ჟურნალის გამოცემას კრიმინოლოგიასა და სისხლის სამართალშიც. ეს პროექტიც შემოდგომიდან განხორციელდება. გარდა ამისა, გვაქვს ტრადიციული ღონისძიებები. მაგალითად, წელს გაიმართება რიგით მესამე ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია საკონსტიტუციო სამართალში, რომელიც კონსტიტუციონალიზმის 800 და საქართველოს კონსტიტუციის 20 წლის იუბილეს მიეძღვნება. სპეციალურად სტუდენტებისთვის მესამე სამეცნიერო სტუდენტური კონფერენცია გაიმართება. დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტში ფუნქციონირებს სასწავლო ცენტრი, რომლის ფარგლებშიც მომავალი იურისტებისთვის პრაქტიკული პროექტები ხორციელდება. გვაქვს ე.წ. ბრენდ-პროექტებიც, მაგალითად, ხელშეკრულების შედგენის მეთოდიკა სამოქალაქო სამართალში, აკადემიური სამართლებრივი წერა, სხვადასხვა ტრენინგები, დებატების ტურნირები... ვცდილობთ, ინსტიტუტი სტუდენტებისთვისაც მიმზიდველი იყოს“, — განაცხადა დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის დირექტორმა დიმიტრი გეგენავამ.

2012 წელს დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტმა წლის საუკეთესო სამართლებრივი ნაშრომისთვის სპეციალური სამეცნიერო ჯილდო დააწესა. საზეიმო მიღებაზე ინსტიტუტის წევრებმა 2014 წლის საუკეთესო ნაშრომისთვის პროფესორი გიორგი თუმანიშვილი დააჯილდოვა წიგნისთვის: „სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი მიმოხილვა“. დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის სამეცნიერო ჯილდო წინა წლებში უკვე გადაეცათ პროფესორებს ლადო ჭანტურიას წიგნისთვის — „კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი“ და ირაკლი ბურდულს ნაშრომისთვის — „სააქციო სამართლის საფუძვლები“ (ტომი II).

დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის სამწლიანი საქმიანობის შემაჯამებელი ღონისძიება 24 ივნისს გაიმართა და მას სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის აკადემიური საზოგადოების წარმომადგენლები, ადმინისტრაციის წევრები და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ. საზეიმო მიღებაზე ინსტიტუტის პარტნიორ ორგანიზაციებს: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, J&T Consulting-სა და აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს მადლობის სიგელები გადაეცათ.

დღეისთვის დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, სამხრეთ კავკასიის მასშტაბით, ყველაზე დიდი და ავტორიტეტული ახალგაზრდული კვლევითი გაერთიანებაა. მნიშვნელოვანია, რომ სამეცნიერო საქმიანობის პარალელურად ინსტიტუტში პრიორიტეტულია სტუდენტებზე გამიზნული სასწავლო პროექტები, რომელშიც ყოველ წელს ათეულობით მომავალი იურისტი მონაწილეობს.

მოამზადა **ნატო ოგოლაძემ**

სტუდენტის ქართულად ნათარგმნი ბოეთიუსის „ფილოსოფიის ნუგეში“

ნატო ოგოლაძე

თსუ-ის კლასიკური ფილოლოგიის ბაკალავრმა გვანცა ფოფხაძემ რომაელი სახელმწიფო მოღვაწის, მწერლისა და ფილოსოფოსის ბოეთიუსის „ფილოსოფიის ნუგეში“ თარგმნა. ბოეთიუსი VI საუკუნეში მოღვაწეობდა და მათემატიკური, გეომეტრიული, არითმეტიკული, ასტრონომიული, მუსიკალური ხასიათის წიგნების, თეოლოგიური ტრაქტატების, განმარტებების, თხზულებების (ლოგიკაში) ავტორია. თუმცა, მათ შორის, დღემდე ყველაზე დიდი პოპულარობით „ფილოსოფიის ნუგეში“ სარგებლობს. გვანცა ფოფხაძემ ნაწარმოები ლათინურიდან თარგმნა და მასზე თითქმის ორი წლის განმავლობაში მუშაობდა. წიგნის რედაქტორი პროფესორი ნანა ტონია გახლავთ, გარეკანის დიზაინი ალექსანდრე ჯიქურიძეს ეკუთვნის. თარგმანი პროგრამა „ლოგოსის“ მეშვეობით გამოიცა და დაინტერესებულ მკითხველებს მისი შეძენა უკვე შეუძლიათ.

„ზოგიერთმა შეიძლება იფიქროს, რომ, გარკვეულწილად, კადნიერებაა ჩემი ასაკისა და კომპეტენციის ადამიანმა ხელი მოკიდოს ისეთი ნაწარმოების თარგმნას, რომელიც ბიბლიის შემდეგ შუა საუკუნეების განათლებულ საზოგადოებაში ყველაზე პოპულარული იყო. თუმცა, მოგეხსენებათ, ახალგაზრდები, რომლებსაც ცოტა გამოცდილება და ნაკლები ცოდნა აქვთ, მაინც თამამები და რისკიანები არიან. სწორედ აქედან გამომდინარე გადავწყვიტე მეც ბოეთიუსის თარგმნა. ლათინურიდან თარგმნისას, რა თქმა უნდა, სირთულეები შემხვდა. პირველი სირთულე და ღირსებაც ამ ნაწარმოების გახლავთ ის, რომ პროზას პოეზია ენაცვლება. გარდა ამისა, ყველა ლექსი განსხვავებული საზომით არის დაწერილი. ვფიქრობ, ქართულად შეუძლებელია ზუსტად გადმოვიტანოთ ლათინური საზომები, ორივე ენის ბუნების გათვალისწინებით. თუმცა, შევეცადე, რომ ზუსტად გადმომეცა არა საზომები, არამედ ლექსთა მრავალფეროვნება. ამისთვის გარკვეული ექსპერიმენტებიც გამოვიყენე. ჩემთვის რთული იყო ფილოსოფიური ტერმინების თარგმნაც, რადგან ლათინური ფილოსოფიური ტექსტები ამ პროფესიის ადამიანებისთვისაც კი ძალიან რთულია, მით უმეტეს კი მისთვის, ვინც ფილოსოფოსი არ არის.

ბოეთიუსის პიროვნებამ ძალიან მომხიბლა. მან „ფილოსოფიის ნუგეში“ დაწერა არა მოლხენის ან განცხრომისას, როდესაც ადამიანებს ფილოსოფიური იდეები უჩნდებათ, არამედ სიკვდილით დასჯამდე. იგი ეძებდა ნუგეშს და იპოვა ფილოსოფიაში. მომხიბლა იმან, რომ ღმერთს ან რომელიმე ღვთის მოციქულს პირდაპირ არ ესაუბრება და შუამავლად ,,ფილოსოფია“ ჰყავს. ჩემთვის ბოეთიუსი პიროვნების, მეოჯახის, საზოგადო მოღვაწის იდეალია. მას ყველაფერი ჰქონდა, რისი ნატვრაც ადამიანს შეუძლია, მაგრამ უსამართლობას როდესაც შეეჯახა, ეს ყველაფერი სასწორზე დადო. თავიდან გაურკვევლობაში ჩავარდა, მაგრამ ფილოსოფიამ ანუგეშა და თავის გადაწყვეტილებას აღარ ნანობდა.

ბოეთიუსის ბევრი მკვლევარი აღნიშნავს, რომ იგი ნებისმიერი ეპოქის სამკაულია. ვფიქრობ, თანამედროვე ადამიანმაც შეიძლება ბოეთიუსით დაიმშვენოს თავი“, — განაცხადა ბოეთიუსის „ფილოსოფიის ნუგეშის“ ქართულენოვანი გამოცემის პრეზენტაციაზე ახალგაზრდა მთარგმნელმა.

ბოეთიუსის „ფილოსოფიის ნუგეშის“ ქართულ ენაზე მთარგმნელი ბაკალავრიატის კურსდამთავრებულია. მისი ნაშრომი სპეციალისტებმა დადებითად შეაფასეს. გვანცა ფოფხაძეს თარგმნის პროცესში კონსულტაციას ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი ნანა ტონია უწევდა.

„გვანცა პატარაა ბოეთიუსი რომ ეთარგმნა, მაგრამ მან ეს მოახერხა. ბოეთიუსის ტექსტი ურთულესია, პროზას პოეზია ენაცვლება, დაახლოებით 40-მდე ლექსია და თითოეული მათგანი სხვადასხვა საზომით არის დაწერილი. ზოგადად, ტექსტიც რთულია, რადგან ფილოსოფიურია, ფილოსოფიის ლექსად გადმოცემა კი კიდევ უფრო დიდ სირთულეს წარმოადგენს. თუმცა, გვანცამ თარგმანს კარგად გაართვა თავი. და აი, დღეს, ჩვენ უკვე გვაქვს შესანიშნავი გამოცემა – ბოეთიუსის „ფილოსოფიის ნუგეში“ ქართულ ენაზე“, — განაცხადა ნანა ტონიამ.

ბოეთიუსის „ფილოსოფიის ნუგეშის“ ქართულენოვანი გამოცემის პრეზენტაცია კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში გაიმართა. ეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უკვე მეორე შემთხვევაა, როდესაც სტუდენტი ანტიკური ლიტერატურის შედევრს თარგმნის. მანამდე, 2013 წელს, თეოფრასტოსის „ხასიათები“ გამოიცა, რომელიც ძველი ბერძნულიდან III კურსის სტუდენტებმა — ნათია გათენაშვილმა, ნინი თაზიაშვილმა, ნინი ქუთელიამ და ალექსი ნიკოლოზიშვილმა თარგმნეს.

შშმ პირთა უფლებების დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა (შშმ) საკითხების კვლევის ცენტრმა საქართველოში ამ ადამიანების უფლებების დაცვის დღესთან დაკავშირებით ღონისძიება გამართა. საქართველოში შშმ პირთა უფლებების დაცვის დღე 14 ივნისს აღინიშნება.

დღეს მსოფლიოში, სამწუხაროდ, ბევრია ე.წ. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი. საზოგადოების დიდ ნაწილს, მათ მიმართ არასწორი დამოკიდებულება აქვს. საბედნიეროდ, დღეს ახალგაზრდობას განსხვავებული და უფრო სწორი მიდგომა უყალიბდება, რაც კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია ნორმალური ქვეყნის შესაქმნელად. ამაში მათ, არასამთავრობო ორგანიზაციებიც ეხმარებიან. ამ მონდომებისა და მცირეოდენი პროგრესის ხარჯზე, შესაძლებელია საქართველოში არსებული რეალობის შეცვლა, რომელიც უშუალოდ შშმ პირებს და მათი უფლებების დაცვას ეხება. შშმ პირების საზოგადოებაში ინტეგრირება შესაძლებელი და აუცილებელია, რადგან მათი გარიყვით, უარესს სურათს მოვიღებთ, ვიდრე დღეს გვაქვს. ამ რეალობის გათვალისწინებით შეიქმნა თსუ-ის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხების კვლევის ცენტრი, რომლის დაარსების იდეა კარგა ხნის წინ გაჩნდა.

თამარ დადიანი

ცენტრის დირექტორის, ფსიქოლოგის, თსუ-ის ასოცირებული პროფესორის, საჯარო პოლიტიკის დოქტორის თამარ მახარაძის თქმით, ცენტრის მუშაობა მთლიანად საგრანტო პროექტებით შემოსული თანხით ფინანსდება. პირველი პროექტი „შშმ პირთა დასაქმება საქართველოში — პოლონეთის, ჩეხეთისა და უნგრეთის გამოცდილების პერსპექტივიდან“ ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდმა დააფინანსა. იგი 2014 წლის 1 დეკემბერს დაიწყო და 2016 წლის ნოემბრამდე გრძელდება.

„დღევანდელი ღონისძიება საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის დღეს მივუძღვენით. ჩვენი კვლევითი ცენტრი ახორციელებს პროექტს, რომლის მიზანია ადგილობრივი და საერთაშორისო პარტნიორობის განვითარებითა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენებით, შშმ პირთა მხარდამჭერი სოციალური პროგრამებისა და სერვისების განვითარების ხელშეწყობა და საზოგადოებაში არსებული სტიგმის შემცირება.

ცენტრის საქმიანობამ ხელი უნდა შეუწყოს ქვეყანაში იმ პროცესებს, რაც მიმართულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვისა და მათი სრული სოციალური ინტეგრაციისკენ. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხების კვლევის ცენტრის დაარსებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მიზნად ისახავს აკადემიურ სივრცეში გადაიტანოს იმ საკითხების განხილვა, რომელიც შშმ პირთა სოციალური ინტეგრაციის მიმართულებით სწორი და თანმიმდევრული ნაბიჯების გადადგმას შეუწყობს ხელს“, — აღნიშნა თსუ-ის ასოცირებულმა პროფესორმა თამარ მახარაძემ.

საქართველოში კვლავაც პრობლემური რჩება შშმ პირთა უფლებების რეალიზაცია, საზოგადოებაში ინტეგრაცია. ხშირად ირღვევა საზოგადოების ამ ფენის უფლებები, არ არსებობს შესაბამისი კანონმდებლობა, დაბალია საზოგადოების ცნობიერება, არ არის ადაპტირებული გარემო, მოუგვარებელია შშმ პირთა დასაქმების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხები, თავად შშმ პირები იზოლირებული არიან სოციუმისგან და ასე შემდეგ. საჭირო სერვისების არარსებობის გარდა, სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს საზოგადოების დაბალი ინფორმირებულობა შეზღუდული შესაძლებლობის საკითხებზე, რაც შშმ პირთა მიმართ სტიგმის განვითარებას უწყობს ხელს, ეს კი, თავის მხრივ, ხელს უშლის ამ ადამიანებისთვის განათლების, დასაქმებისა და ნორმალური ცხოვრებისთვის საჭირო პირობების შექმნას.

ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდმა დააფინანსა ესეების კონკურსი თემაზე — „განათლების ხელმისაწვდომობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის საქართველოში — ძირითადი გამოწვევები და მათი მოგვარების გზები”. შემფასებლების ჯგუფმა 5 საუკეთესო ნაშრომი გამოარჩია: I ადგილი დაიკავა თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტმა გოგა ხატიაშვილმა, II ადგილი მოიპოვეს თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის სტუდენტმა თორნიკე ბაქაქურმა და თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტმა დარეჯან გოგაშვილმა, ხოლო III ადგილი — ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის სტუდენტმა ანა ჯანუკაშვილმა და მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტმა ლონდა ჭანტურიძემ.

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართულობა საზოგადოებრივად აქტიურ საქმიანობაში ძალიან მნიშვნელოვანია მთელი მსოფლიოსთვის და, რა თქმა უნდა, ჩვენი ქვეყნისა და უნივერსიტეტისთვის. თსუ-ში შექმნილია ცენტრი, რომელიც იკვლევს ამ პრობლემებს. ვფიქრობ, ეს აქტიურობა გაძლიერდება და გაფართოვდება”, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ, რომელმაც სპეციალური სიგელებით დააჯილდოვა ესეების კონკურსში გამარჯვებული სტუდენტები.

„განათლების ხელმისაწვდომობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის საინტერესო პროექტია. ისინი ჩვენი საზოგადოების ერთერთ ყველაზე მოწყვლად კატეგორიას განეკუთვნებიან და აქედან გამომდინარე, მათი უფლებები განსაკუთრებულად არის დაცული კონსტიტუციით. ამ კვლევისას გამოიკეთა, თუ რამდენად ხელმისაწვდომია განათლების უფლება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის”, — განაცხადა ესეების კონკურსში გამარჯვებულმა სტუდენტმა გოგა ხატიაშვილმა.

ამავე პროექტის ფარგლებში გაიმართა თემატური სოციალური რგოლის პრეზენტაცია. სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ დაეთვალიერებინათ და შეეძინათ შშმ პირთა მიერ დამზადებული ხელნაკეთი ნივთები.

14 ივნისს გამართულ ღონისძიებას არასამთავრობო ორგანიზაციის, თსუ-ის ადმინისტრაციის წარმომადგენლები და სტუდენტები ესწრებოდნენ.

მეწყრულ–ღვარცოფული პროცესები მდინარე ვერეს ხეობაში

სტიქიური ბუნებრივი პროცესებით განპირობებულმა ნეგატიურმა შედეგებმა მთელს ჩვენს ქვეყანაში და, მათ შორის, თბილისშიც არაერთხელ ადამიანთა მსხვერპლი და ათეულ მილიონობით ლარის ზარალი გამოიწვია. სტიქიური პროცესებით მეტნაკლები სიძლიერით დაზიანებულია, ან მათი ზემოქმედების რისკის საფრთხის ქვეშაა ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა ბუნებრივ-ლანდშაფტური ზონა, გამონაკლისი ამ მხრივ არც ჩვენი დედაქალაქი და მისი მიდამოების ლანდშაფტებია.

ისე როგორც მთელ საქართველოში, თბილისსა და მის შემოგარენში სტიქიური ბუნებრივი პროცესების გამომწვევ ძირითად ფაქტორებს წარმოადგენს: რელიეფის ღრმა დანაწევრება და ძლიერ დახრილი ზედაპირების არსებობა, დაბალი ფიზიკური მდგრადობის მქონე ქანების დიდ ფართობზე გავრცელება, კლიმატური პირობების სივრცით–ზონალური ცვლილებები და, რაც მთავარია, ადამიანის სამეურნეო საქმიანობით გამოწვეული არარაციონალური ბუნებათსარგებლობა.

საქართველოს ჰიდროქსელის საერთო რიცხოვნობის 80%-ზე მეტს მცირე მდინარეები შეადგენს, რომელთა აუზებში თავმოყრილია ქვეყნის მოსახლეობის 60%-ზე მეტი. მცირე მთის მდინარეთა რიცხვშია მდ. ვერეც, რომელიც მტკვრის მარჯვენა შენაკადია და სათავეს იღებს თრიალეთის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე, დიდგორის მთის მიდამოებში. მდ. ვერეს მორფომეტრიული მაჩვენებლები შემდეგია: სათავე ზღ. დონიდან 1682 მ, შესართავი (მდ. მტკვრის დონე) – 390 მ., სიგრძე – 45 კმ., წყლის საშ. წლიური ხარჯი – 0,97 მ3/წმ., წყალშემკრები აუზის ფართობი – 194 კმ2 (თბილისის ფართობის თითქმის ნახევარი), ვარდნის საერთო სიდიდე 1290 მ.-ია, მდინარის დახრა 29 პრომილე; კალაპოტის დახრილობა 10–250 და მეტი. ახასიათებს პერიოდული წყალმოვარდნა. მდ. ვერეს ხეობაში, განსაკუთრებით ზემო მთიან ნაწილში ბევრი მეწყრული სხეული ფიქსირდება, ამ მხრივ გამორჩეულია სოფ. წვერი, სადაც წყალმოვარდნამ უამრავი ნაპრალი გააჩინა.

მდ. ვერეს მთავარი შენაკადებია, მარცხნიდან ლასტისციხისხევი და ვენახევისხევი, მარჯვნიდან – ბეთანიისწყალი, სწორედ ამ უკანასკნელის მიდამოებში, ბეთანია–ახალდაბის მონაკვეთზე ჩამოწვა საკმაოდ დიდი მოცულობის მეწყრული სხეული, რომელმაც გადაკეტა მდ. ვერე. თბილისის მიდამოებში ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 550–600 მმ–ის ფარგლებშია, რომელსაც აპრილსა და ივნისში თავსხმა ხასიათი აქვს. სწორედ იმ ავბედით 13 ივნისის ღამეს, ნალექის თავსხმა წვიმის სახით მოსვლამ საშუალო წლიური ნორმის დაახლოებით მესამედი შეადგინა და მდინარის ხარჯმა 450მ3/წმ–ს გადააჭარბა, თანაც ძალიან მოკლე დროში, 3–4 საათის განმავლობაში. შეგუბებულმა წყალმა გაარღვია მეწყრული სხეული და სწრაფად, დიდი მოცულობითა და ენერგიით დაეშვა ხეობაში. ცხადი იყო, რომ მას ვერ გაატარებდა არსებული გვირაბები, თანაც ღვარცოფულ ნაკადში მყარი მასალის შედგენილობა იმის დასტური გახდა, რომ ადგილი ჰქონდა რთული ხასიათის მეწყრულ-ღვარცოფულ პროცესს. ყოველივე ამას კი მოჰყვა მდ. ვერეს ძალიან სწრაფად ადიდება და წყლის დონის აწევა ქ. თბილისში 12 მ.-მდე, ადამიანთა დიდი მსხვერპლი, ზოოპარკის ბინადართა ნაწილის განადგურება, უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანები და ათეულ მილიონობით ლარის ეკონომიკური ზარალი. სამწუხაროდ, მათ შორის აღმოჩნდა თსუ-ის ჰიდრომეტეოროლოგიის ლაბორატორიაც, რომელიც ათეული წლების განმავლობაში ეწეოდა ძალზე ნაყოფიერ სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობას, მდ. ვერეს ვაკის მონაკვეთზე. გაჩნდა ძლიერ დაზიანებული, კატასტროფული ლოკალური ადგილები: აკად. გივი სვანიძის ქუჩა, ზოოპარკის მიდამოები, გმირთა მოედანი – თამარაშვილის დამაკავშირებელი ახალი გზის მონაკვეთი და საბავშვო ქალაქ „მზიურის“ ტერიტორია. აღსანიშნავია, რომ ადამიანთა მსხვერპლი გაცილებით დიდი იქნებოდა, თუ არა მთავრობის წევრთა და განსაკუთრებით, ჩვენი ახალგაზრდობის აქტიური ჩართვა გაწმენდით სამუშაოებში და, საერთოდ, ყველა ძალის გაერთიანება ერთი პრობლემისადმი, უდავოდ, ამ ძალზე ტრაგიკული შემთხვევის სწრაფად აღმოფხვრის იმედს იძლევა.

მაინც, სად ვეძებოთ აღნიშნული ტრაგიკული შემთხვევის მიზეზები?

ბუნება საკმაოდ რთული ერთიანი, მთლიანი ორგანიზმია, მას მეტად ფრთხილი და სათუთი მოპყრობა ესაჭიროება. ბუნებაში მიმდინარე პროცესების რეგულირება-მართვა (თუ ეს დასაშვები და შესაძლებელია?!) და სანიტარულ-პროფილაქტიკურ სამუშაოთა ჩატარება მეტად რთული, შრომატევადი, მაგრამ სამომავლოდ აუცილებელი საშვილიშვილო საქმეა. ეს კი საჭიროებს კვლევის უახლესი მეთოდების გამოყენებას, მონიტორინგს, პროგნოზირებასა და მოდელირებას; გეოსაინფორმაციული ბაზის შექმნას; საზოგადოების ეკოლოგიური კულტურის ამაღლებას; მოვლენებისა და პროცესების წარსულის ტენდენციების თანამედროვე ვითარებასთან გაანალიზებას; ჰიდროლოგიური საგუშაგოების მოწყობას წინასწარ სწორად შერჩეულ ადგილებში, სპეციალისტ-ექსპერტთა გამოკითხვასა და მათი კონსულტაციების გათვალისწინებას და სხვ. არასდროს დავივიწყოთ, რომ ბუნება ვითარდება თავისი კანონზომიერებებით და თუ მას არ გავითვალისწინებთ და დავარღვევთ, იგი ჩვენზე უდავოდ შურს იძიებს. განა შეიძლება მდინარის კალაპოტის ხელოვნურ არტახებში – გვირაბებსა და მილებში ასეთი დოზით მოქცევა? დასაშვებია ჭალაში ბინათმშენებლობა, ან ხიმინჯების გარეშე ავტომაგისტრალის გაყვანა? ჭალა ხომ ხეობის ის ნაწილია, რომელიც წყალდიდობის დროს დროდადრო მთლიანად ან ნაწილობრივ წყლით იფარება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია ინფორმაციული სისტემების შექმნა და მობილური სისტემების გამართული მუშაობა. ჩვენში ხომ, ყოველდღიურად სხვადასხვა სახის ათასობით მოკლეტექსტური შეტყობინება შემოდის (ზოგჯერ სრულიად არამიზნობრივი!). საჭიროა დაუყოვნებლივ მოხდეს მოსახლეობის წინასწარი (რამდენიმე საათით ადრე მაინც!) ინფორმირება მოსალოდნელ სტიქიურ პროცესებზე. ცნობილია მდინარეთა წყალდიდობების პიკების „ჩამოჭრა“, მისი წყლის გადაქაჩვით სპეციალურად მოწყობილ წყალსაცავებში, დონის დაწევის შემდეგ კი, ისევ დაბრუნება მდინარის კალაპოტში. ანალოგიური სამუშაოების ჩატარება შესაძლებელია მდ. ვერეზეც. ასე მაგალითად, გამოფიტულ-გაფხვიერებული ფერდობული ნაფენების დროული გატანა კალაპოტიდან. მოგეხსენებათ, ჩვენი დედაქალაქი მდებარეობს მისივე სახელწოდების ქვაბულში, ტერასული განაშენიანებით. თუ დროულად არ მივიღეთ პრევენციული ღონისძიებები, სამწუხაროდ, შესაძლებელია კლიმატის გლობალური ცვლილების ფონზე ეს მოვლენები კვლავაც განმეორდეს არა მარტო მდ. ვერეს ხეობასი, არამედ მის სხვა შენაკადებზეც, კერძოდ, მდ. ლეღვთახევის, გლდანისხევის, დიღმისწყლის და სხვ. ხეობებში.

ამდენად, საქართველოს უნიკალური ბუნების დაცვა და ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნების შენარჩუნება, სახელმწიფოს მხრიდან მოითხოვს პირველ რიგში საკანონმდებლო ბაზის სრულყოფას, გარემოს დაცვის სფეროში დასაქმებულთა გადამზადებას მათი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, სასწავლო–სამეცნიერო დაწესებულებებში ახალგაზრდა კვალიფიციური კადრების მომზადებაში უფრო მეტ მხარდაჭერას, რითაც მიიღწევა ბუნებისა და საზოგადოების ჰარმონიული თანაარსებობა.

პროფესორი **ზურაბ სეფერთელაძე,**
ეთერ დავითაია,
თამარ ალექსიძე
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, გეოგრაფიის დეპარტამენტი, ბუნებათსარგებლობის გეოგრაფიის კათედრა

ქართული ენის დაჩქარებული მეთოდით სწავლების საპილოტე პროგრამა — „ვისწავლოთ ქართული“

შურთხია ბეროშვილი

საქართველოში დღესდღეობით კვლავ მნიშვნელოვან საკითხად რჩება ეროვნული უმცირესობების სრულყოფილი ინტეგრაცია და, როგორც წესი, ეს პრობლემა უფრო მწვავედ დგას ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში. ამის ძირითად მიზეზს ეროვნული უმცირესობების მიერ სახელმწიფო ენის არასაკმარისი ცოდნა წარმოადგენს. სახელმწიფომ უნდა გააძლიეროს და გაცილებით ფართო მასშტაბით გააგრძელოს ქართული ენის შესწავლის სახელმწიფო პროგრამა, — აღნიშნულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორებისა და მასწავლებლების საგანგებო განცხადებაში, რომლითაც მათ 2014 წლის 25 დეკემბერს საქართველოს პარლამენტს მიმართეს.

როგორც პროექტის ორგანიზატორები აღნიშნავენ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გამოხატავს მზადყოფნას, აქტიურად ჩაერთოს როგორც ამ პროგრამის განხორციელებაში, ასევე ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის განმტკიცების საქმეში. მათი ინფორმაციით, ბოლო წლებში ამ მიმართულებით გარკვეული პოზიტიური დინამიკა შეინიშნება, ეროვნული უმცირესობებისთვის ქართული ენის სწავლების რამდენიმე პროგრამა მოქმედებს, თუმცა, ამ პროგრამების სამიზნე ჯგუფებს მიღმა მოსახლეობის დიდი ნაწილი აღმოჩნდა.

„საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში დაფიქსირდა კიდევ ერთი, პოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე, ტენდენცია, რამაც ეროვნული უმცირესობების საზოგადოებაში სრულყოფილ ინტეგრაციას ახალი დაბრკოლება შეუქმნა. ათწლეულების მანძილზე სხვადასხვა ეროვნულ უმცირესობათა შორის ერთმანეთთან და ქართულენოვან საზოგადოებასთან საკომუნიკაციო საშუალების — რუსული ენის — გამოყენების არეალი საგრძნობლად შევიწროვდა – ახალი თაობა, განსაკუთრებით ქართულენოვანი მოსახლეობა, რუსულ ენას ნაკლებად ფლობს. რადგან ჯერჯერობით ქართულმა ვერ შეავსო ეს ე.წ. ენობრივი ვაკუუმი, ეროვნული უმცირესობები მონოლინგვური კომუნიკაციის ფარგლებში მოექცნენ - მათთვის გაძნელდა ურთიერთობების დამყარება როგორც სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან, ისე სახელმწიფო უწყებებთან.

სამწუხარო რეალობად რჩება ის ფაქტიც, რომ საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, რომლებიც არ ფლობენ ქართულ ენას, კულტურულად მეტად არიან ორიენტირებულნი მეზობელ ქვეყნებზე, ვიდრე უშუალოდ იმ სახელმწიფოზე, რომლის მოქალაქეებიც თავად არიან, რაც სახელმწიფოსთვის მეტად არასასურველი ტენდენციაა. ამ გარემოებების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია ისეთი პროექტის განხორციელება, რომელიც კომპაქტურად განსახლებულ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებისთვის ქართული ენისა და წერა-კითხვის დაჩქარებული, თანამედროვე და ეფექტური მეთოდით სწავლებას უზრუნველყოფს. ამგვარი პროექტი ნიადაგს მოუმზადებს როგორც „ქართული ენის შესახებ“ კანონის განხორციელებას, ისე ხელს შეუწყობს ეროვნული უმცირესობების სრულყოფილ ინტეგრაციას საზოგადოებაში, რაც, ბუნებრივია, ისევ და ისევ ქართულ სახელმწიფოებრიობას გააძლიერებს“, — აცხადებს პროექტის ხელმძღვანელი ნინო ჯორბენაძე.

მისივე ინფორმაციით, პროექტით გათვალისწინებული სწავლებისთვის შეირჩნენ, ძირითადად, თსუ-ის პროფესორ-მასწავლებლები, რომელთაც უშუალოდ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებთან მუშაობის დიდი გამოცდილება აქვთ.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ პროექტის განხორციელების ვადა 4 თვეს მოიცავს. ამასთან, სპეციალურად პროგრამისთვის შემუშავდა სახელმძღვანელო – ქართული ენის დაჩქარებული კურსი (ავტორი: თსუ-ის ასოცირებული პროფესორი კახა გაბუნია). სახელმძღვანელო ორი სახისაა – ერთი სომხურენოვანი მოსახლეობისთვის (სომხური ლექსიკონითურთ), ხოლო მეორე – აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობისთვის (აზერბაიჯანული ლექსიკონითურთ).

ნინო ჯორბენაძის ინფორმაციით, ჩატარდება ტესტირება, რის შედეგადაც გამოვლინდებიან წარმატებული მსმენელები, რომლებსაც სერტიფიკატები გადაეცემათ. დაგეგმილია რამდენიმე განსაკუთრებული წარმატების მქონე მსმენელის საზეიმო შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტთან გიორგი მარგველაშვილთან.

„შეიძლება ითქვას, რომ პროექტი დიდი წარმატებით მიმდინარეობს. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობა პროექტს დიდი მოწონებით შეხვდა. ასევე დიდია სწავლის მსურველთა რაოდენობაც. მასწავლებელთა და მოსწავლეთა შორის განსაკუთრებით თბილი ურთიერთობა ჩამოყალიბდა.

გარდა იმისა, რომ საგრძნობლად ამაღლდა აღნიშნულ რეგიონებში ქართული ენის მცოდნეთა დონე, (რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია) თანდათან ივსება ის უფსკრული, რაც, სამწუხაროდ, ზოგჯერ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებსა და ეთნიკურ ქართველებს შორის შეიმჩნეოდა“, — აღნიშნავს ნინო ჯორბენაძე.

პროექტის მიმდინარეობის შესახებ რეჟისორმა ალექსანდრე ჯანდიერმა გადაიღო მოკლემეტრაჟიანი ფილმი, რომელიც ფართო საზოგადოებისთვის მალე გახდება ცნობილი.

როგორც პროექტის ორგანიზატორები აღნიშნავენ, პროექტის გაგრძელებით დაინტერესებულები არიან თავად ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, ამიტომ იგეგმება მისი გაგრძელება. სავარაუდოდ, პროექტის ამ ეტაპზე რეგიონებიდან პროგრამას შემოემატება – კახეთის რეგიონის სოფლები, სამცხე-ჯავახეთის რეგიონის კიდევ უფრო მეტი მუნიციპალიტეტის დასახლებული პუნქტები. ქვემო ქართლის რეგიონიდან აღნიშნული 4 მუნიციპალიტეტის (მარნეული, დმანისი, ბოლნისი, გარდაბანი) გარდა, პროექტში მონაწილეობის მზაობა უკვე გამოთქვეს წალკისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა.

დავით გორდეზიანის გახსენება

ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო საზოგადოებას გამოაკლდა გამოჩენილი მათემატიკოსი დავით გორდეზიანი, რომლის ნაშრომებმა არსებითი როლი ითამაშეს გამოყენებითი მათემატიკის მნიშვნელოვანი მიმართულებების დაფუძნებასა და განვითარებაში.

დავით გიორგის ძე გორდეზიანი დაიბადა 1937 წლის 9 დეკემბერს ქ. თბილისში, ინჟინერ-გამომგონებელ გიორგი მიხეილის ძე გორდეზიანისა და ექიმ-პედიატრ ნატალია გიორგის ასულ კირეულიშვილის ოჯახში.

1945–1956 წლებში სწავლობდა თბილისის ვაჟთა პირველ საშუალო სკოლაში, რომელიც ოქროს მედალით დაამთავრა. იმავე წელს გახდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტი. 1961 წელს დაამთავრა უნივერსიტეტი წარჩინებით და სწავლა გააგრძელა ამავე უნივერსიტეტის ასპირანტურაში მიახლოებითი ანალიზისა და გამოთვლითი ტექნიკის კათედრაზე. ასპირანტურაში მის მუშაობას ხელმძღვანელობდა ცნობილი მეცნიერი, აკადემიკოსი შალვა მიქელაძე. 1962 წელს ვადაზე ადრე დაასრულა საკანდიდატო დისერტაციაზე მუშაობა და გადასცა დასაცავად, რისთვისაც იყო პრემირებული. საკანდიდატო დისერტაცია გამოთვლით მათემატიკაში დაიცვა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეობდა მსოფლიოში აღიარებული მათემატიკოსი და მექანიკოსი, აკადემიკოსი ნ. მუსხელიშვილი. 1964 წელს დ. გორდეზიანმა მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში. 1968 წელს გადავიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით პრობლემურ ლაბორატორიაში, რომლის ბაზაზე იმავე წელს შეიქმნა გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი (შემდგომში მიენიჭა მისი დამაარსებლის აკადემიკოს ილია ვეკუას სახელი).

1970 წლიდან დ. გორდეზიანი ხელმძღვანელობდა ამ ინსტიტუტის რიცხვითი მეთოდების განყოფილებას. 1971-1972 წლებში გადიოდა სტაჟირებას საფრანგეთში, პარიზში VI უნივერსიტეტის რიცხვითი ანალიზის ლაბორატორიასა და გრენობლის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი მათემატიკოსის, მექანიკოსისა და ინფორმატიკოსის, აკადემიკოს ჟ.-ლ. ლიონსის ხელმძღვანელობით. 1982 წელს მ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია გამოთვლითი მათემატიკის სპეციალობით. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეობდა მსოფლიოში აღიარებული მათემატიკოსი, აკადემიკოსი ა. ნ. ტიხონოვი.

1985 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება. დ. გორდეზიანი 1979 წლიდან 1985 წლამდე იყო თსუ-ის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო მუშაობის დარგში, 1985 წლიდან 2006 წლის ბოლომდე კი დირექტორი. იმავდროულად, 1984-2006 წლებში, იყო თსუ-ის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის გამოთვლითი მათემატიკისა და ინფორმატიკის კათედრის გამგე. 2006 წლიდან 2009 წლამდე იყო თსუ-ის სრული პროფესორი, 2009 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე კი თსუ-ის ემერიტუს-პროფესორი და ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერთანამშრომელი. 1996-2006 წლებში გახლდათ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ხოლო 2008-2015 წლებში – საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მიწვეული პროფესორი.

დ. გორდეზიანს გამოქვეყნებული აქვს 200-მდე ნაშრომი, მათ შორის 3 მონოგრაფია, 4 გამოგონება, 2 პატენტი (აშშ, დანია). მან აღზარდა მეცნიერებათა 7 დოქტორი და 17 კანდიდატი. მის მონაფეთაგან ზოგიერთი ნაყოფიერად მუშაობდა და მუშაობს საზღვარგარეთ (ისრაელში – პროფესორი ე. ევსეევი, დოქტორი ი. ჯანაშვილი, აშშ-ში – დოქტორი ვ. იუცისი, რუსეთში – დოქტორი თ. ჯიოევი).

დ. გორდეზიანი იყო მრავალი სამეცნიერო ფორუმის მონაწილე, მათ შორის მათემატიკოსთა ვარშავისა (1983 წ.) და ციურიხის (1994 წ.) მსოფლიო კონგრესების, IUTAM-ის სიმპოზიუმების, ათენის ინტერდისციპლინარული ოლიმპიადისა და სხვა. იგი არაერთხელ იყო მიწვეული ლექციების წასაკითხად და ერთობლივი სამეცნიერო მუშაობის ჩასატარებლად პარიზის, რომის, გრენობლის, ათენის, იენის, მოსკოვის, კიევის, მინსკის და სხვა ქალაქების ცნობილ უნივერსიტეტებში. სხვადასხვა დროს საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების ოპონირებისათვის მიწვეული იყო საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის, რუსეთის, დანიის, პოლონეთის, საბერძნეთის, უკრაინის, ბელორუსიის, უზბეკეთის, აზერბაიჯანისა და მოლდავეთის სამეცნიერო და სასწავლო ცენტრებში. უცხოელ კოლეგებთან ურთიერთობას მას უადვილებდა ენების ცოდნა, ფლობდა რუსულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებს. ხშირად იყო საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების ოპონენტი და ექსპერტი საქართველოშიც, მათემატიკის, ინფრომატიკისა და მექანიკის დარგებში. სხვადასხვა წლებში იყო სამეცნიერო ხარისხებისა და წოდებების მიმნიჭებელი საბჭოების წევრი.

დ. გორდეზიანი 1993 წელს აირჩიეს კომპიუტერულ მეცნიერებათა და სისტემების საერთაშორისო აკადემიის წევრად. იგი აგრეთვე გახლდათ: საქართველოს საბუნებისმეტყველო აკადემიის წევრი, შემდგომში მისი პრეზიდენტი, ბოლოს კი საპატიო პრეზიდენტი; საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრი; გერმანიის ინფორმატიკოსთა საბჭოს წევრი; სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკური მოდელირების საკოორდინაციო საბჭოს წევრი; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკური მოდელირების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს წევრი (1985-2006 წწ.); რამდენიმე ავტორიტეტული სამეცნიერო ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი; საქართველო-ესპანეთის ერთობლივი სამეცნიერო ჟურნალის „გამოყენებითი მათემატიკა, ინფორმატიკა და მექანიკა“ ერთ-ერთი დამაარსებელი და მთავარი რედაქტორი.

დ. გორდეზიანი იყო მრავალი საერთაშორისო და ადგილობრივი გრანტის ხელმძღვანელი და ძირითადი შემსრულებელი, სხვადასხვა სამეცნიერო და სამთავრობო ჯილდოების, პრიზების, მედლების და დიპლომების მფლობელი. სამეცნიერო, პედაგოგიური და სამეცნიერო-ორგანიზაციული მუშაობისთვის მიღებული აქვს ივანე ჯავახიშვილის მედალი, საქართველოს რესპუბლიკის ღირსების ორდენი.

პროფესორ დ. გორდეზიანის სამეცნიერო თემატიკა ძირითადად ეხება: ეკონომიური სასრულ-სხვაობიანი ალგორითმების აგებისა და კვლევის საკითხებს; ი. ვეკუას გარსებისა და ფირფიტების თეორიის დაფუძნებასა და განვითარებას; მათემატიკური ფიზიკის ზოგიერთი არაწრფივი ამოცანის შესწავლას; კერძოწარმოებულებიანი დიფერენციალური განტოლებებისათვის დასმული არაკლასიკური საწყის-სასაზღვრო და სასაზღვრო ამოცანების შესწავლას. უნივერსიტეტში აქტიურ სამეცნიერო–კვლევით მუშაობას კერძოწარმოებულიანი განტოლებების მიახლოებითი ამოხსნის ალგორითმების ფუნქციონალური ანალიზის მეთოდების გამოყენებით აგებასა და დაფუძნებაში საფუძველი დ. გორდეზიანმა ჩაუყარა.

დ. გორდეზიანის შრომებში განვითარებულია ფიზიკის, ქიმიის, ეკოლოგიის, სამშენებლო მექანიკისა და ჰიდრო-გაზო დინამიკის კონკრეტული პრაქტიკული ამოცანების მათემატიკური და კომპიუტერული მოდელირების თანამედროვე მეთოდები. მისი შედეგები ციტირებულია მსოფლიოში აღიარებულ სამეცნიერო შრომებში, მონოგრაფიებსა და სახელმძღვანელოებში, ენციკლოპედიურ და მიმოხილვითი ხასიათის ნაშრომებში ისეთი გამოჩენილი მეცნიერების მიერ, როგორებიც არიან აკადემიკოსები ფ. სიარლე (საფრანგეთი), ა. სამარსკი, ვ. ილინი და ე. მოისეევი (რუსეთი), ა. ბიწაძე; პროფესორები ი. ბაბუშკა, ს. იენსენი, მ. ფოგელიუსი (აშშ), ს. აბრაშინი, ვ. ასმოკილი, პ. მათუსი (ბელორუსია), ნ. ლონგი (ვიეტნამი), მ. საპაგოვასი (ლიტვა), ა. გუშჩინი, პ. ვაბიშევიჩი, ნ. იონკინი, გ. ლაპტევი, ბ. პანეახი, ა. სკუბაჩევსკი (რუსეთი), მ. ბერნადუ, პ.დინი, მ. დოჟი, მ. ლოდზი (საფრანგეთი), ვ. ბაგენოვი, ვ. გულიაევი, ს. ლაპკო, პ. ლიზუნოვი, ვ. მაკაროვი, ნ. ჩადაევი (უკრაინა).

დ. გორდეზიანს წილად ხვდა ბედნიერება ერთობლივი მუშაობისა შალვა მიქელაძესთან, ილია ვეკუასთან, ანდრია ბიწაძესთან, ალექსანდრე სამარსკისთან, ანდრეი ტიხონოვთან, ჟაკ-ლუი ლიონსთან, ფილიპ სიარლესთან, რომლებმაც დიდი როლი ითამაშეს მისი, როგორც გამოყენებითი მათემატიკისა და ინფორმატიკის ცნობილი სპეციალისტის ჩამოყალიბებაში. პირველი სამეცნიერო ნაშრომი მის მიერ შესრულებული იქნა აკადემიკოს შ. მიქელაძის ხელმძღვანელობით და მთელი ცხოვრების განმავლობაში დიდ პატივს მიაგებდა მასწავლებლისა და გამოჩენილი მეცნიერის ნათელ ხსოვნას. საერთოდ, პროფესორი დ. გორდეზიანი ყოველთვის დიდად აფასებდა და სიყვარულით იხსენებდა ყველა პედაგოგს, რომელთაც მის ჩამოყალიბებაში მიუძღოდათ წვლილი.

დ. გორდეზიანმა მიიღო პრინციპული მნიშვნელობის მქონე შედეგები ეკონომიური სასრულ-სხვაობიანი ალგორითმების აგებისა და კვლევისას, ი. ვეკუას გარსებისა და ფირფიტების თეორიის დაფუძნებისა და განვითარებისას, მათემატიკური ფიზიკის არაწრფივი ამოცანების შესწავლისას, დიფერენციალური განტოლებებისათვის დასმული არაკლასიკური ამოცანების გამოკვლევისას.

ქვემოთ წარმოდგენილია მსოფლიოში აღიარებული მეცნიერის, გამოყენებითი და გამოთვლითი მათემატიკის სპეციალისტის, აკადემიკოს ა. სამარსკის და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ს. კურდიუმოვის დახასიათებები, რომლებიც ეხება პროფესორ დავით გორდეზიანის მეცნიერულ მოღვაწეობას. მიუხედავად იმისა, რომ ამ დახასიათებების დაწერიდან გარკვეული პერიოდია გასული, მათ არ დაუკარგავთ თავიანთი მნიშვნელობა და ძირითადად სრულად აღწერენ პროფესორ დავით გორდეზიანის მეცნიერულ მოღვაწეობას და მის მიერ მიღებული შედეგების მნიშვნელობას.

* * *

„დავით გიორგის ძე გორდეზიანი არის გამოთვლითი და გამოყენებითი მათემატიკის ცნობილი სპეციალისტი, რომელმაც თავისი შრომებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მეცნიერების განვითარებაში. მისი შრომები ეძღვნება თანამედროვე მათემატიკის ისეთ აქტუალურ საკითხებს, როგორიცაა მათემატიკური ფიზიკის წრფივი და არაწრფივი ამოცანების ამოხსნის რიცხვითი მეთოდების (მათ შორის ეკონომიური ალგორითმების) შექმნა და დაფუძნება, ილია ნესტორის ძე ვეკუას გარსებისა და ფირფიტების მათემატიკური მოდელების გამოკვლევა, არაკლასიკურ სასაზღვრო ამოცანათა ახალი კლასის (არალოკალური სასაზღვრო ამოცანების) კორექტულობისა და მათი დისკრეტიზაციის საკითხების შესწავლა; ფიზიკის, ქიმიის, სამშენებლო მექანიკის, გაზიფიკაციის, ღვარცოფების და სხვა ამოცანების

მე-15 გვერდზე

მეგობრის ხსოვნას

ალექსანდრე რონდელი ჩემი მეგობარი იყო ბავშვობიდან. სტუდენტობაც ერთ ფაკულტეტზე გავატარეთ და მერე უნივერსიტეტის ერთ კათედრაზე ვმუშაობდით.

ცნობილი კინორეჟისორის დავით რონდელის და ძირძველი არისტოკრატის ნინა ამირეჯიბის შვილი - ალიკა (ასე ვეძახდით ყველა!) - მახსოვს, როგორც ნიჭიერი ახალგაზრდა, რომელმაც გარდა ინგლისურისა და სპარსულისა (რომელიც დიალექტების დონეზეც კი იცოდა), დამოუკიდებლად შეისწავლა იტალიური ენა. ჩვენი პირველი პუბლიკაციები სტუდენტობის დროინდელ ჟურნალში 1964 წელს ერთდროულად გამოქვეყნდა - ეს იყო ერთი იტალიური და ერთიც ინგლისური წიგნის რეცენზიები.

მხიარული, იუმორით სავსე, ფეხბურთის მოყვარული ახალგაზრდა უნივერსიტეტში ყველას უყვარდა. შეძახილი „დი-ნა-მო!“ და დაფაზე დაწერილი იგივე სიტყვები ალიკა რონდელის „საფირმო ნიშნად“ იქცა. მისი გამოჩენა საზოგადოებაში ყოველთვის გამორჩეული იყო — ყველას აინტერესებდა მასთან საუბარი, მისი აზრის მოსმენა.

1960-70-იან წლებში, იმ დროს საქართველოში ყველაზე პოპულარულ გაზეთ „ლელო“-ში ფსევდონიმ „საკ.ინფ“-ის სახელით გამოქვეყნებული ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატების მიმოხილვა ალიკა რონდელს ეკუთვნოდა. ენების ცოდნის წყალობით მას მიუწვდებოდა ხელი სხვებისთვის იმ დროს ძნელად მისაღწევი დასავლური სპორტული რადიოგადაცემებისათვის! ბუნებრივია, იგი პოლიტიკურ გადაცემებსაც უსმენდა და უკვე საბჭოთა პერიოდში მისი პოლიტიკური კრედო სავსებით ჩამოყალიბებული იყო.

იგი მახსოვს, როგორც სტუდენტების საყვარელი ლექტორი, არა მარტო ქართველი სტუდენტებისა, არამედ ბრიტანელი და ამერიკელებისაც და, ვინ იცის, კიდევ ვისი.

ალიკა რონდელმა დააარსა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო ურთიერთობათა მიმართულება. მან დაწერა ის წიგნები, რომლებიც სახელმძღვანელო იქნება მომავალი სტუდენტებისა და პოლიტიკოსებისათვის. მას მიუძღვის დიდი ღვაწლი დასავლური ტიპის დემოკრატიისადმი ერთგული თაობების აღზრდაში.

რონდელის პოზიცია საქართველოს დასავლური ორიენტაციის შესახებ იყო მყარი და შეუვალი. მას აფასებდნენ უცხოელი მეცნიერები და პოლიტიკოსები

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ალიკა რონდელის მიერ დაარსებული და საქართველოს ერთ-ერთ უპირველეს *think-tank*-ად ქცეული საქართველოს სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ფონდი, რომელიც, გარდა უდიდესი სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობისა, სახელმწიფო მოღვაწეთა კადრების სამჭედლოდ წარმოჩინდა.

ერთერთ დიდ მიღწევად მივიჩნევ რონდელის მიერ დაარსებულ სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალ „ჩემი სამყარო“, რომელიც უნიკალურ ინფორმაციას აწვდის ახალგაზრდებს (და არა მარტო მათ) მსოფლიოს შესახებ.

ალიკა რონდელი ბოლო დრომდე იყო აქტიური მოღვაწე, მიუხედავად ხანგრძლივი და მრავალგვარი ავადმყოფობისა და ყოველთვის წინ იყურებოდა.

რა დასანანია, რომ ასეთი ადამიანი საქართველომ დაკარგა...

რევაზ გაჩეჩილაძე

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲒᲝᲠᲓᲔᲖᲘᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ

მეთოთხმეტე გვერდიდან

ეგმ-ზე მათემატიკური მოდელირების პრობლემათა გამოკვლევა და სხვა. დ. გორდეზიანის ადრეული შრომები ეძღვნება ზოგიერთი არასტაციონარული, წრფივი და არაწრფივი პარაბოლური ტიპის განტოლებათათვის სხვადასხვა ტიპის ბადეებზე (მართკუთხოვანი, რომბისებური) სასრულსხვაობიანი სქემების (მათ შორის მაღალი სიზუსტის სქემების) კონსტრუირებასა და გამოკვლევას.

ამ შრომებში ნაჩვენებია აგებული სხვაობიანი სქემების კრებადობა, გამოკვლეულია მათი მდგრადობა და სიზუსტე. ეს გამოკვლევები წარმოადგენს სითბოგამტარებლობის განტოლებისათვის აკადემიკოს შალვა მიქელაძის მიერ მიღებული შედეგების განვითარებას. ამავე პერიოდში დავით გორდეზიანმა დაიწყო თავისი გამოკვლევები ეკონომიურ სხვაობიან სქემებში (ლოკალურად-ერთგანზომილებიანი მეთოდი).

მის მიერ 1965 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი, რომელიც ლუწი რიგის პარაბოლური განტოლებებისათვის ლოკალურად-ერთგანზომილებიანი სქემების გამოკვლევას ეძღვნება, ფაქტობრივად პირველია ამ ტიპის ნაშრომებს შორის. მასში ნაჩვენებია, რომ საკმაოდ ზოგადი სახის მაღალი რიგის განტოლებებისათვის სპეციალური ერთგანზომილებიანი სისტემის (ადიტიური მოდელის) ამონახსნი ბადის კვანძებში მრავალგანზომილებიანი ამოცანის ამონახსნს ემთხვევა. აქვე მოცემულია ლუწი რიგის განტოლებებისათვის ლოკალურად-ერთგანზომილებიანი სქემების მდგრადობის სრული დაფუძნება. აღნიშნულმა შრომამ მიიპყრო ყურადღება მრავალი მკვლევარისა, რომლებმაც მას მისცეს ძალიან მაღალი შეფასება (ა. ა. სამარსკი, ნ. ნ იანენკო) და ციტირებულია სპეციალისტთა მთელ რიგ შრომებში, მათ შორის ჩემს მონოგრაფიაშიც.

აღსანიშნავია, რომ სახელდობრ დავით გორდეზიანის პირველი შრომები დაედო საფუძვლად საქართველოში გამოთვლითი მათემატიკის ისეთი უმნიშვნელოვანესი თანამედროვე მიმართულებების განვითარებას, როგორიცაა მათემატიკური ფიზიკის ამოცანების ამოხსნისათვის ეკონომიური ალგორითმების გამოკვლევა (ლოკალურად-ერთგანზომილებიანი მეთოდი, წილად ბიჯთა მეთოდი, დეკომპოზიციის მეთოდი, გახლეჩვის მეთოდი, ცვალებად მიმართულებათა მეთოდი და სხვა). ამ მეთოდების თეორიული საფუძვლები მოცემული იყო 50-იანი წლების ბოლოს და 60-იანი წლების დასაწყისში ამერიკელი და საბჭოთა მეცნიერების შრომებში (ჯ. დუგლასი, გ. რეკფორდი, დ. პისმენი, ნ. ნ. იანენკო, ა. ა. სამარსკი, გ. ი. მარჩუკი და სხვა).

ამ ციკლის მომდევნო შრომებში დავით გორდეზიანმა ააგო და გამოიკვლია სხვადასხვა ტიპის ლოკალურად-ერთგანზომილებიანი სქემები და გახლეჩილი სქემები კერძოწარმოებულებიანი არასტაციონარული წრფივი განტოლებებისათვის ცვალებადი კოეფიციენტებით მრავალგანზომილებიან შემთხვევაში და აგრეთვე არაწრფივი პარაბოლური და ჰიპერბოლური განტოლებებისათვის. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც ახასიათებს დავით გორდეზიანის შრომებს — მათში ალგორითმების გამოკვლევა წარმოებს აბსტრაქტულ დონეზე, ფუნქციონალური ანალიზის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით. ამასთან, მიღებული შედეგები ატარებენ კონკრეტულ და გამოყენებით ხასიათს. შემდგომში დავით გორდეზიანმა ზემოთ ნახსენები საკითხების კვლევაში ჩართო ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებმაც მაღალ მეცნიერულ დონეზე დაამუშავეს რიცხვითი ანალიზისა და მათემატიკური მოდელირების ზოგიერთი თანამედროვე პრობლემა.

1968-1972 წლებში დავით გორდეზიანმა ააგო ახალი ტიპის ეკონომიური ალგორითმები მათემატიკური ფიზიკის არასტაციონარული ამოცანების ამოსახსნელად. ამ ალგორითმებს მან „გასაშუალოებული“ მოდელები უწოდა. მათი მეშვეობით აგებული და გამოკვლეული იქნა პარალელური თვლის სქემები. აღნიშნული გამოკვლევების ზოგიერთი შედეგი ნაწილობრივ 1970 წელს ნიცაში ჩატარებულ მათემატიკოსთა კონგრესზე იქნა წარმოდგენილი (ა. ა. სამარსკის მოხსენება „სხვაობიან სქემათა თეორიისადმი მიძღვნილი ნაშრომების შესახებ“). შედეგების ნაწილი გამოქვეყნებული იყო საფრანგეთში 1971-1972 წლებში დავით გორდეზიანის პარიზის უნივერსიტეტში მივლინებისას, რიცხვითი ანალიზის ლაბორატორიაში აკადემიკოს ჟ.-ლ. ლიონსის ხელმძღვანელობით მუშაობის პერიოდში. ეს შრომები ციტირებულია არაერთგზის (ჟ.-ლ. ლიონსის, პ. ტემამის, ვ. ლ. მაკაროვის და სხვათა შრომებში). გასაშუალოებულმა მოდელებმა (პარალელური თვლის ალგორითმები) განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინეს მრავალპროცესორიანი ელექტრონული გამომთვლელი მანქანების გამოჩენასთან დაკავშირებით. ისინი წარმატებით გამოიყენება დრეკადობის თეორიის, ფირფიტებისა და გარსების თეორიის, მაგნიტური ჰიდროდინამიკისა და სხვა კონკრეტული გამოყენებითი ამოცანების ამოსახსნელად. აღსანიშნავია, რომ დავით გორდეზიანის გასაშუალოებული ადიტიური მოდელებისა და სქემების ამომხსნელი ფორმულები ახალია და წარმოადგენს დიდ თეორიულ ინტერესს ნახევარჯგუფთა თეორიის თვალთახედვით, ლი-ტროტერ-კატო-ჩერნოვის ცნობილი ფორმულების მსგავსად, რომელთა დაფუძნებას ზოგად ფუნქციონალურ სივრცეებში ეძღვნება ამერიკელი სწავლულის მ. ლაპიდუსის გამოკვლევები.

დავით გორდეზიანის ნაშრომთა დიდი ციკლი ეძღვნება აკადემიკოს ილია ვეკუას ფირფიტებისა და გარსთა თეორიის კვლევას. კერძოდ, ამ თეორიის საფუძველზე ფირფიტებისა და გარსების მათემატიკური მოდელის აგებას, კონკრეტული გამოყენებითი ამოცანების (თხელი გარსები, თაღოვანი კაშხალები და სხვა სამშენებლო კონსტრუქციები) სტრუქტურული და ხარისხობრივი თვისებების (სასაზღვრო ამოცანების ამოხსნადობა, მიახლოებითი მოდელების სიზუსტე და ა.შ.) საფუძველზე თანამედროვე დისკრეტული ალგორითმების დამუშავებას ელექტრონული გამომთვლელ მანქანებზე რეალიზაციის მიზნით. ნაშრომთა მოხსენიებული ციკლი დაწყებული იქნა აკადემიკოს ილია ვეკუას ზეგავლენითა და ხელმძღვანელობით. ამ გამოკვლევათა შედეგები (1969-1980 წლები) მოხსენებული იქნა სხვადასხვა საერთაშორისო და საკავშირო ფორუმებზე და გამოქვეყნდა ორი სტატიის სახით სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მოხსენებებში (1974 წ.), აგრეთვე სხვა ჟურნალებში. აღნიშნული თემატიკის ირგვლივ მოხსენებები გაკეთდა 1977 წელს პარიზის ავტომატიკისა და ინფორმატიკის ინსტიტუტში.

1983 წელს მათემატიკოსთა კონგრესზე ვარშავაში დავით გორდეზიანმა გააკეთა მოხსენება ახალი ტიპის არაწრფივი პარაბოლური განტოლების რიცხვითი ამოხსნის შესახებ. ამ გამოკვლევათა შედეგებმა პრაქტიკული გამოყენება ჰპოვა და დანერგილ იქნა ი. ვ. კურჩატოვის სახელობის ატომური ენერგიების ინსტიტუტში და სოხუმის ფიზიკა-ტექნიკურ ინსტიტუტში.

აღსანიშნავია, რომ ტექნიკასა და სახალხო მეურნეობაში პრაქტიკული გამოყენება ჰპოვეს დავით გორდეზიანის მიერ თავის მოწაფეებთან და თანამშრომლებთან ერთად ჩატარებულმა სხვა გამოკვლევებმა (ღვარცოფის გავრცელების გათვლა, საქალაქო ქსელებში გაზის დინების ანგარიში და ოპტიმიზაცია, სითბური დანადგარები)“.

***აკადემიკოსი* Ა. ᲡᲐᲛᲐᲠᲡᲙᲘ**

* * *

„დავით გიორგის ძეს ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ იცნობენ როგორც რიცხვითი მეთოდების, მათემატიკური მოდელირებისა და გამოყენებითი მათემატიკის თვალსაჩინო, დიდ სპეციალისტს. ის არის მრავალი შრომის ავტორი და თანაავტორი. მასვე ეკუთვნის რამდენიმე გამოგონება და პატენტი, აგრეთვე ერთი მონოგრაფია.

მისი უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით თსუ-ის გმი-ში მრავალი წლის მანძილზე წარმოებს იმ მათემატიკური ამოცანების ფართო კომპლექსური კვლევა, რომლებიც წარმოიშვება პლაზმის ფიზიკაში, ჰიდროდინამიკაში, მაგნიტურ ჰიდროდინამიკასა და მართვადი თერმობირთვული სინთეზის უმნიშვნელოვანეს პრობლემასთან დაკავშირებულ სითბურ პროცესებში.

დავით გიორგის ძემ დიდი შრომა გასწია და ჩაატარა ფართო საორგანიზაციო მუშაობა მთელი რიგი ქართველი მათემატიკოსების ძალისხმევის გასაერთიანებლად რთული არაწრფივი ამოცანების დასმისა და მათ ამოსახსნელად ახალი ეფექტური ანალიზური და რიცხვითი მეთოდების შემუშავებისა და აპრობირებისთვის.

მისი ხელმძღვანელობით წლების განმავლობაში მიმდინარეობს სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტში მოქმედი ან დაპროექტების ეტაპზე მყოფ დანადგარებში მიმდინარე პროცესების მოდელირება.

თსუ-ის გმი-ში დავით გიორგის ძის ხელმძღვანელობით დრეკადობის არაწრფივი თეორიის ამოცანების და გარსთა თეორიის ამოცანების ინვარიანტულ-ჯგუფური ამონახსნების მიმართულებებით ჩატარებულმა კვლევების შედეგებმა გამოყენება ჰპოვა მთელ რიგ ორგანიზაციებში, კერძოდ, მ. ვ. კელდიშის სახელობის სსრკ მეცნიერებათა აკადემიის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში.

ჩემთვის კარგადაა ცნობილი დავით გიორგის ძის და მის მიერ შექმნილი სკოლის მაღალი მათემატიკური კულტურა, ფართო ერუდიცია და თვალსაჩინო მეცნიერული მიღწევები. მე ვიცნობ დავით გიორგის ძეს, როგორც სამეცნიერო კოლექტივის ენერგიულ, ტაქტიან და შორსმჭვრეტელ ხელმძღვანელს. იგი არის კეთილგანწყობილი და შინაგანად მოწესრიგებული ადამიანი. დიდია დავით გიორგის ძის წვლილი პლაზმის ფიზიკის საბჭოსა და სსრკ მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული მათემატიკური მოდელირების გაერთიანებულ საბჭოს მუშაობაში, მთელი რიგი კონფერენციების, თათბირებისა და სემინარების ორგანიზების საქმეში.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
Ს. ᲙᲣᲠᲓᲘᲣᲛᲝᲕᲘ

* * *

ნაყოფიერი იყო დ. გორდეზიანის, როგორც პროფესორის მუშაობა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გადასცემდა რა სტუდენტებს თავის ცოდნასა და გამოცდილებას, მოწინავეებს კი თავიდანვე აზიარებდა სამეცნიერო-კვლევით მუშაობას. იგი ათეული წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ინფორმატიკისა და გამოთვლითი მათემატიკის კათედრას და კითხულობდა სალექციო კურსებს: პროგრამირება ეგმ-ზე; გამოთვლითი მათემატიკა; მათემატიკური მოდელირება; ფუნქციონალური ანალიზი და გამოთვლითი მათემატიკა; გარსებისა და ფირფიტების ი. ვეკუას თეორია; კერძოწარმოებულებიანი დიფერენციალური განტოლებების ამოხსნის სხვაობიანი მეთოდები; დეკომპოზიციის მეთოდები; რიცხვითი ანალიზი; სამეცნიერო გამოთვლები; მათემატიკური მოდელირება და გამოთვლითი მათემატიკა; წრფივი ალგებრის რიცხვითი მეთოდები; კომპიუტერული ალგებრა. დ. გორდეზიანი იყო რამდენიმე სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი. მისი ხელმძღვანელობით შესრულებულ სამეცნიერო ნაშრომებში სტუდენტებს, ასპირანტებს და დოქტორანტებს მოპოვებული აქვთ სხვადასხვა სახის დიპლომები, სიგელები და პრემიები, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამებით ჩატარებულ კონფერენციებში. მის აღზრდილებს შორის არან პრეზიდენტის 7 სტიპენდიატი და სოროსის 4 სტიპენდიატი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია დ. გორდეზიანის მოღვაწეობა უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში, სადაც გაიარა გზა უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობიდან ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობამდე, ბოლო 10 წლის მანძილზე კი ხელმძღვანელობდა ერთ-ერთ ძირითად სამეცნიერო მიმართულებას (მათემატიკური მოდელირება და გამოთვლითი მათემატიკა).

დავით გორდეზიანი გახლდათ მრავალმხრივ ინტერესების მქონე პიროვნება. მისი ჰობი იყო ქანდაკება, მუსიკა, ისტორია. ყოველდღიურობა დატვირთული ჰქონდა სპორტული ცხოვრებითაც, განსაკუთრებით გატაცებული იყო იოგათი.

დავით გორდეზიანის ერთგული თანამგზავრი, მუდამ მხარში მდგომი მეუღლე, მათემატიკური ლინგვისტიკის სპეციალისტი ნანული ტურძელაძე და შვილები, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატები ნატო და ეკა, ცდილობდნენ მათემატიკაზე, თავის მოწაფეებზე, კოლეგებზე და ოჯახზე უსაზღვროდ შეყვარებული მეუღლისა და მამისთვის ყოველმხრივ შეეწყოთ ხელი.

ყველა, ვისაც თუნდაც მცირე შეხება ჰქონდა დავით გორდეზიანთან, დიდი ტკივილით განიცადა მისი გარდაცვალება.

ᲙᲝᲚᲔᲒᲔᲑᲘ

ᲰᲐᲠᲐᲚᲓ ᲕᲔᲠᲪᲡ ᲗᲡᲣ-ᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲬᲝᲓᲔᲑᲐ ᲛᲘᲔᲜᲘᲭᲐ



ᲰᲐᲠᲐᲚᲓ ᲕᲔᲠᲪᲘ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა უნივერსიტეტ „პარიზი 8“-ის (საფრანგეთი) პროფესორს ᲰᲐᲠᲐᲚᲓ ᲕᲔᲠᲪᲡ. ღონისძიებას თსუ-ის რექტორი აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, პროფესორები, სტუდენტები, მოწვეული სტუმრები დაესწრნენ.

თსუ-ის რექტორის ვლადიმერ პაპავას განცხადებით: „ფრანგი პროფესორი ჰარალდ ვერცი არაერთი წელია ჩვენს უნივერსიტეტთან თანამშრომლობს. მისი თაოსნობით შეიქმნა ქართულ-ფრანგული სასწავლო პროგრამა კომპიუტერულ მეცნიერებებში, რომლის კურსდამთავრებულებსაც ორმაგი, ქართულ-ფრანგული დიპლომები გადაეცემათ. პროფესორ ვერცს დიდი წვლილი მიუძღვის ქართველი ახალგაზრდების გაზრდაში“.

„ჩემთვის ძალიან დიდი პატივია ვიყო მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი. უნივერსიტეტის, რომელსაც ძლიერი სამეცნიერო საზოგადოება ჰყავს. ძალისხმევას არ დავიშურებ და მომავალში ჩემი კონტაქტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან გაცილებით ეფექტიანი გახდება“, — აღნიშნა პროფესორმა ჰარალდ ვერცმა.

თსუ-ის საპატიო დოქტორის წოდება ჰარალდ ვერცს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან აქტიური თანამშრომლობის, „პარიზი 8“-სა და თსუ-ის შორის სასწავლო-სამეცნიერო ურთიერთობების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, მისი პედაგოგიური და ამავე დროს, ხანგრძლივი, მაღალი დონის კვლევითი საქმიანობისთვის მიენიჭა.

პროფესორი ჰერალდ ვერცი არაერთი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, სადისერტაციო ნაშრომთა ხელმძღვანელი, 6 წიგნის ავტორი, მრავალი სამეცნიერო სტატიის, 50-იოდე სამეცნიერო მოხსენების ავტორი, ამერიკის შეერთებული შტატების, კანადის, გერმანიის, იტალიის, პოლონეთის სამეცნიერო ლაბორატორიებში მიწვეული პროფესორია. ჰარალდ ვერცი უკვე 40 წელია აქტიურ პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა საფრანგეთსა თუ მის საზღვრებს გარეთ.

ამასთან, თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ინფორმატიკის ფრანგულ — ქართული საბაკალავრო პროგრამის 2013-2014 სასწავლო წლის 5 კურსდამთავრებულს — მარიამ გასვიანს, თეონა ქაჯაიას, რუსუდან ქიტიაშვილს, გიორგი იაშვილს — უნივერსიტეტ „პარიზი 8“-ის დიპლომები გადაეცათ.

აღნიშნული პროგრამა თსუ-ში 2008 წლიდან არსებობს და ფრანგული ენის გაღრმავებული სწავლების პირობით აკრედიტებულია საფრანგეთის განათლების ეროვნული სამინისტროს მიერ. პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება ორმაგი ხარისხის დიპლომი: უნივერსიტეტ „პარიზი 8“-ის ინფორმატიკის ლისანსის (საფრანგეთის სახელმწიფოს მიერ გაცემული დიპლომი) და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერებების ბაკალავრის დიპლომი.

კურსდამთავრებულებს დიპლომები უნივერსიტეტის რექტორმა ვლადიმერ პაპავამ, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა რამაზ ბოჭორიშვილმა და „პარიზი 8“-ის პროფესორმა, თსუ საპატიო დოქტორმა ჰარალდ ვერცმა გადასცეს.

ხატავს შინაგანი ხილვებით...



„გალაკტიონის კოსმიური მოქცევა“, — ამ სახელწოდებით გაიმართა მხატვარ-პროზაიკოსის რეზო ადამიას გამოფენა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც მხატვარმა გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ასზე მეტი ნამუშევარი წარმოადგინა.

„რეზო ადამიას მიზანია ტილოზე გააცოცხლოს ჩვენ მიერ ბუნებაში და ცხოვრებაში განცდილი წუთების სილამაზე, რადგან ადამიანთა ცხოვრება ამ ლამაზი წუთებისგან შედგება. იგი გვაზიარებს წუთების მარადიულობას. მისი ნახატები მშვენიერების მაძიებელი კაცის სულიერი ბიოგრაფიაა“, — ასე შეაფასა თავის დროზე შოთა ნიშნიანიძემ რეზო ადამიას შემოქმედება.

შურთხია ბერეშვილი

მხატვრის მიერ შექმნილი სამყარო და აღქმული გალაკტიონი ისეთივე მისტიკური და ეფემერულია, როგორც თავად პოეტის შემოქმედება. გალაკტიონი — „კოსმიური გენია“ — ასე უწოდებს გალაკტიონს მხატვარი და ამბობს, რომ ის ენერგია, რომელსაც გალაკტიონი კოსმოსიდან იღებდა, ტილოზე გადმოიტანა.

რეზო ადამია ნახატებს ვრცლად ასათაურებს: „გალაკტიონის ლექსთა კივილი კოსმოსს მისწვდა,“ ,,სამყარო, ტრაგედია და გალაკტიონის წმინდა სისხლი“, „ხშირად მგოსან გალაკტიონს უცნაური ფორმის დემონი სტუმრობდა“, „გალაკტიონის სამყარო და კოსმოსი“, „ჰემინგუეის და გალაკტიონის უკაცრიელმა იალქნებმა გაისეირნეს“, „მთვარიანი ღამე ქყვიში“, „1957 წელი — გალაკტიონი და კოსმიური სივრცე დაიძაბა“, „თითქოსდა კოსმიური ლაქა წაშალა გალაკტიონის უმანკო სისხლმა“, „გალაკტიონის განწირული მზერა და სულიერი აურზაური“. „სულის მარადიულობა“... მხატვარი ხაზს უსვამს, რომ სათაური ნახატის „გასაღებია“ და აღქმას აადვილებს.

რეზო ადამია, როგორც თავად ამბობს, დიდი ხანია, გალაკტიონის პოეზიის მოტრფიალეა, თუმცა ბოლო წელია, რაც გალაკტიონის შემოქმედების ტილოზე გადატანით დაინტერესდა. „გენია, ნიჭი მოდის ზე-სამყაროდან... მიწა კვებავს, მაგრამ როდესაც მიწის ზემოთ ავარდება გენიოსის სული, კოსმოსით იკვებება... გენიოსი არასდროს არის ბედნიერი, იგი იტანჯება, იბრძვის... რასაც ქმნის, ის სხვა ადამიანებისთვის არის ბედნიერება, თორემ შედევრები ყოველთვის ტანჯვით იქმნება... თუმცა ხელოვანი ამავე დროს სიამოვნებასაც იღებს. გალაკტიონის პოეზიის ტილოზე გადატანა 5 წელია, რაც დავიწყე. ჩემი საყვარელი ლექსებია: „ლურჯა ცხენები“, „ეფემერა“, „მერი“, ,,მესაფლავე“... თითოეული ნახატი კონკრეტულ ლექსს ან მისი ცხოვრების რომელიმე ეპიზოდს ეხება. ექსპოზიცია თემატურია: გალაკტიონის შემოქმედება, მისი ცხოვრების მნიშვნელოვანი მომენტები, პოეტის სახლი ქყვიში და სხვა. მნახველი თითქოს ახლებურად აღიქვამს პოეტის ლირიკულ გმირს, ფერებით გადმოცემულ კოსმიურ სამყაროს: „გალაკტიონ ტაბიძე და კოსმოსი“, „მე და ღამე“, „პირამიდა“, „იდუმალება და კოსმოსი“, „ღამე მთვარე და ამღერებული ღრუბლები“, „გალაკტიონის დუმილის ფონზე“, „მე მოვედი კოსმიური ღრუბლით“... თითოეული ნახატი კონკრეტულ ამბავს ჰყვება. „ამ ყველაფრის გასაგებად თქვენი ფანტაზია და წარმოსახვაც არის საჭირო“, — ამბობს რეზო ადამია.

მხატვრის თვალით დანახული გალაკტიონი და მისი კოსმიური სამყარო ასე შეაფასა პოეტის ძმიშვილმა, პროფესორმა ნოდარ ტაბიძემ: „გალაკტიონის კოსმიური იდუმალება ფერწერამ გაამხილა... პირველი და უმთავრესი ნიშანი რეზო ადამიას ნამუშევრებისა, ეს არის მოვლენათა და პროცესთა ღრმა ფილოსოფიურობა. ბატონი რეზო პირველია, რომელმაც გალაკტიონი კოსმოსთან დაკავშირებით წარმოაჩინა“.

არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის მოსაზრება მხატვრის შემოქმედებასთან დაკავშირებით: დიდ შთაბეჭდილებას ახდენს რეზო ადამიას მხატვრულ ნამუშევართა გამოფენა „გალაკტიონი და კოსმოსი“. ეს ჭეშმარიტად გალაკტიონის კოსმიური პოეზიის ფერში იზომორფული გამოსახვაა“.

თავად რეზო ადამია ამბობს, რომ დღეს ტექნიკით და ოსტატობით ვერავის გააკვირვებ, მთავარი მხატვრისთვის ის შინაგანი მდგომარეობაა, რომელსაც იგი ნაწარმოების კითხვის შემდეგ განიცდის და შემდეგ ტილოზე გადმოაქვს.

აღსანიშნავია, რომ მხატვარ-პროზაიკოსი რეზო (ემელიანე) ადამია ესეების, ნოველების, სამეცნიერო წერილებისა და პროზაული ნაწარმოებების ავტორია. იგი ტერენტი გრანელის შემოქმედებითაც არის გატაცებული, რომლის შემოქმედებას ორი წიგნი მიუძღვნა. ქართველ პოეტთა შემოქმედებაზე დაწერილი ესეებისა და ცნობილ ლირიკოსთა ნაწარმოებებით შთაგონებული გრაფიკული ილუსტრაციებისთვის იგი მწერალთა კავშირმა გალაკტიონ ტაბიძის პრემიით დააჯილდოვა, ხოლო წიგნისთვის: „შედევრები და მარადიულობა“ მას ვაჟა-ფშაველას პრემია მიენჭა.

რეზო ადამიას შემოქმედება უკვე გასცდა საქართველოს ფარგლებს. იგი ხატწერაშიც მუშაობს: მხატვრის მიერ შექმნილი ხატები ასვენია როგორც საქართველოს, ასევე, უცხო ქვეყნების ეკლესიებსა და ოჯახებში, ხოლო ტილოები დაცულია საქართველოს მრავალ მუზეუმსა და გალერეაში. ისინი ასევე ინახება კერძო კოლექციებში, მათ შორის, მისი ,,მთავარანგელოზი” თბილისში სტუმრად ჩამოსულ ალენ დელონსაც გადასცეს. მხატვარი 11 წელი მოღვაწეობდა პარიზში, სადაც არაერთ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია.

როგორც მხატვარი ამბობს, მას, პირველ რიგში, ყველაფერი ქართული უყვარს: მისი საყვარელი მხატვრები არიან ფიროსმანი და ლადო გუდიაშვილი. მომავალში მხატვარი ტილოზე სხვა ქართველი მწერლების, მათ შორის, ვაჟა-ფშაველასა და გრიგოლ რობაქიძის შემოქმედების გაცოცხლებასაც აპირებს. როგორც თავად აღნიშნავს, ხატავს შინაგანი ხილვებით... ალბათ ამიტომ არის ყოველი მისი გამოფენა დიდი დღესასწაული.

მთავარი რედაქტორი ნინო კაკულია
მთავარი სპეციალისტი მაია ტორაძე
ტექნიკური რედაქტორი მანანა ჯურხაძე
ფოტოკორესპონდენტი ანა ბოლქვაძე
კომპ. უზრუნველყოფა ზაზა გულაშვილი

რედკოლეგიის წევრები:
რისმაგ გორდეზიანი, იაგო კაჭკაჭიშვილი, ნოდარ ხადური, ელენე ხარაბაძე, მანანა შამილიშვილი, თემურ ნადარეიშვილი, ლადო მინაშვილი, მორის შალიკაშვილი, ნინო ჩიხლაძე, დიანა ძიძიგური, არსენ გვენეტაძე, ირაკლი კობახიძე, შალვა აბზიანიძე

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ. 11
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
tsunewspaper@tsu.ge
2 22 36 62